



# ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ



სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

2016 წელი

ქართული ტექსტის რედაქტორები:

დიანა ანფიამიადი, სალომე ბენიძე

კვლევა ქართულიდან ინგლისურად თარგმნა:

რატი მუხურაძე

ბარაკანგა გამოყენებული ფოტოპროექტის ავტორი:

ალექსანდრე გაჩეჩილაძე

GEORGIAN TEXT EDITED BY:

Diana Anfiamyadi and Salome Benidze

RESEARCH WAS TRANSLATED FROM GEORGIAN INTO ENGLISH BY:

Rati Mukhuradze

AUTHOR OF THE PHOTO PROJECT ON THE COVER:

Aleksandre Gachechiladze

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას

The views expressed in this publication do not necessarily reflect the official position of the United State Agency for International Developments or that of the Government of the United States.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი მიერ, ქალთა საინფორმაციო ცენტრის (WIC) და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით პროექტის „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში.

This Publication Was Prepared by the Institute of Social Studies and Analysis, with the support of Women’s Information Center (WIC) and the United State Agency of International Development (USAID), within the framework of the project “Women as Agents for Change and Empowerment”

# სარჩევი

ძირითადი შედეგები .....	6
I. კვლევის მეთოდოლოგია .....	13
1.2. კვლევის მეთოდოლოგია .....	13
1.3. შერჩევა .....	14
1.4. საველე სამუშაოები .....	16
1.5. კონტროლი .....	16
1.6. ანალიტიკური სამუშაოები .....	16
II. დემოგრაფიული მონაცემები .....	17
2.1. აბიტურიენტებისგანაწილება რეგიონის მიხედვით .....	17
2.2. აბიტურიენტებისგანაწილება ტესტის ვარიანტის მიხედვით .....	19
2.3. აბიტურიენტებისგანაწილება სქესის მიხედვით .....	20
2.4. აბიტურიენტებისგანაწილება ქულის მიხედვით .....	21
შეჯამება .....	22
III. აბიტურიენტების ზოგადი პოზიცია .....	23
3.1. პირველი ვარიანტის არგუმენტირებული ესეი .....	24
3.1.1. ტესტის პირველი ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებული პოზიცია რეგიონების მიხედვით .....	25
3.1.2. ტესტის პირველი ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებული პოზიციას სქესისა და ქულის მიხედვით .....	27
3.2. მეორე ვარიანტის არგუმენტირებული ესეი .....	28
3.2.1. ტესტის მეორე ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებული პოზიცია რეგიონების მიხედვით .....	29
3.2.2. ტესტის მეორე ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებული პოზიცია სქესისა და ქულის მიხედვით .....	30
3.3. პირველი და მეორე ვარიანტის არგუმენტირებული ესეების შედარება .....	31
3.4. პირველი და მეორე ვარიანტის არგუმენტირებული ესეების გაერთიანება ..	34
შეჯამება .....	37
IV. არგუმენტები .....	38
4.1. დადებითი არგუმენტები .....	38
4.2. უარყოფითი არგუმენტები .....	49
შეჯამება .....	59
V. მაგალითები .....	60
5.1. მაგალითები პოზიტიურ კონტექსტში .....	60
5.2. მაგალითები ნეგატიურ კონტექსტში .....	67
5.3. პოზიტიურ და ნეგატიურ კონტექსტებში გამოყენებული მაგალითების შედარება ...	70
5.4. ავტორის მიერ მაგალითად მოყვანილი ქალები (პოზიტიურ კონტექსტში) ..	72
შეჯამება .....	81
VI. გენდერი და პროფესიები .....	83
შეჯამება .....	84
VII. ქალის მახასიათებლები და სტერეოტიპები .....	85
შეჯამება .....	88
VIII. ინფორმირებულობა გენდერული საკითხების შესახებ .....	90
შეჯამება .....	91



## Table of Contents

General Results .....	94
I. Research Methodology .....	99
1.1. Purpose and Objectives .....	99
1.2. Research Methodology .....	99
1.3. Selection .....	100
1.4. Field work .....	101
1.5. Control .....	101
1.6. Analytic work .....	101
II. Demographic Data .....	102
2.1. Distribution of Applicants by Region .....	102
2.2. Distribution of Applicants by Test Version .....	104
2.3. Distribution of Applicants by Gender .....	104
2.4. Distribution of Applicants Score .....	105
Summary .....	106
III. Applicants' General Position .....	107
3.1. Version I Argumentative Essay .....	107
3.1.1. Approach Towards the Statement from the First Version of the Test by Region .....	108
3.1.2. Distribution of Attitudes Towards the First Version Statement by Gender and Score ..	110
3.2. Second Version Argument Essay .....	111
3.2.1. Postion Regarding the Statement from the Second Version of the Test by Region .....	112
3.2.2. Postion Regarding the Statement from the Second Version of the Test by Gender and Score .....	113
3.3. 1st and 2nd Argument Essay Comparison .....	113
3.4. Combination of 1st and 2nd Argument Essay Versions .....	115
Summary .....	118
IV. Arguments .....	120
4.1. Positive Arguments .....	120
4.2. Negative Arguments .....	131
Summary .....	140
V. Examples .....	141
5.1. Positive Context Examples .....	141
5.2. Negative Context Examples .....	146
5.3. Comparison of the Negative and Positive Context Example .....	146
5.4. Women Brought as Examples by Authors (Positive Context) .....	148
Summary .....	155
VI. Gender and Professions .....	156
Summary .....	157
VII. Female Characteristics and Stereotypes .....	158
VIII. Knowledge of Gender Issues .....	162
Summary .....	163

## ძირითადი შედეგები

### კვლევის მეთოდოლოგია

- ✓ პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების დამოკიდებულებებისა და განწყობების შესწავლა გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ. ამ მიზნის განსახორციელებლად, კვლევამ მოიცვა 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის I და II ვარიანტების საგამოცდო ტესტებში გენდერული თანასწორობის თემაზე შეტანილი დავალებების პასუხები, კომბინირებული კონტენტანალიზის მეთოდის გამოყენებით (როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კონტენტანალიზი).
- ✓ კონტენტანალიზისთვის შეიქმნა კოდირების ანკეტა. მის მიზანს წარმოადგენდა აბიტურიენტთა ნაშრომებიდან ისეთი ცვლადების გამოყოფა, რომელიც შეიძლება, თვისებრივად ან რაოდენობრივად გაანალიზდეს. რაოდენობრივი მასალის სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ის 2013 წლის აბიტურიენტთა ნაკადისთვის რეპრეზენტატულია.
- ✓ სულ გაანალიზდა 1706 ნაწერი. კვლევაში თითქმის თანაბრად იქნა გამოყენებული ვარიანტის, ქულისა და ავტორის სქესის მიხედვით განსხვავებული ნაწერები. ნაწერები რეპრეზენტატული იყო სქესის და მიღებული ქულის მიხედვით.
- ✓ თითქმის თანაბარი რაოდენობით იყო წარმოდგენილი ნაწერები 10 რეგიონიდან და თბილისიდან. ნაწერები რეპრეზენტატული იყო თითოეული რეგიონის აბიტურიენტებისთვის და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოსთვის.

### დემოგრაფიული მონაცემები

- ✓ 2013 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, აბიტურიენტებმა, სხვა გამოცდებთან ერთად, ჩააბარეს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა. გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 38 553-მა აბიტურიენტმა მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცა გენდერული საკითხების შესახებ ნაშრომი მხოლოდ მათ წერეს, ვისაც პირველი და მეორე ვარიანტები შეხვდათ - სულ 19 400-მა აბიტურიენტმა. პირველი ვარიანტის ესეი სულ 9 689 აბიტურიენტმა წერა, ხოლო მეორე ვარიანტის ესეი - 9 711-მა. კვლევის ფარგლებში 1 706 ნაშრომი გაანალიზდა, რომელთაგან 857 პირველი ვარიანტის ნაშრომი იყო, ხოლო 849 - მეორე ვარიანტის. ტესტის ვარიანტის შედეგებზე ანალიზზე მუშაობისას, მეტ-ნაკლებად მოხერხდა ბალანსის დაცვა როგორც ქულის, ასევე სქესის მიხედვით.
- ✓ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტისთვის მოწოდებული ნაშრომების ავტორების შესახებ მხოლოდ ოთხი დემოგრაფიული კრიტერიუმი იყო ცნობილი - რეგიონი, სქესი, მიღებული ქულა და ტესტის ვარიანტი. კვლევაში

გამოყენებული ნაშრომების რაოდენობა მეტ-ნაკლებად თანაბარია ოთხივე დემოგრაფიული ნიშნის მიხედვით.

- ✓ ნაშრომები შეირჩასაქართველოს 10 რეგიონიდან და თბილისიდან. თითო რეგიონიდან, საშუალოდ, 160 ნაშრომი გაანალიზდა. მუშაობის პროცესში ყველაზე ნაკლები არგუმენტირებული ესეი გამოყენებული იქნა რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთიდან (129 ცალი) და მცხეთა-მთიანეთიდან (140 ცალი). თითოეულ რეგიონში ბალანსი დაცული იყო სქესის და ქულის მიხედვით, ხოლო შედარებით ნაკლებად - ტესტის ვარიანტის მიხედვით.
- ✓ 1 706 ნაშრომიდან 863 იყო მდებდრობითი სქესის (50.6%), ხოლო 843 მამრობითი სქესის (49.4%) აბიტურიენტის ნაშრომი. თითოეული სქესის აბიტურიენტებს შორის ბალანსი დაცულია როგორც ტესტის ვარიანტის, ასევე ქულის მიხედვითაც. რაც შეეხება ქულას, გაანალიზდა 866 საშუალოქულიანი (50.8%) და 840 - მაღალქულიანი (49.2%) ნაშრომი. როგორც საშუალო, ასევე მაღალქულიანებში მეტ-ნაკლებად მოხერხდა ბალანსის დაცვა სქესის და ტესტის ვარიანტის მიხედვით.

## აბიტურიენტების ზოგადი პოზიცია

- ✓ კვლევას უნდა გამოერკვია ახალგაზრდების დამოკიდებულება გენდერული საკითხების მიმართ, რის საშუალებასაც 2013 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების I და II ვარიანტებში დაწერილი არგუმენტირებული ესეების ანალიზი გვაძლევდა. როგორც უკვე აღინიშნა, პირველი ვარიანტი წერა სულ 9 689 აბიტურიენტმა, მათგან კვლევაში ჩართული იყო 857.
- ✓ I ვარიანტის ტესტის დებულება ასე ჟღერდა: „სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისთვის“, ხოლო მეორე ვარიანტის ტესტის დებულება კი ასე: „არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ მამაკაცებისთვის ან მხოლოდ ქალებისთვის არის მიზანშეწონილი“.
- ✓ აბიტურიენტი უნდა დასთანხმებოდა დებულებას, ან უნდა უარეყო ის. შესაბამისად, აბიტურიენტების ნაშრომები შემდეგნაირად დახარისხდა: „პოზიტიური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ“ (რომელთა ავტორებიც ეთანხმებოდნენ დებულებას) და „ნეგატიური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ“ (რომელთა ავტორებიცარ ეთანხმებოდნენ დებულებას). თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ შეიძლებოდა, ნაშრომის მიხედვით გაძნელებულიყო აბიტურიენტის პოზიციის დანახვა, გაჩნდა კიდევ ერთი ვარიანტი - „პოზიცია არ ჩანს“. პირველ დებულებასთან დაკავშირებით, ასევე, გამოიკვეთა პოზიცია „სქესს მნიშვნელობა არ აქვს“.

- ✓ პირველი ვარიანტის დებულებას აბიტურიენტების უმრავლესობა ეთანხმება

- (77%), ხოლო თითქმის მეთაედი (9.8%, 84 აბიტურიენტი) არ ეთანხმება. დაახლოებით ამდენივე მიიჩნევს, რომ სქესს არ აქვს მნიშვნელობა (9.9%, 85 აბიტურიენტი). 2.6%-ის ნაშრომებში პოზიცია არ ჩანს. თუ ანალიტიკური დაჯგუფებისას პოზიციას „სქესს მნიშვნელობა არ აქვს“ ნეგატიურ დამოკიდებულებასთანგავაერთიანებთ, მივიღებთ სურათს, სადაც აბიტურიენტების მეხუთედი (19.7%) პოლიტიკაში ქალების გაზრდის მომხრე არ არის.
- ✓ მეორე ვარიანტის დებულებას არ ეთანხმება აბიტურიენტების უმრავლესობა (62.2%, 528 აბიტურიენტი), ხოლო ეთანხმება მესამედზე მეტი (35.9%, 305 აბიტურიენტი). გენდერული თანასწორობის მიმართ დადებით დამოკიდებულებას ამ დებულებასთან დაკავშირებით უფრო ნაკლები აბიტურიენტი აფიქსირებს, ვიდრე პირველ დებულებასთან დაკავშირებით.
  - ✓ იმისთვის, გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების მქონე აბიტურიენტების პროცენტული გადანაწილება გამოვლენილიყო, პირველი და მეორე ვარიანტების პასუხები გაერთიანდა. აღმოჩნდა, რომ 1 706 ნაშრომის 70%-ში ჩანდა პოზიტიური დამოკიდებულება, 27.8%-ში - ნეგატიური, ხოლო ნაშრომების 2.2%-ში პოზიცია არ იყო გამოკვეთილი.
  - ✓ გაერთიანებული მონაცემების მიხედვით, უკეთ ჩანს, თუ როგორია ტენდენცია რეგიონების მიხედვით. ყველაზე ხშირად პოზიტიურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ ქვემო ქართლში (80.6%). ასეთივე პასუხები ხშირად გვხვდება გურიაში (74.4%), აჭარაში (73.0%), სამცხე-ჯავახეთში (72.5%) და იმერეთში (71.3%). ნეგატიური დამოკიდებულება შედარებით მეტია მცხეთა-მთიანეთში (35.0%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (31.3%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (32.6%) და თბილისში (30.6%). პოზიცია დამოკიდებულია ქულებსა და სქესზე.
  - ✓ პოზიტიური დამოკიდებულება უფრო ხშირად აქვთ მაღალი ქულით შეფასებულ აბიტურიენტებს. ნეგატიური დამოკიდებულება იკეთება საშუალოქულიანი ნაშრომების თითქმის მესამედსა და მაღალქულიანი ნაშრომების თითქმის მეოთხედში.
  - ✓ გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას უფრო ხშირად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებიაფიქსირებენ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები. მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 22.6% ამჟღავნებს ნეგატიურ დამოკიდებულებას გენდერული თანასწორობის მიმართ მაშინ, როცა მამრობითი სქესის მიერ გამოხატული უარყოფითი პოზიცია ნაშრომების თითქმის მესამედში ჩანს.
  - ✓ პოზიტიური დამოკიდებულების 70%-იანი უპირატესობა ერთგვარი პოლიტიკური განაცხადიგაა და ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდების სრულ უმრავლესობას სურს პოლიტიკაში და სხვადასხვაპროფესიაში მეტი ქალი იხილოს. როგორც ჩანს, აბიტურიენტები (რომლებიც ახლა, სავარაუდოდ, მეორე-მესამე კურსის სტუდენტები იქნებიან), მზად არიან, იმსჯელონ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მიიღონ სათანადო ინფორმაცია და ჰქონდეთ სწორი პოზიცია. ამგვარიმზადყოფნა (ერთგვარი „მოთხოვნა“)



შესაბამის პასუხს - ინფორმაციის მიწოდებას მოითხოვს. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, პრობლემები სწორედ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გამოვლინდა.

## არგუმენტები

- ✓ ნაშრომებში აბიტურიენტები საკუთარ პოზიციას არგუმენტებით ამყარებდნენ. არგუმენტებიერთგვარჩარჩოებს („ფრეიმებს“) წარმოადგენენ არგუმენტირებული ესეებისთვის. არგუმენტი, თავის მხრივ, იყოფა დადებით და უარყოფით არგუმენტებად. თითო ნაშრომში, შესაძლოა, ყოფილიყო ერთზე მეტი არგუმენტი.
- ✓ დადებითი არგუმენტები გვხვდება 1 289 ნაშრომში. ყველაზე ხშირად აბიტურიენტები იყენებენ გენდერული თანასწორობის კონცეფციას (559 ნაშრომი, ნაშრომების 17.1%). ხშირია ადამიანის უფლებების კონცეფციის გამოყენებაც (411 ნაშრომი, ესეების 12.6%). 386 ნაშრომში არგუმენტად გამოყენებულია ქალის უნარები და მახასიათებლები (მაგ. ქალი ძლიერია და სწორედ ამიტომ უფრო მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი პოლიტიკაში) (ნაშრომების 11.8%). 279 აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ ქალების გააქტიურება მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის, განვითარებისთვის, პროგრასისთვის და ა.შ. (8.5%). სწორედ ჩამოთვლილი არგუმენტები გამოიყენება ყველაზე ხშირად აბიტურიენტების მიერ. მხოლოდ 13 აბიტურიენტი აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ქალის შესაძლებლობების რეალიზაცია. ზოგადად, აბიტურიენტები ნაკლებ აქცენტს აკეთებენ თავად იმაზე, თუ რა შედეგების მომტანი იქნება ქალების გააქტიურება პოლიტიკაში ან მათი უფრო მეტად ჩართვა ნებისმიერ პროფესიაში თავად ქალებისთვის.
- ✓ ყველაზე ხშირად არგუმენტებს იყენებენ ქვემო ქართლში (მხოლოდ 6.6% არ იყენებს), ხოლო ყველაზე იშვიათად - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (17.8%), სამცხე-ჯავახეთსა (16.7%) და მცხეთა-მთიანეთში (15.9%). არგუმენტებს არ იყენებს პირველი ვარიანტის მქონე აბიტურიენტთა მხოლოდ 8.4% მაშინ, როცა მეორე ვარიანტის მქონე აბიტურიენტების თითქმის მეხუთედთან არგუმენტები არ გვხვდება. მნიშვნელოვანია, რომ პირველ დებულებასთან დაკავშირებით, გაცილებით მეტი არგუმენტის მოტანა შეიძლებოდა, ვიდრე მეორე ვარიანტის შემთხვევაში, ამიტომ ეს შედეგი ლოგიკურია.
- ✓ უარყოფითი არგუმენტები არ არის გამოყენებული 1 095 ნაშრომში, შესაბამისად, გამოყენებულია 611 არგუმენტირებულ ესეში. ყველაზე ხშირად არგუმენტად გამოიყენება ქალის თვისებები და მახასიათებლები, ამჯერად უარყოფითი კონოტაციით (მაგ. ქალი სუსტია და ზოგიერთი საქმიანობის შესრულება არ შეუძლია) (9.8%), ხშირია თვალსაზრისი, რომ ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (9.1%) და ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული ან შეუძლებელია (7.8%). მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითქმის არცერთ ნაშრომში არ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ზოგიერთი პროფესიის დაუფლება მამაკაცისთვის რთული ან შეუძლებელია. 4.1% მიიჩნევს,

რომ ზოგიერთი პროფესიის დაუფლება მამაკაცისთვის შეუფერებელია, თუმცა არცერთხელ აღნიშნულა, რომ მამაკაცს არ შეუძლია თავი გაართვას რომელიმე საქმიანობას. ჩანს, აბიტურიენტები ფიქრობენ, რომ მამაკაცს ყველა ტიპის საქმიანობის განხორციელება შეუძლია, უბრალოდ, ზოგიერთი საქმიანობა მისთვის შეუფერებელია, ხოლო ქალისთვის არსებობს როგორც შეუფერებელი, ასევე შეუძლებელი პროფესიებიც. ამასთან, 7.2% მიიჩნევს, რომ უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალას მოითხოვს, ხოლო 7% ამბობს, რომ ქალი და კაცი თანასწორები არ არიან.

- ✓ რეგიონების მიხედვით, მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავდება. ყველაზე ხშირად უარყოფითი არგუმენტები გვხვდება ნაშრომებში მცხეთა-მთიანეთიდან (ნაშრომების 65.2%-ში) და თბილისიდან (ნაშრომების 64.7%-ში), ხოლო ყველაზე იშვიათად - ნაშრომებში ქვემო ქართლიდან (არ იყო ნაშრომების 56.5%-ში), აჭარიდან (არ იყო ნაშრომების 53.0%-ში) და იმერეთიდან (არ იყო ნაშრომების 50.5%-ში).
- ✓ მდებარეობითი სქესის 45.6% და მამრობითი სქესის აბიტურიენტების 38.4% არ იყენებს უარყოფით არგუმენტებს, რაც ნიშნავს, რომ კაცები უფრო ხშირად იყენებენ უარყოფით არგუმენტებს, ვიდრე ქალები. საშუალოქულიანთა 37.4% და მაღალქულიანთა 47.1% არ იყენებს უარყოფით არგუმენტებს, რაც ნიშნავს, რომ საშუალოქულიანები უფრო ხშირად იყენებენ უარყოფით არგუმენტებს, ვიდრე მაღალქულიანი აბიტურიენტები.
- ✓ ყველაზე დიდი განსხვავება გვხვდება ვარიანტების მიხედვით. უარყოფით არგუმენტებს არ იყენებს პირველი ვარიანტის მქონე აბიტურიენტთა 63.6% და მეორე ვარიანტის მხოლოდ 27.6%. ეს ნიშნავს, რომ მეორე ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებით დაახლოებით ორჯერ უფრო ხშირად ასახელებენ უარყოფით არგუმენტებს.

## მაგალითები

- ✓ აბიტურიენტები საკუთარ თვალსაზრისს მაგალითებით ამყარებდნენ. მაგალითებიც, თავის მხრივ, იყოფა დადებითი ან უარყოფითიკონტექსტის მიხედვით. პოზიტიური დამოკიდებულების გასამყარებლად, ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა მაგალითები საქართველოსა და მსოფლიო ისტორიიდან, ასევე უცხო ქვეყნების პოლიტიკიდან. კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ, როგორც აღმოჩნდა, აბიტურიენტებს მწირი ინფორმაცია აქვთ როგორც საერთაშორისო დოკუმენტების, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, ასევე სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ.
- ✓ პირველი ვარიანტის ტესტის ნაშრომების 17.5%-სა და მეორე ვარიანტის ტესტის 35.8%-ში საერთოდ არ გვხვდება მაგალითები. ეს ნიშნავს, რომ პირველი ვარიანტის ტესტის ნაშრომებში გაცილებით ხშირად არის გამოყენებული მაგალითები, ვიდრე მეორე ვარიანტის ტესტის ნაშრომებში. ამის გარდა, პირველი ვარიანტის ტესტის ნაშრომებში გაცილებით ხშირადაა გამოყენებული მაგალითები

საქართველოს ისტორიიდან, მაგალითები მსოფლიო ისტორიიდან, მაგალითები უცხო ქვეყნების პოლიტიკიდან და ამჟამინდელი ქართული პოლიტიკიდან, ვიდრე მეორე ვარიანტის ნაშრომებში. ნაწილობრივ, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ პირველი ვარიანტის დებულება უფრო მეტად იძლეოდა როგორც არგუმენტების, ასევე მაგალითების დასახელების საშუალებას.

- ✓ ნეგატიურ კონტექსტში, შემთხვევათა 86.7%-ში, აბიტურიენტებს მაგალითები არ გამოუყენებიათ. დანარჩენ შემთხვევებში, შედარებით უფრო ხშირად საკუთარ თვალსაზრისს ამყარებდნენ მაგალითებით, რომლებიც უკავშირდებოდა სამეცნიერო კვლევებს, ექსპერიმენტებს და სტატისტიკას. მათ მიერ გამოყენებული სტატისტიკის უდიდესი ნაწილი არ ეფუძნებოდა რეალურად არსებულ კვლევებს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ნეგატიური პოზიციის მქონე აბიტურიენტებს უჭირდათ საკუთარი თვალსაზრისი განემტკიცებინათ არგუმენტებითა და მაგალითებით.
- ✓ აბიტურიენტები ხშირად ასახელებდნენ ქალებს, რომლებიც მათთვის სამაგალითონი იყვნენ და რომელთა მიღწევებზეც ნაშრომში საუბრობდნენ. ასეთი ქალებს საერთოდ არ დაუსახელებია აბიტურიენტების ნახევარს (50.4%). ყველაზე ხშირად გვხვდება ცნობილი ქალების სახელები საქართველოს ისტორიიდან (თამარ მეფე, მათა წყნეთელი და ა.შ.), რომლებიც აბიტურიენტების მესამედმა დაასახელა (33.2%). ამ კატეგორიის ქალებიდან ყველაზე ხშირად მოხსენიებულია თამარ მეფე. აბიტურიენტები ასევე ასახელებენ ქალებს მსოფლიო ისტორიიდან (21.5%) და უცხოელ პოლიტიკოს ქალებს (13.6%). როგორც ჩანს, აბიტურიენტები არ იცნობენ ხელოვან, ფემინისტ და მეცნიერ ქალებს. ასეთი ქალები მხოლოდ რამდენიმე აბიტურიენტმა დაასახელა.
- ✓ ქულის მიხედვით განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია: მაღალქულიან ნაშრომებში თითქმის ორჯერ უფრო ხშირად მოჰყავთ მაგალითად კონკრეტული ქალები, ვიდრე საშუალოქულიან ნაშრომებში.
- ✓ მაგალითად მოყვანილი ქალების პროცენტული მაჩვენებლები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ტესტის ვარიანტის მიხედვით. ასეთი ქალების დასახელება თითქმის ორჯერ უფრო ხშირია პირველი ვარიანტის ნაშრომებში. ზოგადად, მაგალითების გამოყენება პირდაპირ კავშირშია არგუმენტირებული ესეის ვარიანტთან.
- ✓ ყველაზე ხშირად დასახელებული სამაგალითო ქალები არიან თამარ მეფე (552 ნაშრომი), მარგარეტ ტეტჩერი (313 ნაშრომი), ანგელა მერკელი (185 ნაშრომი), ელისაბედ მეორე (59 ნაშრომი), ინდირა განდი (54 ნაშრომი) და ჟანა დ'არკი (54 ნაშრომი).

## გენდერი და პროფესიები

- ✓ აბიტურიენტები ამბობენ, რომ ქალები არ უნდა დაეუფლონ ისეთ პროფესიებს, როგორებიცაა მუშა, ხელოსანი, მექანიკოსი (166 ნაშრომშია ნახსენები), ჯარისკაცი,

მეხანძრე, მძღოლი და ა.შ. ხოლო კაცი არ უნდა დაეუფლოს ისეთ პროფესიებს, როგორცაა ძიძა, სტილისტი, დიზაინერი, დამლაგებელი/მრეცხავი და არ უნდა იყოს დაკავებული საოჯახო საქმეებით, შვილების მოვლით.

- ✓ აბიტურიენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ კაცისთვის ზოგიერთი პროფესია შეუფერებელია, ხოლო ქალებთან დაკავშირებით იმასაც ამბობენ, რომ ზოგიერთ პროფესიას ქალი ვერ დაეუფლება გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობების გამო. მამაკაცის შესახებ ასეთი თვალსაზრისი არცერთ ნაშრომში არ დაფიქსირებულა.
- ✓ პროფესიებთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემია ის, რომ ქალებისთვის „აკრძალულია“ მასკულინური, ხოლო კაცებისთვის - ფემინური პროფესიები. საინტერესოა, რომ მასკულინურ პროფესიებად მიიჩნევა ფიზიკურ ძალასთან, დისციპლინასთან, რისკთან, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებასთან დაკავშირებული პროფესიები. სწორედ მათ დაუფლებას მიიჩნევენ აბიტურიენტთა ნაწილი ქალებისთვის შეუფერებლად. ფემინურ პროფესიებად კი ნაშრომების ავტორები თვლიან ბავშვებთან და სილამაზის ინდუსტრიასთან, წესრიგთან დაკავშირებულ პროფესიებს, რომელთა დაუფლებაც „კაცისთვის შეუფერებელია“.

## ქალის მახასიათებლები და სტერეოტიპები

- ✓ ნაშრომების 18.3%-ში ქალს მოიხსენიებენ, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელს, 8.9%-ში - როგორც მანდილოსანს, 6%-ში - როგორც ქალბატონს. აღნიშნული მონაცემები, როგორც აღმოჩნდა, დამოკიდებულია ქულაზე - ქალი მოხსენიებულია, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელი, მაღალქულიანი ნაშრომების 22.6%-სა და საშუალოქულიანი ნაშრომების 14%-ში. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ტერმინს - „სუსტი სქესის წარმომადგენელი“ დაახლოებით მსგავსი სიხშირით იყენებენ გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურად და ნეგატიურად განწყობილი აბიტურიენტები.
- ✓ აბიტურიენტები ქალს ძირითადად ახასიათებენ, როგორც სუსტს (170 ნაშრომი), ნახს, ფაქიზს ან სათუთს (104 ნაშრომი), დიპლომატიურს (86 ნაშრომი), ძლიერს (57 ნაშრომი), მშვიდს, წყნარს ან დინჯს (54 ნაშრომი).
- ✓ ბევრ ნაშრომში გვხვდება სტერეოტიპები. ერთ-ერთი ყველაზე ხშირი სტერეოტიპი გახლდათ ის, რომ ქალის მთავარი მოვალეობა შვილის აღზრდა ან ოჯახში საქმიანობაა, რაც ნიშნავს, რომ პერსპექტივის შეცვლის მიუხედავად, ქალი მაინც რჩება ოჯახთან მიბმული და თუ მისთვის ზოგიერთი საქმიანობით დაკავება „მიღებულია“, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პარალელურად „ოჯახს მოუვლის“.

## ინფორმირებულობა გენდერული საკითხების შესახებ

- ✓ რაც შეეხება ინფორმირებულობას გენდერული საკითხების მიმართ, ის ძალიან

დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ აბიტურიენტების უმრავლესობას სწორი დამოკიდებულება აქვს ზოგიერთი თემის მიმართ, მათ არ აქვთ ინფორმაცია და შესაბამისად, უჭირთ სხვადასხვა საკითხზე ადეკვატურად მსჯელობა. მაგალითად, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ტერმინებიდან, ნაშრომების 32.7%-ში გამოყენებულია ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ ან „გენდერული ბალანსი“. ნაშრომების მხოლოდ 2.2%-შია გამოყენებული „ფემინიზმი“ ან „ფემინისტი“. დანარჩენი ტერმინები კი მხოლოდ რამდენიმე ნაშრომში გვხვდება. აბიტურიენტები იშვიათად ახსენებენ ისეთ ტერმინებს, როგორცაა სექსიზმი, გენდერული პოლიტიკა, მასკულიზმი/ფემინური, გენდერული როლები და ა.შ. გენდერის თეორიების ან კვლევების შესახებ ინფორმირებულობა მხოლოდ 38 ნაშრომში ჩანს, ხოლო გენდერული დისკურსის ისტორიული საფუძვლების შესახებ - 135 ნაშრომში. ეს ადასტურებს, რომ სწორი პოზიციის მიუხედავად, აბიტურიენტებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა, რაც, ხშირ შემთხვევაში, იწვევს არაკონსტრუქციულ მსჯელობას ან ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს ერთსა და იმავე ნაშრომში.

## I. კვლევის მეთოდოლოგია

### 1.1. მიზნები და ამოცანები

პროექტის მიზანია ახალგაზრდების დამოკიდებულებებისა და მიდგომების შესწავლა გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ. ამ მიზნის განსახორციელებლად კვლევა შეისწავლის 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის I და II ვარიანტების საგამოცდო ტესტებში გენდერული თანასწორობის კუთხით შეტანილი დავალებების პასუხებს კონტენტანალიზის მეთოდის გამოყენებით.

კვლევის ამოცანებია:

1. საზოგადოებრივ ცხოვრებაში გენდერული როლების შესახებ მოსწავლეთა ზოგადი ცოდნისა და დამოკიდებულების შეფასება;
2. სტერეოტიპული მიდგომების გამოვლენა და გაანალიზება;
3. გენდერული თანასწორობის სწავლების კუთხით ზოგადი ტენდენციებისა და განწყობების გამოკვეთა;
4. ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

### 1.2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის გასაანალიზებლად გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდი. კვლევა მოიცავდა აბიტურიენტების ნაშრომების ანალიზს სქესობრივ და გეოგრაფიულ ჭრილშიც. როგორც უკვე აღინიშნა, კვლევას უნდა გამოერკვია ახალგაზრდების დამოკიდებულება გენდერული საკითხებისადმი,

რის საშუალებასაც 2013 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების I და II ვარიანტებში დაწერილი არგუმენტირებული ესეების ანალიზი გვაძლევდა. I ვარიანტის ტესტის დებულება ასე ჟღერდა: „სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისთვის“, ხოლო II ვარიანტის ტესტის დებულება ასეთი იყო: „არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ მამაკაცებისთვის ან მხოლოდ ქალებისთვის არის მიზანშეწონილი“. აბიტურიენტებს უნდა დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია ამ დებულებებთან დაკავშირებით.

კონტენტანალიზისთვის შეიქმნა კოდირების ანკეტა. მისმიზანსწარმოადგენდა აბიტურიენტთა ნაშრომებიდან ისეთი ცვლადების გამოყოფა, რომელთა თვისებრივად ან რაოდენობრივად გაანალიზებაც შესაძლებელია. რაოდენობრივი მასალის სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ის რეპრეზენტატულია 2013 წელს აბიტურიენტთათვის. კოდირების ანკეტა შედგებოდა, პირველ რიგში, დემოგრაფიული ინფორმაციისგან ნაშრომის ავტორის შესახებ: მისი რეგიონი, სქესი, მიღებული ქულა (საშუალო ან მაღალი) და მის მიერ დაწერილი ტესტის ვარიანტი.

ამის გარდა, კოდირების ანკეტის ძირითადი ნაწილი ეხებოდა არგუმენტებს, რომელთა საშუალებითაც ავტორი საკუთარ პოზიციას ამყარებდა. არგუმენტები შესაძლოა ყოფილიყო, როგორც დადებით კონტექსტში განხილული (მაგალითად: „პოლიტიკაში ქალების რაოდენობის გაზრდა, შესაძლოა, სხვა ქალებისთვის მაგალითი გახდეს.“), ასევე უარყოფითი (მაგალითად: „პოლიტიკაში ქალების რაოდენობის გაზრდამ, შესაძლოა, ქალებს ზედმეტი პრეტენზიები გაუჩინოს“).

არგუმენტების გარდა, კოდირების ანკეტის მიხედვით, ნაშრომში ყურადღება უნდა მიქცეოდა თუ რა სიტყვითმოიხსენიებდა ავტორი ქალს (მაგ. დედაკაცი, ქალბატონი, სუსტი სქესი და ა.შ), რა მაგალითებს მოიშველიებდა საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, ვინ მიაჩნდა წარმატებული ქალის მაგალითად, გამოიყენებდა თუ არა გენდერის საკითხებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ტერმინებს, გამოიყენებდა ნაშრომში თუ არა სტერეოტიპულ მიდგომებს და ა.შ.

### 1.3. შერჩევა

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტს აბიტურიენტთა ნაწერები მიაწოდა ქალთა საინფორმაციო ცენტრმა. სულ გაანალიზდა 1706 საშუალო და მაღალქულიანი ნაწერი. დაბალქულიან ნაწერებს წინამდებარე კვლევა არ მოიცავს. აქედან:

- ✓ პირველი ვარიანტის ნაშრომი 857 ცალია, მეორე ვარიანტის - 849;
- ✓ 863 ნაშრომის ავტორი მდედრობითი სქესისაა (50.6%), ხოლო 843 - მამრობითი სქესის (49.4%);
- ✓ 866 ნაშრომი საშუალოქულიანია (50.8%) და 840 - მაღალქულიანი (49.2%);

1706 ნაშრომისთვის ცდომილება შეადგენს 2.3%-ს, რაც ნიშნავს, რომ მონაცემები რეპრეზენტატულია აბიტურიენტებისთვის და მისი განზოგადება შესაძლებელია.

თითოეულ რეგიონში ცდომილება შეადგენს, საშუალოდ, 7.5%-ს 95%-იანი საიმედოობით, რაც ასევე იმას ნიშნავს, რომ მონაცემები შეიძლება განზოგადდეს თითოეული რეგიონის აბიტურიენტებზე. თითოეული რეგიონიდან, დაახლოებით, 160 ნაშრომი გაანალიზდა, აქედან ყველაზე ნაკლები - მცხეთა-მთიანეთიდან (140 ცალი) და რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო-სვანეთიდან (129 ცალი) (იხ. ცხრილი N1.1).

### ცხრილი N1.1

რეგიონი	კვლევაში ესეების რაოდენობა	სულ ესეების რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი საიმედოობით)
თბილისი	160	14492	7.7%
აჭარა	159	4342	7.6%
იმერეთი	160	6109	7.6%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	160	3063	7.6%
მცხეთა-მთიანეთი	140	822	7.7%
სამცხე-ჯავახეთი	160	1041	7.2%
შიდა ქართლი	159	2427	7.5%
კახეთი	159	2456	7.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	129	315	7.3%
გურია	160	867	7.1%
ქვემო ქართლი	160	2619	7.5%
<b>სულ</b>	<b>1706</b>	<b>38553</b>	<b>2.3%</b>

მონაცემები რეპრეზენტატულია ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთვის (აღმოსავლეთ საქართველოსთვის თბილისის გარეშე არის 3.4%, ხოლო თბილისის ჩათვლით - 3.1%). მონაცემები რეპრეზენტატულია სქესის და ნაშრომში მიღებული ქულის მიხედვითაც (იხ. ცხრილები N1.2, N1.3 და N1.4).

### ცხრილი N1.2

გეორგაფიული მდებარეობა	კვლევაში ესეების რაოდენობა	სულ ესეების რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი საიმედოობით)
აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	778	9365	3.4%
დასავლეთ საქართველო	768	14696	3.4%
თბილისი	160	14492	7.7%
<b>სულ</b>	<b>1706</b>	<b>38553</b>	<b>2.3%</b>

### ცხრილი N1.3

სქესი	კვლევაში ესეების რაოდენობა	სულ ესეების რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი საიმედოობით)
მდედრობითი	863	19911	3.3%
მამრობითი	843	18642	3.3%
<b>სულ</b>	<b>1706</b>	<b>38553</b>	<b>2.3%</b>

### ცხრილი N1.4

ქულა	კვლევაში ესეების რაოდენობა	სულ ესეების რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი საიმედოობით)
საშუალო ქულა	866	13018	3.2%
მაღალი ქულა	840	5173	3.1%
<b>სულ</b>	<b>1706</b>	<b>38553</b>	<b>2.3%</b>

## 1.4. საველე სამუშაოები

საველე სამუშაოები მოიცავდა ნაშრომების წაკითხვას და კოდირების ანკეტის შევსებას ნაშრომის მიხედვით. აღნიშნული სამუშაო ჩაატარეს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის თანამშრომლებმა. საველე სამუშაოებამდე განხორციელდა პილოტაჟიც.

## 1.5. კონტროლი

ველის დასრულების შემდეგ, განხორციელდა ველის კონტროლი. თითოეული თანამშრომლის გაკეთებული ანკეტების 10% შემოწმდა. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანალიტიკოსმა წინასწარ შემთხვევითად შერჩეულ ესეები დაამუშავა და შეადარა მონაცემთა ბაზას.

## 1.6. ანალიტიკური სამუშაოები

ანალიტიკური სამუშაოებისას, დამუშავდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემები.



## II. დემოგრაფიული მონაცემები

2013 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, აბიტურიენტებმა, სხვა გამოცდებთან ერთად, ჩააბარეს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა. გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 38 553-მა აბიტურიენტმა მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცა გენდერული საკითხების შესახებ ნაშრომი მხოლოდ მათ წერეს, ვისაც პირველი და მეორე ვარიანტები შეხვდათ. ასეთი სულ 19 400 აბიტურიენტი იყო<sup>1</sup>. სულ გაანალიზდა 1706 არგუმენტირებული ესეი.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტისთვის მოწოდებული ნაშრომების ავტორების შესახებ მხოლოდ ოთხი დემოგრაფიული კრიტერიუმი იყო ცნობილი - რეგიონი, სქესი, მიღებული ქულა და ტესტის ვარიანტი. კვლევაში გამოყენებული ნაშრომების რაოდენობა მეტ-ნაკლებად თანაბარია ოთხივე დემოგრაფიული ნიშნის მიხედვით.

როგორც უკვე აღინიშნა, გაანალიზდა ნაშრომები 10 რეგიონიდან და თბილისიდან. რაც შეეხება ტესტის ვარიანტს, აბიტურიენტებმა არგუმენტირებული ესეის 4 ვარიანტი წერეს, თუმცა აქედან მხოლოდ 2 მათგანი ეხებოდა გენდერულ საკითხებს - ერთი პოლიტიკაში ჩართულობას, ხოლო მეორე - პროფესიების არჩევას. შესაბამისად, კვლევისთვის სწორედ ეს ორი ვარიანტი იქნა გამოყენებული. შეფასების მიხედვით, ნაშრომები დაიყო სამ კატეგორიად - დაბალი (0 - 12 ქულა), საშუალო (13 - 16 ქულა) და მაღალი (17 - 20 ქულა). თუმცა იმის გამო, რომ დაბალქულიანი ნაშრომები მცირე ინფორმაციას შეიცავდა, კვლევამხოლოდ საშუალო და მაღალქულიანი ნაშრომებს ფარავს.

### 2.1. აბიტურიენტების განაწილება რეგიონის მიხედვით

სულ გაანალიზდა 1706 არგუმენტირებული ესე საქართველოს 10 რეგიონიდან და თბილისიდან: აღმოსავლეთ საქართველოდან -778 ნაშრომი, დასავლეთ საქართველოდან - 768, ხოლო თბილისიდან 160. თითოეული რეგიონიდან, დაახლოებით, 160 ესე იქნა გამოყენებული. ყველაზე ნაკლები ნაშრომი წარმოდგენილია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთიდან (129 ცალი) და მცხეთა-მთიანეთიდან (140 ცალი). გაანალიზებულია ზუსტად 160 ნაშრომი თბილისიდან, იმერეთიდან, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, გურიიდან და ქვემო ქართლიდან, ხოლო 159 ნაშრომი აჭარიდან, შიდა ქართლიდან და კახეთიდან (იხ. ცხრილი N2.1).

<sup>1</sup> წყარო: გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის პირველადი სტატისტიკური ანალიზი

## ცხრილი N2.1

რეგიონი	კვლევაში ესეების რაოდენობა	%
თბილისი	160	9.4%
აჭარა	159	9.3%
იმერეთი	160	9.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	160	9.4%
მცხეთა-მთიანეთი	140	8.2%
სამცხე-ჯავახეთი	160	9.4%
შიდა ქართლი	159	9.3%
კახეთი	159	9.3%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	129	7.6%
გურია	160	9.4%
ქვემო ქართლი	160	9.4%
<b>სულ</b>	<b>1 706</b>	<b>100%</b>

აღსანიშნავია, რომ სქესის მიხედვით, აბიტურიენტთა რაოდენობა თითქმის თანაბარია თითოეულ რეგიონში (იხ. ცხრილი N2.2). შედარებით მნიშვნელოვანი სხვაობაა მცხეთა-მთიანეთში, სადაც მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები (N=79) აჭარბებენ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს (N=61).

თანაბარია თითოეულ რეგიონში განაწილება ქულების მიხედვითაც (იხ. ცხრილი N2.2). გამონაკლისებია: კახეთი, სადაც საშუალოქულიანთა რაოდენობა (97 აბიტურიენტი) მნიშვნელოვნად აღემატება მაღალქულიანთა რაოდენობას (62 აბიტურიენტი); აჭარა, სადაც საშუალოქულიანთა რაოდენობა (83 აბიტურიენტი) აღემატება მაღალქულიანთა რაოდენობას (76 აბიტურიენტი); მცხეთა-მთიანეთი, სადაც მაღალქულიანთა რაოდენობა (80 აბიტურიენტი) აღემატება საშუალოქულიანთა რაოდენობას (60 აბიტურიენტი). დანარჩენ რეგიონებში ქულების მიხედვით განაწილება თანაბარია ან 1-3 ნაშრომით განსხვავდება ერთმანეთისგან.

რაც შეეხება ტესტის ვარიანტების განაწილებას თითოეულ რეგიონს შიგნით (იხ. ცხრილი N2.2), აქ რაოდენობა მხოლოდ რამდენიმე რეგიონშია თითქმის თანაბარი (ე.ი. განსხვავება მხოლოდ 1-3 ნაშრომს შეადგენს) - აჭარაში, შიდა ქართლსა და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. მეორე ვარიანტის ნაშრომების რაოდენობა აღემატება პირველი ვარიანტის ნაშრომების რაოდენობას თბილისში (მეორე ვარიანტი - 91, პირველი - 69), კახეთში (მეორე ვარიანტი - 86, პირველი - 73), სამეგრელო-ზემო სვანეთში (მეორე ვარიანტი - 85, პირველი - 75) და სამცხე-ჯავახეთში (მეორე ვარიანტი - 83, პირველი - 77). პირველი ვარიანტის ნაშრომების რაოდენობა კი მეორე ვარიანტის ნაშრომების რაოდენობას აღემატება მცხეთა მთიანეთში (პირველი ვარიანტი - 81, მეორე - 59), გურიაში (პირველი ვარიანტი - 90, მეორე - 70), იმერეთში (პირველი ვარიანტი - 85, მეორე - 75) და ქვემო ქართლში (პირველი ვარიანტი - 83, მეორე - 77).

## ცხრილი N2.2\*

რეგიონი	სულ	ვარიანტი		ქულა		სქესი	
		I ვარიანტი	II ვარიანტი	საშუალო ქულა	მაღალი ქულა	მდედრობითი	მამრობითი
თბილისი	160	69	91	80	80	80	80
აჭარა	159	80	79	83	76	79	80
იმერეთი	160	85	75	80	80	80	80
სამეგრელო-ზემო სვანეთი	160	75	85	80	80	80	80
მცხეთა-მთიანეთი	140	81	59	60	80	79	61
სამცხე-ჯავახეთი	160	77	83	80	80	80	80
შიდა ქართლი	159	78	81	80	79	80	79
კახეთი	159	73	86	97	62	79	80
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	129	66	63	66	63	66	63
გურია	160	90	70	80	80	80	80
ქვემო ქართლი	160	83	77	80	80	80	80
<b>სულ</b>	<b>1 706</b>	<b>857</b>	<b>849</b>	<b>866</b>	<b>840</b>	<b>863</b>	<b>843</b>


\* გაფერადებულია მხოლოდ ის განსხვავებები, რომლებიც განხილულია ტექსტში

აღმოჩნდა, რომ თითოეულ რეგიონში ბალანსი დაცულია სქესის და ქულის მიხედვით, ხოლო შედარებით ნაკლებად - ტესტის ვარიანტის მიხედვით.

## 2.2. აბიტურიენტების განაწილება ტესტის ვარიანტის მიხედვით

როგორც უკვე აღინიშნა, პირველი და მეორე ვარიანტის ესეები სულ 19 400-მა აბიტურიენტმა წერა. აქედან, პირველი ვარიანტის ესეი სულ 9 689-მა, ხოლო მეორე ვარიანტის ესე - 9 711-მა. კვლევის ფარგლებში სულ 1 706 ნაშრომი გაანალიზდა, რომელთაგან 857 პირველი ვარიანტის ნაშრომი, ხოლო 849 - მეორე ვარიანტის ნაშრომი იყო (იხ. დიაგრამა N2.1)<sup>2</sup>.

შესაბამისად, გაანალიზებულ ნაშრომთაგან, პირველი ვარიანტის არგუმენტირებული ესეების რაოდენობა ოდნავ აჭარბებდა



<sup>2</sup> წყარო: გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის პირველადი სტატისტიკური ანალიზი

მეორე ვარიანტის არგუმენტირებულ ესეების რაოდენობას. თუმცა თითოეული ვარიანტის შემთხვევაში, მოხერხდა ბალანსის დაცვა ქულისა და სქესის მიხედვით (იხ. ცხრილი N2.3).

პირველი ვარიანტის ნაშრომებს შორის საშუალოქულიანების რაოდენობამ მაღალქულიანების რაოდენობას გადააჭარბა. მეორე ვარიანტის ნაშრომებს შორის კი მდედრობითი სქესის აბიტურიენტების რაოდენობა მამრობითი სქესის აბიტურიენტების რაოდენობაზე მეტი იყო.

**ცხრილი N2.3**

ტესტის ვარიანტი	სულ	ქულა		სქესი	
		საშუალო	მაღალი	მდედრობითი	მამრობითი
I ვარიანტი	857	439	418	430	427
II ვარიანტი	849	427	422	433	416
<b>სულ</b>	<b>1 706</b>	<b>866</b>	<b>840</b>	<b>863</b>	<b>843</b>

საბოლოო ჯამში, ტესტის ვარიანტის მიხედვით ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცულია როგორც ქულის, ასევე სქესის მიხედვით.


**2.3. აბიტურიენტების განაწილება სქესის მიხედვით**

როგორც კვლევის მეთოდოლოგიის განხილვისას აღინიშნა, კვლევა რეპრეზენტატიულია სქესის მიხედვითაც. სულ გაანალიზდა 863 მდედრობითი (50.6%) და 843 მამრობითი სქესის აბიტურიენტის (49.4%) ნაშრომი (იხ. დიაგრამა N2.2).

თითოეული სქესის აბიტურიენტებს შორის ბალანსი დაცულია როგორც ტესტის ვარიანტის, ასევე ქულის მიხედვით (იხ. ცხრილი N2.4).

აღსანიშნავია, რომ მამრობითი სქესის აბიტურიენტებს შორის, თანაბარია საშუალო და მაღალქულიანთა რაოდენობა, ხოლო მდედრობითი სქესის შემთხვევაში, საშუალო ქულიანთა რაოდენობა (445 აბიტურიენტი) აღემატება მაღალქულიანთა რაოდენობას (418 აბიტურიენტი).

მდედრობითი სქესის აბიტურიენტებს შორის თითქმის თანაბარია განაწილება




ტესტის ვარიანტის მიხედვით, ხოლო მამრობითი სქესის აბიტურიენტების შორის პირველი ვარიანტის ტესტის მქონეთა რაოდენობა (427 აბიტურიენტი) ოდნავ აღემატება მეორე ვარიანტის მქონეთა რაოდენობას (416 აბიტურიენტი).

#### ცხრილი N2.4

სქესი	სულ	ვარიანტი		ქულა	
		I ვარიანტი	II ვარიანტი	საშუალო	მაღალი
მდედრობითი	863	430	433	445	418
მამრობითი	843	427	416	421	422
<b>სულ</b>	<b>1 706</b>	<b>857</b>	<b>849</b>	<b>866</b>	<b>840</b>

#### 2.4. აბიტურიენტების განაწილება ქულის მიხედვით

რაც შეეხება ქულების მიხედვით განაწილებას, სულ გაანალიზდა 866 საშუალოქულიანი (50.8%) და 840 - მაღალქულიანი (49.2%) ნაშრომი (იხ. დიაგრამა N2.3).



როგორც უკვე აღინიშნა, კვლევა ნაშრომებს განასხვავებდა არგუმენტირებულ ესეში მიღებული ქულის მიხედვით. საშუალოქულიანი (13-16 ქულა) ნაშრომების რაოდენობა მცირედ აღემატებოდა მაღალქულიანი (17-20 ქულა) ნაშრომების რაოდენობას.

ამ ორი კატეგორიის ნაშრომებში დაცული იყო ბალანსი ტესტის ვარიანტის და სქესის მიხედვით (იხ. ცხრილი N2.5).

საშუალო ქულიან ნაშრომებში მდედრობითი სქესის აბიტურიენტების რაოდენობა ჭარბობდა მამრობითი სქესის რაოდენობას. რაც შეეხება ტესტის ვარიანტებს, საშუალოქულიან ნაშრომებში პირველი ვარიანტი ამეტებდა.

#### ცხრილი N2.5

მიღებული ქულა	სულ	ვარიანტი		სქესი	
		I ვარიანტი	II ვარიანტი	მდედრობითი	მამრობითი
საშუალო	866	439	427	445	421
მაღალი	840	418	422	418	422
<b>სულ</b>	<b>1 706</b>	<b>857</b>	<b>849</b>	<b>863</b>	<b>843</b>

## შეჯამება

2013 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, აბიტურიენტებმა, სხვა გამოცდებთან ერთად, ჩააბარეს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა. სულ ამ გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 38 553-მა აბიტურიენტმა მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცა გენდერული საკითხების შესახებ ნაშრომი მხოლოდ მათ წერეს, ვისაც პირველი და მეორე ვარიანტები შეხვდათ, სულ 19 400-მა აბიტურიენტმა. პირველი ვარიანტის ესეი სულ 9 689 აბიტურიენტმა წერა, ხოლო მეორე ვარიანტის ესეი - 9 711-მა. კვლევის ფარგლებში სულ 1 706 ნაშრომი გაანალიზდა, რომელთაგან 857 პირველი ვარიანტი იყო, ხოლო 849 - მეორე ვარიანტი. ტესტის ვარიანტის მიხედვით ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცული იყო როგორც ქულის, ასევე სქესის მიხედვით.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტისთვის მოწოდებული ნაშრომების ავტორების შესახებ მხოლოდ ოთხი დემოგრაფიული კრიტერიუმი იყო ცნობილი - რეგიონი, სქესი, მიღებული ქულა და ტესტის ვარიანტი. კვლევაში გამოყენებული ნაშრომების რაოდენობა მეტ-ნაკლებად თანაბარია ოთხივე დემოგრაფიული ნიშნის მიხედვით.

კვლევა მოიცავს ნაშრომების ანალიზს 10 რეგიონიდან და თბილისიდან. თითო რეგიონიდან გაანალიზდა, საშუალოდ, 160 ნაშრომი. ყველაზე ნაკლები არგუმენტირებული ესეი იყო რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთიდან (129 ცალი) და მცხეთა-მთიანეთიდან (140 ცალი). თითოეულ რეგიონში მოხერხდა ბალანსის დაცვა სქესის და ქულის მიხედვით, ხოლო შედარებით ნაკლებად - ტესტის ვარიანტის მიხედვით.

1 706 ნაშრომიდან 863-ის ავტორი იყო მდედრობითი სქესის (50.6%), ხოლო 843 მამრობითი სქესის (49.4%) აბიტურიენტი. თითოეული სქესის აბიტურიენტებს შორის ბალანსი დაცულია როგორც ტესტის ვარიანტის, ასევე ქულის მიხედვითაც. რაც შეეხება ქულას, კვლევამ მოიცვა 866 საშუალოქულიანი (50.8%) და 840 - მაღალქულიანი (49.2%) ნაშრომი. როგორც საშუალო, ასევე მაღალქულიანებში მეტ-ნაკლებად დაცულია ბალანსი სქესის და ტესტის ვარიანტის მიხედვით.

### III. აბიტურიენტების ზოგადი პოზიცია

კვლევას უნდა გამოერკვია ახალგაზრდების დამოკიდებულება გენდერული საკითხებისადმი, რის საშუალებასაც 2013 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების I და II ვარიანტებში დაწერილი არგუმენტირებული ესეების ანალიზი გვაძლევდა. როგორც უკვე აღინიშნა, პირველი ვარიანტი წერა სულ 9 689-მა აბიტურიენტმა, ხოლო კვლევამ მოიცვა 857 მათგანის ნაშრომი.

I ვარიანტის ტესტის დებულება ჟღერდა ასე:

---

„სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისთვის.“

ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული გამოცდის ტესტის I ვარიანტი

---

აბიტურიენტი უნდა დასთანხმებოდა დებულებას, ან უნდა უარეყო ის. შესაბამისად, გამოიყო აბიტურიენტების ნაშრომების დახარისხების პირველი კრიტერიუმი: „პოზიტიური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ“ (ნაშრომები, რომელთა ავტორებიც ეთანხმებოდნენ დებულებას) და „ნეგატიური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ“ (ნაშრომები, რომელთა ავტორებიც არ ეთანხმებოდნენ დებულებას). თუმცა გარკვეული ნაშრომებიდან აბიტურიენტის პოზიციის დანახვა, შესაძლოა, გართულებულიყო, ამიტომ დაემატა ვარიანტი „პოზიცია არ ჩანს“.

ნეგატიურ დამოკიდებულებას, თავის მხრივ, ორი სავარაუდო მიზეზი უნდა ჰქონოდა: ერთი მხრივ, დაშვება, რომ ქალისთვის, შედარებით, შეუფერებელია ეს სფერო, ხოლო მეორე მხრივ, ხაზგასმა, რომ სქესს არ აქვს და არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა პოლიტიკოსებზე საუბრისას. ეს უკანასკნელი, თავისი შინაარსით, არც პოზიტიურ დამოკიდებულებას მიეკუთვნება და არც ნეგატიურს, ამიტომ, ზოგიერთი ცვლადის განხილვისას, აღნიშნული პოზიცია ცალკე პასუხად გვევლინება. ზოგიერთ ცვლადთან დაკავშირებით კი იგი გაერთიანდა „ნეგატიურ დამოკიდებულებასთან“. ამის მიზეზი ისაა, რომ გარკვეული აზრით, ორივე პოზიცია დებულების ნეგაციას გულისხმობს.

პირველი ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებით მოსაზრებები დაიყო ოთხ ძირითად პოზიციად: „პოზიტიური დამოკიდებულება“, „ნეგატიური დამოკიდებულება“, „სქესს მნიშვნელობა არ აქვს“ და „პოზიცია არ ჩანს“, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში - სამ პოზიციად: „პოზიტიური დამოკიდებულება“, „ნეგატიური დამოკიდებულება + სქესს მნიშვნელობა არ აქვს“ და „პოზიცია არ ჩანს“.

## II ვარიანტის ტესტის დებულება კი ასეთი იყო:

„არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ მამაკაცებისთვის ან მხოლოდ ქალებისთვის არის მიზანშეწონილი.“

ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული გამოცდის ტესტის II ვარიანტი


აბიტურიენტი უნდა დათანხმებოდა დებულებას, ან უნდა უარეყო ის და საკუთარი თვალსაზრისი არგუმენტებით გაემყარებინა. შესაბამისად, გამოიყო აბიტურიენტების ნაშრომების დახარისხების კრიტერიუმი: „პროფესიების მიხედვით გენდერული დიფერენციაციის მოწინააღმდეგე“ (ნაშრომები, რომელთა ავტორებიც არ ეთანხმებოდნენ აღნიშნულ დებულებას) და „პროფესიების მიხედვით გენდერული დიფერენციაციის მომხრე“ (ნაშრომები, რომელთა ავტორებიც ეთანხმებოდნენ დებულებას). თუმცა, ასევე, შესაძლებელია, ნაშრომიდან რთული ყოფილიყო აბიტურიენტის პოზიციის დანახვა, ამიტომ დაემატა ვარიანტი „პოზიცია არ ჩანს“.

როგორც მონაცემები ცხადყოფს, აბიტურიენტების დეკლარირებული პოზიცია, ძირითადად, პოზიტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.

### 3.1. პირველი ვარიანტის არგუმენტირებული ესეი

პირველი ვარიანტის დებულებას („სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისთვის“) ეთანხმება აბიტურიენტების უმრავლესობა (77%), ხოლო არ ეთანხმება თითქმის მეთედი (9.8%, 84 აბიტურიენტი) (არ ეთანხმება, ანუ მიიჩნევს, რომ მამაკაცები უკეთ ასრულებენ ამ საქმიანობას). დაახლოებით ამდენივე მიიჩნევს, რომ სქესს არ აქვს მნიშვნელობა (9.9%, 85 აბიტურიენტი), შესაბამისად, ქალების რაოდენობის ზრდა მათთვის მნიშვნელოვან საკითხს არ წარმოადგენს. პირველი ვარიანტის ესეების 2.6%-ის შემთხვევაში ავტორის პოზიცია ბუნდოვანი ან გაურკვეველია (იხ. დიაგრამა N3.1).

#### დიაგრამა N3.1





თუ ანალიტიკური დაჯგუფებისას პოზიციას „სქესს მნიშვნელობა არ აქვს“ ნეგატიურ დამოკიდებულებას გავუერთიანებთ, მივიღებთ სურათს, სადაც აბიტურიენტების მეხუთედი (19.7%) პოლიტიკაში ქალების გაზრდის მომხრე არ არის.

ასეთი მაღალი პროცენტული მონაცემი რამდენიმე სავარაუდო მიზეზით ან მიზეზთა კომბინაციით შეიძლება იყოს გამოწვეული:

- ✓ აბიტურიენტების გულწრფელი პოზიცია პოლიტიკაში ქალები ჩართვასთან დაკავშირებით;
- ✓ აბიტურიენტების ვარაუდი, რომ ამ პოზიციის დამტკიცება უფრო მარტივია არგუმენტებითა და მაგალითებით, ვიდრე საპირისპირო პოზიციისა;
- ✓ სოციალური სასურველობის ფაქტორი.

წარმოდგენილი მიზეზებიდან ნებისმიერ შემთხვევაში, 77.7%-იანი უპირატესობა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი წინსვლაა, რაც მიგვანიშნებს, რომ აბიტურიენტებს (რომლებიც ახლა, სავარაუდოდ, მეორე-მესამე კურსის სტუდენტები არიან) აქვთ მზაობა, იმსჯელონ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მიიღონ ინფორმაცია ამის შესახებ და ჰქონდეთ სწორი პოზიცია.

ამგვარ მზაობას (ერთგვარ „მოთხოვნას“) სჭირდება შესაბამისი ინფორმირებულობის ხარისხი. სწორედ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გამოვლინდა პრობლემები, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, თუმცა ამას მოგვიანებით განვიხილავთ.

### **3.1.1. ტესტის პირველი ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებული პოზიციარეგიონების მიხედვით**

რეგიონების მიხედვით, ძირითადი ტენდენციები ერთმანეთისგან არ განსხვავდება (იხ. ცხრილი N3.1). უნდა აღინიშნოს, რომ დებულებასთან დაკავშირებით პოზიტიური დამოკიდებულება შედარებით ხშირია ქვემო ქართლში (88.0%), სამცხე-ჯავახეთში (83.1%), აჭარაში (81.3%), შიდა ქართლში (80.8%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (80.0%).

ყველაზე იშვიათად პოზიტიური დამოკიდებულება გვხვდება მცხეთა-მთიანეთში (66.7%) და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (69.7%).

შესაბამისად, ნეგატიური დამოკიდებულება ყველაზე ხშირად გვხვდება მცხეთა-მთიანეთში (21%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (15.2%), კახეთში (11%) და თბილისში (10.1%). სამცხე-ჯავახეთს, სადაც ნეგატიური დამოკიდებულების ხვედრითი წილი 13%-ს შეადგენს, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს პოზიტიურ დამოკიდებულებაშიც (ქვემო ქართლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი). ეს ნიშნავს, რომ სამცხე-ჯავახეთში შედარებით იშვიათად გვხვდება გაურკვეველი პოზიცია ან დაფიქსირდა პოზიცია „სქესს არ აქვს მნიშვნელობა“ და ამ პასუხების ხარჯზე გაიხარდა ნეგატიური დამოკიდებულების ხვედრითი წილი.

ყველაზე ხშირად პოზიცია „სქესს არ აქვს მნიშვნელობა“ დაფიქსირდა კახეთში

(15.1%), იმერეთში (14.1%), შიდა ქართლში (12.8%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო-სვანეთში (12.1%), თბილისში (11.6%) და გურიაში (10%).

### ცხრილი N3.1\*

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით (ვარიანტი I)	პოზიტიური დამოკიდებულება	ნეგატიური დამოკიდებულება	სქესს არ აქვს მნიშვნელობა	პოზიცია არ ჩანს
თბილისი	72.5%	10.1%	11.6%	5.8%
აჭარა	81.3%	6.3%	8.8%	3.8%
იმერეთი	78.8%	4.7%	14.1%	2.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	80.0%	8.0%	9.3%	2.7%
მცხეთა-მთიანეთი	66.7%	21.0%	7.4%	4.9%
სამცხე-ჯავახეთი	83.1%	13.0%	3.9%	-
შიდა ქართლი	80.8%	6.4%	12.8%	-
კახეთი	72.6%	11.0%	15.1%	1.4%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	69.7%	15.2%	12.1%	3.0%
გურია	78.9%	7.8%	10.0%	3.3%
ქვემო ქართლი	88.0%	6.0%	4.8%	1.2%
<b>სულ</b>	<b>666 (77.7%)</b>	<b>84 (9.8%)</b>	<b>85 (9.9%)</b>	<b>22 (2.6%)</b>

\* გაფურადებულია მხოლოდ ის მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც განხილულია ტექსტში

თუ ანალიტიკურად გავაერთიანებთ პოზიციებს „ნეგატიური დამოკიდებულება“ და „სქესს არ აქვს მნიშვნელობა“, ასეთ სურათს მივიღებთ: ყველაზე ხშირად ნეგატიურ დამოკიდებულებას ვხვდებით მცხეთა-მთიანეთში (28.4%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (27.3%) და კახეთში (26%). ამ სამ რეგიონში აბიტურიენტების მეოთხედზე მეტი დებულებას არ ეთანხმება. თბილისში ასეთი აბიტურიენტების რაოდენობა 21.7%-ი, მეხუთედზე მეტია (იხ. ცხრილი N3.2). საგულისხმოა, რომ ცვლადების გაერთიანებამდე ნეგატიურ დამოკიდებულებაში გამოვლენილი ტენდენცია ზუსტად იგივე რჩება 2 ცვლადის გაერთიანების შედეგადაც (გამონაკლისია მხოლოდ სამცხე-ჯავახეთი), ანუ ყველაზე ნეგატიურ დამოკიდებულებას იგივე რეგიონები ავლენენ, რომელთა უარყოფითი მოსაზრებებიც წინა ცხრილში ვიხილეთ.

**ცხრილი N3.2\***

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით (ვარიანტი I)	პოზიტიური დამოკიდებულება	ნეგატიური დამოკიდებულება + სქესს არ აქვს მნიშვნელობა	პოზიცია არ ჩანს
თბილისი	72.5%	21.7%	5.8%
აჭარა	81.3%	15.0%	3.8%
იმერეთი	78.8%	18.8%	2.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	80.0%	17.3%	2.7%
მცხეთა-მთიანეთი	66.7%	28.4%	4.9%
სამცხე-ჯავახეთი	83.1%	16.9%	-
შიდა ქართლი	80.8%	19.2%	-
კახეთი	72.6%	26.0%	1.4%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	69.7%	27.3%	3.0%
გურია	78.9%	17.8%	3.3%
ქვემო ქართლი	88.0%	10.8%	1.2%
<b>სულ</b>	<b>666 (77.7%)</b>	<b>169 (19.7%)</b>	<b>22 (2.6%)</b>

\* გაფერადებულია მხოლოდ ის მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც განხილულია ტექსტში

საგულისხმოა, რომ ცვლადების გაერთიანებამდე ნეგატიურ დამოკიდებულებაში გამოვლენილი ტენდენცია ზუსტად იგივე რჩება 2 ცვლადის გაერთიანების შედეგადაც. საბოლოო ჯამში, ერთი და იმავე ცვლადის ორგვარი ანალიტიკური დამუშავებისას, ერთსა და იმავე ტენდენციას ვიღებთ:

- ✓ პირველი ვარიანტის ტექსტის დებულებას ყველაზე ხშირად ეთანხმებიან (ანუ, ამბობენ, რომ სასურველია, პოლიტიკაში ქალის რაოდენობა გაიზარდოს) ქვემო ქართლში (88%), აჭარაში (81.3%), სამცხე-ჯავახეთში (83.1%), შიდა ქართლსა (80.8%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (80%);
- ✓ პოზიტიური დამოკიდებულების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ქვემო ქართლში გამოვლინდა;
- ✓ ყველაზე იშვიათად პოზიტიური დამოკიდებულება გვხვდება 4 რეგიონში: მცხეთა-მთიანეთში (28.4%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (27.3%), კახეთში (26%) და თბილისში (21.7%);
- ✓ დაახლოებით მსგავსი პროცენტული გადანაწილებებია თბილისსა და კახეთში; აჭარაში, სამეგრელოსა და შიდა ქართლში; იმერეთსა და გურიაში.

**3.1.2. ტექსტის პირველი ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებული პოზიციასქესისა და ქულისმიხედვით**

სქესისა და ქულის მიხედვით, ძირითადი ტენდენციები ერთმანეთისგან არ განსხვავდება, თუმცა სახეზეა მცირე განსხვავებები.

მაღალქულიანი აბიტურიენტები შედარებით ხშირად ეთანხმებიან დებულებას, ხოლო საშუალო ქულიანები შედარებით ხშირად არ ეთანხმებიან მას. განსხვავება

უფრო მნიშვნელოვანია სქესის მიხედვით, სადაც ნათლად ჩანს, რომ მდედრობითი სქესის აბიტურიენტები უფრო ხშირად ეთანხმებიან დებულებას, ვიდრე მამრობითი სქესისანი (განსხვავება 10%-ია). ამასთანავე, მაღალქულიანები უფრო ხშირად ამბობენ, რომ „სქესს არ აქვს მნიშვნელობა“, ვიდრე საშუალო ქულიანები (იხ. ცხრილი N3.3).

### ცხრილი N3.3

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით (ვარიანტი I)	სულ	ქულა		სქესი	
		საშუალო	მაღალი	მდედრობითი	მამრობითი
პოზიტიური დამოკიდებულება	666	75.9%	79.7%	82.6%	72.8%
ნეგატიური დამოკიდებულება	84	11.8%	7.7%	7.7%	11.9%
სქესს არ აქვს მნიშვნელობა	85	8.4%	11.5%	6.7%	13.1%
პოზიცია არ ჩანს	22	3.9%	1.2%	3.0%	2.1%

თუ ანალიტიკურად გავაერთიანებთ პასუხებს „ნეგატიური დამოკიდებულება“ და „სქესს არ აქვს მნიშვნელობა“, განსხვავება უფრო თვალსაჩინო გახდება: კერძოდ, საშუალო და მაღალქულიანების პოზიციებს შორის განსხვავება მცირეა, მნიშვნელოვანია მდედრობითი და მამრობითი სქესის აბიტურიენტების პოზიციებს შორის განსხვავება. როგორც ჩანს, პოზიცია დიდწილადაა სქესზე დამოკიდებული. მამრობითი სქესის წარმომადგენელთა მეოთხედი არ ეთანხმება პირველი ვარიანტის დებულებას მაშინ, როდესაც გოგონებში არ ეთანხმება მხოლოდ 14.4%. სქესის მიხედვით პოზიციებს შორის განსხვავება 10%-მდეა(იხ. ცხრილი N3.4).


### ცხრილი N3.4

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით (ვარიანტი I)	სულ	ქულა		სქესი	
		საშუალო	მაღალი	მდედრობითი	მამრობითი
ეთანხმება დებულებას	666	75.9%	79.7%	82.6%	72.8%
არ ეთანხმება დებულებას	169	20.3%	19.1%	14.4%	25.1%
პოზიცია არ ჩანს	22	3.9%	1.2%	3.0%	2.1%

## 3.2. მეორე ვარიანტის არგუმენტირებული ესე

მეორე ვარიანტის დებულებას („არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ მამაკაცებისთვის ან მხოლოდ ქალებისთვის არის მიზანშეწონილი“) არ ეთანხმება აბიტურიენტების უმრავლესობა (62.2%, 528 აბიტურიენტი), ხოლო ეთანხმება მესამედზე მეტი (35.9%, 305 აბიტურიენტი). მეორე ვარიანტის ესეების 1.9% შემთხვევაში, ავტორის პოზიცია ბუნდოვანი ან გაურკვეველია (იხ. დიაგრამა N3.2).

### დიაგრამა N3.2



ცალსახაა, რომ გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას ამ დებულებასთან დაკავშირებით უფრო ნაკლები აბიტურიენტი აფიქსირებს, ვიდრე პირველ დებულებასთან დაკავშირებით. მეორე დებულებასთან დაკავშირებულ პოზიციაზე მსჯელობა გაცილებით მარტივია - პირველ რიგში, აქ შედარებით ნაკლები შეიძლება ყოფილიყო სოციალური სასურველობის ფაქტორის გავლენა, გარდა ამისა, ბევრი არგუმენტის მოყვანის შესაძლებლობა ნაკლები იყო როგორც დათანხმების, ასევე არდათანხმების შემთხვევაშიც.

#### 3.2.1. ტესტის მეორე ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებული პოზიციარეგიონების მიხედვით

რეგიონების მიხედვით, ძირითადი ტენდენციები ერთმანეთისგან არ განსხვავდება (იხ. ცხრილი N3.5). უნდა აღინიშნოს, რომ დებულებას არ ეთანხმება (ანუ გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ) 528 რესპონდენტი. მათი პროცენტული გადანაწილება მსგავსია რეგიონების მიხედვით, თუმცა მცირე განსხვავებები მაინც შეინიშნება. მაგალითად, ყველაზე ხშირად დებულებას არ ეთანხმებიან ქვემო ქართლში (72.7%), გურიასა (68.6%) და აჭარაში (64.6%), ხოლო ყველაზე ხშირად ეთანხმებიან (ანუ ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ გენდერული თანასწორობის მიმართ) მცხეთა-მთიანეთში (44.1%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (43.5%), შიდა ქართლში (38.3%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (38.1%) და თბილისში (37.4%).

### ცხრილი N3.5\*

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით (ვარიანტი II)	პოზიტიური დამოკიდებულება	ნეგატიური დამოკიდებულება	პოზიცია არ ჩანს
თბილისი	62.6%	37.4%	-
აჭარა	64.6%	35.4%	-
იმერეთი	62.7%	33.3%	4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	56.5%	43.5%	-
მცხეთა-მთიანეთი	55.9%	44.1%	-
სამცხე-ჯავახეთი	62.7%	36.1%	1.2%
შიდა ქართლი	58.0%	38.3%	3.7%
კახეთი	61.6%	34.9%	3.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	57.1%	38.1%	4.8%
გურია	68.6%	31.4%	-
ქვემო ქართლი	72.7%	23.4%	3.9%
<b>სულ</b>	<b>528 (62.2%)</b>	<b>305 (35.9%)</b>	<b>16 (1.9%)</b>

\*გაფურადებულია მხოლოდ ის მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც განხილულია ტექსტში

საბოლოო ჯამში, გამოვლინდა, რომ:

- ✓ დებულებას ყველაზე ხშირად არ ეთანხმებიან ქვემო ქართლში (72.7%), გურიასა (68.6%) და აჭარაში (64.6%);
- ✓ გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებულ მეორე ვარიანტის დებულებას ყველაზე ხშირად ეთანხმებიან მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთსა და შიდა ქართლში.

### 3.2.2. ტესტის მეორე ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებული პოზიციასქესისა და ქულისმიხედვით

პირველი ვარიანტის დებულებისგან განსხვავებით, მეორე ვარიანტის დებულებაზე გაცილებით დიდი გავლენა აქვს ქულას. მაღალქულიანი აბიტურიენტები გაცილებით ხშირად აფიქსირებენ გარკვეული გაგებით, ფემინისტურ პოზიციას (69.7% არ ეთანხმება დებულებას), ვიდრე საშუალოქულიანები. ეს უკანასკნელნი, ძირითადად, საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან (42.9% ეთანხმება დებულებას). პოზიციებს შორის პროცენტულ გადანაწილებაში სხვაობა, დაახლოებით, 15 პროცენტია.

პოზიციაზე გავლენა აქვს სქესსაც. ცხრილში N3.6 ჩანს, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები გაცილებით ხშირად აფიქსირებენ პოზიტიურ დამოკიდებულებას გენდერული თანასწორობის მიმართ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები. პროცენტულ გადანაწილებაში სხვაობა, დაახლოებით, 10%-ია.

### ცხრილი N3.6

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით (ვარიანტი II)	სულ	ქულა		სქესი	
		საშუალო	მაღალი	მდედრობითი	მამრობითი
პოზიტიური დამოკიდებულება	528	54.8%	69.7%	67.7%	56.5%
ნეგატიური დამოკიდებულება	305	42.9%	28.9%	30.7%	41.3%
პოზიცია არ ჩანს	16	2.3%	1.4%	1.6%	2.2%
<b>სულ</b>	<b>849</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

### 3.3. პირველი და მეორე ვარიანტის არგუმენტირებული ესეების შედარება


საინტერესოა პირველი და მეორე ვარიანტების ნაშრომებში დაფიქსირებული პოზიციების ერთმანეთთან შედარება.

პირველი ვარიანტის ნაშრომისთვის პოზიტიური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ ნიშნავს დებულებისადმი დათანხმებას ანუ მიჩნევას, რომ „სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისთვის“. პირველი ვარიანტის ნაშრომისთვის ნეგატიური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ ნიშნავს დებულების უარყოფას, ანუ პოზიციას, რომ „სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელი არ არის ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისთვის“. პირველ დებულებასთან დაკავშირებით „სქესს მნიშვნელობა არ აქვს“ ისეთ ნაშრომებთან დაკავშირებით გვხვდებოდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ პოლიტიკაში ჩართვის სურვილს სქესი არ უნდა განსაზღვრავდეს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პოზიცია მაინც ახდენს დებულების საპირისპირო პოზიციის პერიფრაზს: გულისხმობს, რომ ქალების ჩართვა არ არის აუცილებელი პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისთვის, ამიტომ, შედარებისას ეს ორი პოზიცია (ნეგატიური დამოკიდებულება და სქესს მნიშვნელობა არ აქვს) გაერთიანდა.

მეორე დებულების შემთხვევაში, პოზიტიური დამოკიდებულება ნიშნავს პოზიციას „არ არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ მამაკაცებისთვის ან მხოლოდ ქალებისთვის არის მიზანშეწონილი“, ხოლო ნეგატიური დამოკიდებულება ნიშნავს პოზიციას „არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ მამაკაცებისთვის ან მხოლოდ ქალებისთვის არის მიზანშეწონილი“.

როგორც დიაგრამაზე N3.3 ჩანს, აბიტურიენტები პირველ დებულებასთან დაკავშირებით უფრო ხშირად აფიქსირებენ პოზიტიურ დამოკიდებულებას, ვიდრე მეორე დებულებასთან დაკავშირებით. ეს შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ ქალისთვის პოლიტიკოსობა მეტ-ნაკლებად დასაშვები გახდა, განსხვავებით ისეთი პროფესიებისგან, როგორცაა მძღოლობა, ძალოსნობა და ა.შ. შესაბამისად, შესაძლებელია, ადამიანს სურდეს პოლიტიკაში მეტი ქალის ნახვა, თუმცა მაინც არ აფიქსირებდეს გენდერული თანასწორობის მიმართ დადებით დამოკიდებულებას ან არ გამოირჩეოდეს გენდერული სენსიტიურობით.

### დიაგრამა N3.3



საინტერესოა მონაცემების შედარება რეგიონის მიხედვითაც (ივ. ცხრილი N3.7). პირველი ვარიანტის დებულების მიმართ ყველაზე დადებითი პოზიცია ფიქსირდება ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, შიდა ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო მეორე ვარიანტის დებულების მიმართ კი - ქვემო ქართლში, გურიასა და აჭარაში. შესაბამისად, ორივე ვარიანტთან დაკავშირებით დადებითი პოზიციის მაღალი მაჩვენებელი მეორდება მხოლოდ ქვემო ქართლსა და აჭარაში. იმ რეგიონების ნაწილი, რომლებიც პირველ ვარიანტთან დაკავშირებით ყველაზე დადებით პოზიციას ავლენდნენ, მეორე ვარიანტის ნაშრომებს შორის - მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, თბილისსა და შიდა ქართლში. როგორც აღმოჩნდა, აბიტურიენტები მცხეთა-მთიანეთში, თბილისსა და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ორივე ვარიანტთან დაკავშირებით, შედარებით დაბალ გენდერულ მგრძობელობას ამჟღავნებენ. საერთო სურათი კარგად გამოჩნდება მხოლოდ ამ ორი ვარიანტის გაერთიანებისას.

პირველ ვარიანტთან დაკავშირებით, პოზიცია შედარებით ხშირად არ ჩანს ნაშრომებში თბილისიდან და მცხეთა-მთიანეთიდან, ხოლო მეორე ვარიანტთან დაკავშირებით - რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთიდან.



**ცხრილი N3.7**

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით	ვარიანტი I			ვარიანტი II		
	დადებითი	უარყოფითი	პოზიცია არ ჩანს	დადებითი	უარყოფითი	პოზიცია არ ჩანს
თბილისი	72.5%	21.7%	5.8%	62.6%	37.4%	-
აჭარა	81.3%	15.0%	3.8%	64.6%	35.4%	-
იმერეთი	78.8%	18.8%	2.4%	62.7%	33.3%	4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	80.0%	17.3%	2.7%	56.5%	43.5%	-
მცხეთა-მთიანეთი	66.7%	28.4%	4.9%	55.9%	44.1%	-
სამცხე-ჯავახეთი	83.1%	16.9%	-	62.7%	36.1%	1.2%
შიდა ქართლი	80.8%	19.2%	-	58.0%	38.3%	3.7%
კახეთი	72.6%	26.0%	1.4%	61.6%	34.9%	3.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	69.7%	27.3%	3.0%	57.1%	38.1%	4.8%
გურია	78.9%	17.8%	3.3%	68.6%	31.4%	-
ქვემო ქართლი	88.0%	10.8%	1.2%	72.7%	23.4%	3.9%
<b>სულ</b>	<b>666 (77.7%)</b>	<b>169 (19.7%)</b>	<b>22 (2.6%)</b>	<b>528 (62.2%)</b>	<b>305 (35.9%)</b>	<b>16 (1.9%)</b>

\*გაფურადებულია მხოლოდ ის მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც განხილულია ტექსტში

რაც შეეხება პოზიციისა და ქულების ურთიერთდამოკიდებულებას, ქულები უფრო მეტად ახდენენ გავლენას მეორე ვარიანტის დებულების მიმართ პოზიციაზე, ვიდრე პირველი ვარიანტის დებულების მიმართ. მეორე ვარიანტის დებულებასთან მაღალქულიანები უფრო დადებითად აფასებენ, ვიდრე საშუალოქულიანები (იხ. ცხრილი N3.8).

**ცხრილი N3.8**

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით	ვარიანტი I		ვარიანტი II	
	საშუალო ქულა	მაღალი ქულა	საშუალო ქულა	მაღალი ქულა
ეთანხმება	75.9%	79.7%	54.8%	69.7%
არ ეთანხმება	20.3%	19.1%	42.9%	28.9%
პოზიცია არ ჩანს	3.9%	1.2%	2.3%	1.4%

რაც შეეხება პოზიციისა და სქესის ურთიერთმიმართებას, სქესი ორივე ვარიანტის შემთხვევაში ახდენს გავლენას პოზიციაზე. ორივე შემთხვევაში, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად აფიქსირებენ პოზიტიურ დამოკიდებულებას გენდერული თანასწორობის მიმართ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები (იხ. ცხრილი N3.9).


### ცხრილი N3.9

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით	ვარიანტი I		ვარიანტი II	
	მდედრობითი	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი
ეთანხმება	82.6%	72.8%	67.7%	56.5%
არ ეთანხმება	14.4%	25.1%	30.7%	41.3%
პოზიცია არ ჩანს	3.0%	2.1%	1.6%	2.2%

### 3.4. პირველი და მეორე ვარიანტის არგუმენტირებული ესეების გაერთიანება

იმისთვის, რომ გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების მქონე აბიტურიენტების პროცენტული გადანაწილება გამოვლენილიყო, პირველი და მეორე ვარიანტების პასუხები გაერთიანდა. საერთო ჯამში, აღმოჩნდა, რომ 1 706 ნაშრომის 70%-ში დაფიქსირებული იყო პოზიტიური დამოკიდებულება, 22.8%-ში - ნეგატიური, 5% ამბობდა, რომ სქესს არ აქვს მნიშვნელობა (ეს პოზიცია რელევანტურია მხოლოდ პირველი ვარიანტის ნაშრომისთვის), ხოლო ნაშრომების 2.2%-ში პოზიცია არ იყო გამოკვეთილი. თუ ანალიტიკურად დავაჯგუფებთ და გავაერთიანებთ ორ პასუხს - ნეგატიურ დამოკიდებულებასა და პოზიციას „სქესს მნიშვნელობა არ აქვს“, მივიღებთ მათ რაოდენობას, ვისაც გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება არ აქვს - 27.8%-ს. გამოდის, რომ აბიტურიენტების მეოთხედზე მეტი ამგვარ პოზიციას აფიქსირებს (იხ. დიაგრამა N3.4)

### დიაგრამა N3.4



საერთო ჯამში, აბიტურიენტების 70% მეტ-ნაკლებად იზიარებს გენდერული თანასწორობის ძირითად პრინციპებს. პოზიტიური დამოკიდებულების 70%-იანი უპირატესობა ერთგვარი პოლიტიკური განაცხადიდან და ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდების სრულ უმრავლესობას სურს პოლიტიკაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ან სხვადასხვა პროფესიაში მეტი ქალი იხილოს.

მონაცემების გაერთიანების შედეგად, უკეთ ჩანს ტენდენცია რეგიონების მიხედვით (იხ. ცხრილი N3.10). ყველაზე ხშირად პოზიტიურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ ქვემო ქართლში (80.6%). ხშირია ასეთი პასუხები გურიაში (74.4%), აჭარაში (73.0%), სამცხე-ჯავახეთში (72.5%) და იმერეთში (71.3%). ნეგატიური დამოკიდებულება შედარებით ხშირია მცხეთა-მთიანეთში (30.7%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (26.9%), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (26.4%) და თბილისში (25.6%).

### ცხრილი N3.10

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით (გაერთიანებული)	პოზიტიური დამოკიდებულება	ნეგატიური დამოკიდებულება	სქესს არ აქვს მნიშვნელობა	პოზიცია არ ჩანს
თბილისი	66.9%	25.6%	5.0%	2.5%
აჭარა	73.0%	20.8%	4.4%	1.9%
იმერეთი	71.3%	18.1%	7.5%	3.1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	67.5%	26.9%	4.4%	1.3%
მცხეთა-მთიანეთი	62.1%	30.7%	4.3%	2.9%
სამცხე-ჯავახეთი	72.5%	25.0%	1.9%	0.6%
შიდა ქართლი	69.2%	22.6%	6.3%	1.9%
კახეთი	66.7%	23.9%	6.9%	2.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	63.6%	26.4%	6.2%	3.9%
გურია	74.4%	18.1%	5.6%	1.9%
ქვემო ქართლი	80.6%	14.4%	2.5%	2.5%
<b>სულ</b>	<b>1 194 (70%)</b>	<b>389 (22.8%)</b>	<b>85 (5%)</b>	<b>38 (2.2%)</b>

\*გაფრადებულია მხოლოდ ის მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც განხილულია ტექსტში

თუ გავაერთიანებთ პოზიციებს „ნეგატიური დამოკიდებულება“ და „სქესს არ აქვს მნიშვნელობა“, უფრო მეტად გამოიკვეთება განსხვავებები რეგიონებს შორის (იხ. ცხრილი N3.11):

- ✓ ყველაზე პოზიტიური დამოკიდებულება დაფიქსირდა ქვემო ქართლში (80.6%);
- ✓ პოზიტიური დამოკიდებულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ასევე გურიაში (74.4%), აჭარაში (73%), სამცხე-ჯავახეთში (72.5%), იმერეთში (71.3%);
- ✓ ყველაზე ხშირად ნეგატიური პოზიცია დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთში, სადაც აბიტურიენტების 35%, მესამედზე მეტი არ მიიჩნევს საჭიროდ ქალების რაოდენობის ზრდას პოლიტიკაში ან ფიქრობს, რომ ქალის დაკაცის საქმიანობები ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდეს;
- ✓ ნეგატიური პოზიცია შედარებით ხშირად დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და

ქვემო სვანეთში (32.6%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (31.3%), კახეთში (30.8%) და თბილისში (30.6%).

### ცხრილი N3.11

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით (გაერთიანებული)	პოზიტიური დამოკიდებულება	ნეგატიური დამოკიდებულება + სქესს არ აქვს მნიშვნელობა	პოზიცია არ ჩანს
თბილისი	66.9%	30.6%	2.5%
აჭარა	73.0%	25.2%	1.9%
იმერეთი	71.3%	25.6%	3.1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	67.5%	31.3%	1.3%
მცხეთა-მთიანეთი	62.1%	35.0%	2.9%
სამცხე-ჯავახეთი	72.5%	26.9%	0.6%
შიდა ქართლი	69.2%	28.9%	1.9%
კახეთი	66.7%	30.8%	2.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	63.6%	32.6%	3.9%
გურია	74.4%	23.8%	1.9%
ქვემო ქართლი	80.6%	16.9%	2.5%
<b>სულ</b>	<b>1 194 (70%)</b>	<b>474 (27.8%)</b>	<b>38 (2.2%)</b>

\*გაფრადებულია მხოლოდ ის მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც განხილულია ტექსტში

როგორც აღმოჩნდა, პოზიცია დამოკიდებულია ქულებზე და სქესზე (იხ. ცხრილი N3.12). როგორც მოსალოდნელი იყო, პოზიტიური დამოკიდებულება უფრო ხშირად აქვთ მაღალი ქულით შეფასებულ აბიტურიენტებს. ნეგატიური დამოკიდებულება იკვეთება საშუალოქულიანი ნაშრომების თითქმის მესამედში, ხოლო მაღალქულიანი ნაშრომების - თითქმის მეოთხედში.

კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია იმის გამოვლენა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად აფიქსირებენ პოზიციურ დამოკიდებულებას, როგორც მამრობითი სქესის წარმომადგენლები. მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 22.6% ამჟღავნებს ნეგატიურ დამოკიდებულებას გენდერული თანასწორობის მიმართ მაშინ, როცა აღნიშნული პოზიცია მამრობითი სქესის მესამედის ნაშრომში ჩანს.

### ცხრილი N3.11

ავტორის ზოგადი პოზიცია დებულებასთან დაკავშირებით (გაერთიანებული)	სულ	ქულა		სქესი	
		საშუალო	მაღალი	მდედრობითი	მამრობითი
პოზიტიური დამოკიდებულება	1 194	65.5%	74.6%	75.1%	64.8%
ნეგატიური დამოკიდებულება	474	31.4%	24.0%	22.6%	33.1%
პოზიცია არ ჩანს	38	3.1%	1.3%	2.3%	2.1%

## შეჯამება

კვლევას უნდა გამოერკვია ახალგაზრდების დამოკიდებულება გენდერული საკითხებისადმი, რის საშუალებასაც 2013 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების I და II ვარიანტებში დაწერილი არგუმენტირებული ესეების ანალიზი გვაძლევდა. როგორც უკვე აღინიშნა, პირველი ვარიანტი წერა სულ 9 689-მა აბიტურიენტმა, აქედან კვლევაში ჩართული იყო 857 მათგანის ნაშრომი.

I ვარიანტის ტესტის დებულება ჟღერდა ასე: „სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების უკეთ წარმართვისთვის“, ხოლო მეორე ვარიანტის ტესტის დებულება კი ასე: „არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ მამაკაცებისთვის ან მხოლოდ ქალებისთვის არის მიზანშეწონილი“.

აბიტურიენტი უნდა დათანხმებოდა დებულებას, ან უნდა უარეყო ის. შესაბამისად, აბიტურიენტების ნაშრომები შემდეგნაირად დახარისხდა: „პოზიტიური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ“ (ნაშრომები, რომელთა ავტორებიც ეთანხმებოდნენ დებულებას) და „ნეგატიური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ“ (ნაშრომები, რომელთა ავტორებიც არ ეთანხმებოდნენ დებულებას). თუმცა, ასევე, შესაძლებელია, ნაშრომიდან რთული ყოფილიყო აბიტურიენტის პოზიციის დანახვა, ამიტომ დაემატა ვარიანტი „პოზიცია არ ჩანს“. პირველ დებულებასთან დაკავშირებით, ასევე გამოიკვეთა პოზიცია „სქესს მნიშვნელობა არ აქვს“.

პირველი ვარიანტის დებულებას ეთანხმება აბიტურიენტების უმრავლესობა (77%), ხოლო არ ეთანხმება თითქმის მეთაედი (9.8%, 84 აბიტურიენტი). დაახლოებით ამდენივე მიიჩნევს, რომ სქესს მნიშვნელობა არა აქვს (9.9%, 85 აბიტურიენტი). 2.6%-ის ნაშრომებში პოზიცია არ ჩანს. თუ ანალიტიკური დაჯგუფებისას პოზიციას „სქესს მნიშვნელობა არ აქვს“ ნეგატიურ დამოკიდებულებას გავუერთიანებთ, მივიღებთ სურათს, სადაც აბიტურიენტების მეხუთედი (19.7%) პოლიტიკაში ქალების გაზრდის მომხრე არ არის.

მეორე ვარიანტის დებულებას არ ეთანხმება აბიტურიენტების უმრავლესობა (62.2%, 528 აბიტურიენტი), ხოლო ეთანხმება მესამედზე მეტი (35.9%, 305 აბიტურიენტი). გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას მეორე დებულებასთან დაკავშირებით უფრო ნაკლები აბიტურიენტი აფიქსირებს, ვიდრე პირველ დებულებასთან დაკავშირებით.

გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების მქონე აბიტურიენტების პროცენტული გადანაწილების გამოსამქლავნებლად, პირველი და მეორე ვარიანტების პასუხები გაერთიანდა. საერთო ჯამში, აღმოჩნდა, რომ 1 706 ნაშრომის 70%-ში დაფიქსირებული იყო პოზიტიური დამოკიდებულება, 27.8%-ში - ნეგატიური, ხოლო ნაშრომების 2.2%-ში პოზიცია არ გამოიკვეთა.

გაერთიანებული მონაცემების მიხედვით უკეთ ჩანს ტენდენციარეგიონების მიხედვით.

ყველაზე ხშირად პოზიტიურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ ქვემო ქართლში (80.6%). ხშირია ასეთი პასუხები გურიაში (74.4%), აჭარაში (73.0%), სამცხე-ჯავახეთსა (72.5%) და იმერეთში (71.3%). ნეგატიური დამოკიდებულება შედარებით ხშირია მცხეთა-მთიანეთში (35.0%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (31.3%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (32.6%) და თბილისში (30.6%). პოზიცია დამოკიდებულია ქულებზე და სქესზე.

პოზიტიური დამოკიდებულება უფრო ხშირად აქვთ მაღალი ქულით შეფასებულ აბიტურიენტებს. საშუალოქულიანი ნაშრომების თითქმის მესამედში იკვეთება ნეგატიური დამოკიდებულება, ხოლო მაღალქულიანი ნაშრომების - თითქმის მეოთხედში.

მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად აფიქსირებენ პოზიტიურ დამოკიდებულებას, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები. მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 22.6% ამჟღავნებს ნეგატიურ დამოკიდებულებას გენდერული თანასწორობის მიმართ მაშინ, როცა აღნიშნული პოზიცია მამრობითი სქესის მესამედის ნაშრომში ჩანს.

პოზიტიური დამოკიდებულების 70%-იანი უპირატესობა ერთგვარი პოლიტიკური განაცხადიგაა და ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდების სრულ უმრავლესობას სურს პოლიტიკაში ან სხვა პროფესიებში მეტი ქალი იხილოს. როგორც ჩანს, აბიტურიენტები (რომლებიც ახლა, სავარაუდოდ, მეორე-მესამე კურსის სტუდენტები უნდა იყვნენ), მზად არიან, იმსჯელონ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მიიღონ სათანადო ინფორმაცია და ჰქონდეთ სწორი პოზიცია. ამგვარ მზადყოფნას (ერთგვარ მოთხოვნას) შესაბამისი პასუხი, ანუ ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა სჭირდება. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, პრობლემები სწორედ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გამოვლინდა.

## IV. არგუმენტები

საკუთარი პოზიციას აბიტურიენტები არგუმენტებით ამყარებდნენ. არგუმენტები ერთგვარ ჩარჩოებს („ფრეიმებად“) წარმოადგენენ არგუმენტირებული ესეებისთვის. არგუმენტი, თავის მხრივ, იყოფა დადებით და უარყოფით არგუმენტებად.

### 4.1. დადებითი არგუმენტები

დადებითი არგუმენტები ნიშნავს ისეთ არგუმენტებს, რომლებიც გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავს. თუ მაგალითად, აბიტურიენტები ამბობდნენ, რომ ქალების რაოდენობის ზრდა პოლიტიკაში აუცილებელია გენდერული თანასწორობის აღდგენისთვის, ეს ნიშნავს, რომ იყენებდნენ გენდერული თანასწორობის კონცეფციას. ხოლო თუ აბიტურიენტები ამბობდნენ, რომ პროფესიები არ იყოფა სქესის მიხედვით, რადგან ნებისმიერი

პროფესიის არჩევა ადამიანის უნივერსალური უფლებაა, ეს ნიშნავს, რომ იყენებდნენ ადამიანის უფლებების კონცეფციას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოზიტიური პოზიციის გამომხატველ ნაშრომში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი არგუმენტები. მაგალითად, შესაძლებელია, აბიტურიენტს გამოყენებული ჰქონდეს გენდერული თანასწორობის კონცეფცია და ამავდროულად, მიიჩნევდეს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა მაინც ოჯახია.

შესაძლოა, ნაშრომში გამოყენებული ყოფილიყო ერთზე მეტი არგუმენტი. ნაშრომების თითქმის მეოთხედში (24.4%, 417 ნაშრომი) არცერთი არგუმენტი იყო გამოყენებული, 25.3%-ში მხოლოდ ერთი არგუმენტი იყო (431 ნაშრომი), 24.4%-ში - ორი (417 ნაშრომი), 25.8%-ში - 3 და მეტი (441 ნაშრომი). სულ არცერთი არგუმენტი დადასტურებულა 417 ნაშრომში, ხოლო 1289 ნაშრომში იყო გამოყენებული პოზიტიური არგუმენტი. საშუალოდ, თითო ნაშრომში გამოყენებული იყო 1.67 არგუმენტი (იხ. ცხრილი N4.1).

#### ცხრილი N4.1

არგუმენტების რაოდენობა	N	%
0	417	24.4%
1	431	25.3%
2	417	24.4%
3 და მეტი	441	25.8%
საშუალო მაჩვენებელი	1.67	

არგუმენტების გამოყენების სიხშირე განსხვავდება რეგიონების მიხედვითაც (იხ. ცხრილი N4.2):

- ✓ ყველაზე მეტი არგუმენტი (საშუალო მაჩვენებლის მიხედვით) გვხვდება ნაშრომებში ქვემო ქართლიდან (საშუალო მაჩვენებელი - 2.11), ხოლო ყველაზე ნაკლები - ნაშრომებში სამცხე-ჯავახეთიდან (საშუალო მაჩვენებელი - 1.38);
- ✓ არცერთი არგუმენტი ხშირად გვხვდება ნაშრომების 31.8%-ში რაჭა-ლეჩხუმიდან და ქვემო სვანეთიდან, 27.9%-ში მცხეთა-მთიანეთიდან, 27.7%-ში - აჭარიდან და 27.5%-ში - სამცხე-ჯავახეთიდან;
- ✓ 0 არგუმენტი შედარებით იშვიათად გვხვდება ქვემო ქართლში (15%), თბილისში (20.6%) და გურიაში (21.3%);
- ✓ შედარებით ხშირია ნაშრომში მხოლოდ 1 არგუმენტი სამცხე-ჯავახეთში (30.6%), გურიაში (30%), მცხეთა-მთიანეთში (29.3%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (28.1%);
- ✓ შედარებით ხშირია ნაშრომში 2 არგუმენტი თბილისში (28.8%), სამცხე-ჯავახეთსა (27.5%) და აჭარაში (27.0%);
- ✓ ხშირად გვხვდება 3 და მეტი არგუმენტი ქვემო ქართლში (35.6%), იმერეთში (30%), შიდა ქართლსა (29.6%) და თბილისში (28.8%);

## ცხრილი N4.2

რეგიონი	არგუმენტების რაოდენობა				საშუალო მაჩვენებელი
	0	1	2	3 და მეტი	
თბილისი	20.6%	21.9%	28.8%	28.8%	1.80
აჭარა	27.7%	18.9%	27.0%	26.4%	1.70
იმერეთი	22.5%	24.4%	23.1%	30.0%	1.73
სამეგრელო-ზემო სვანეთი	25.6%	28.1%	22.5%	23.8%	1.53
მცხეთა-მთიანეთი	27.9%	29.3%	21.4%	21.4%	1.48
სამცხე-ჯავახეთი	27.5%	30.6%	27.5%	14.4%	1.38
შიდა ქართლი	25.8%	26.4%	18.2%	29.6%	1.74
კახეთი	25.2%	22.6%	25.2%	27.0%	1.74
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	31.8%	22.5%	24.8%	20.9%	1.47
გურია	21.3%	30.0%	23.8%	25.0%	1.63
ქვემო ქართლი	15.0%	23.1%	26.3%	35.6%	2.11
<b>სულ</b>	<b>24.4%</b>	<b>25.3%</b>	<b>24.4%</b>	<b>25.8%</b>	<b>1.67</b>

\*გაფერადებულია მხოლოდ ის მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც განხილულია ტექსტში

არგუმენტების რაოდენობა განსხვავებულია ქულის, სქესის და ვარიანტის მიხედვითაც (იხ. ცხრილი N4.3). მოსალოდნელი იყო ის, რომ საშუალო ქულიან ნაშრომებში უფრო ხშირად არ არის გამოყენებული არგუმენტი (27.5%), ვიდრე მაღალ ქულიანებში (21.3 %). სადაც უფრო ხშირად არის გამოყენებული ერთი ან სამი დამატარებელი არგუმენტი, ვიდრე საშუალო ქულიან ნაშრომებში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენელთა ნაშრომებში არგუმენტის გამოყენება უფრო იშვიათია, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ნაშრომებში.

პირველი და მეორე ვარიანტის არგუმენტირებული ესეების დებულებები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. პირველი ვარიანტის ესეებში (ქალი პოლიტიკოსების შესახებ) აბიტურიენტებს მეტი საშუალება ჰქონდათ საკუთარი აზრის გასამტკიცებლად არგუმენტები და მაგალითები მოეყვანათ, ვიდრე მეორე ვარიანტისაში. ეს კარგად ჩანს არგუმენტების რაოდენობის განაწილების ცხრილში ვარიანტების მიხედვითაც: მათგან, ვისაც პირველი ვარიანტის ტესტი შეხვდა, მხოლოდ 17.9% ვერ ახერხებს არგუმენტების მოყვანას ნაშრომში, ხოლო, მეორე ვარიანტის ტესტის დამწერთაგან თითქმის მესამედი - 31.1%.

ერთი არგუმენტის დასახელებას ახერხებს აბიტურიენტების დაახლოებით მეოთხედი (პირველი ვარიანტის შემთხვევაში - 23.3%, ხოლო მეორე ვარიანტის შემთხვევაში - 27.2%), ორ არგუმენტს ასახელებს დაახლოებით მეოთხედი (პირველი ვარიანტის შემთხვევაში 25.8%), ხოლო მეორე ვარიანტის შემთხვევაში - 23.1%). სამ და მეტი არგუმენტს მეორე ვარიანტის ტესტის დამწერთა მხოლოდ 18.6% იყენებს, მაშინ, როდესაც პირველი ვარიანტის დავალების შემსრულებელთა მესამედს 3 ან მეტი არგუმენტი მოჰყავს საკუთარ ნაშრომში (33%).



**ცხრილი N4.3**

არგუმენტების რაოდენობა	სულ	ქულა		სქესი		ვარიანტი	
		საშუალო	მაღალი	მდედრობითი	მამრობითი	I	II
0	24.4%	27.5%	21.3%	21.3%	27.6%	17.9%	31.1%
1	25.3%	22.9%	27.7%	25.6%	24.9%	23.3%	27.2%
2	24.4%	26.4%	22.4%	26.3%	22.5%	25.8%	23.1%
3 და მეტი	25.8%	23.2%	28.6%	26.8%	24.9%	33.0%	18.6%

რაც შეეხება პოზიციისა და არგუმენტების რაოდენობის ურთიერთმიმართებას, მათგან, ვინც პოზიტიური დამოკიდებულება დააფიქსირა გენდერული თანასწორობის მიმართ, მხოლოდ 7% არ ასახელებს პოზიტიურ არგუმენტს, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულების მქონეთაგან - 70.7%.

ერთ ან ორ არგუმენტს იყენებს პოზიტიური მიმართების აბიტურიენტთაგან უფრო მეტი, ვიდრე ნეგატიური დამოკიდებულების მქონე. 3 და მეტ დადებით არგუმენტს აფიქსირებს პოზიტიური დამოკიდებულების მქონეთა მესამედზე მეტი, ხოლო ნეგატიური დამოკიდებულების მქონეთაგან - 2.1% (იხ. ცხრილი N4.4).

**ცხრილი N4.4**

ავტორის მიერ დასახელებული არგუმენტების რაოდენობა	სულ	პოზიცია			
		პოზიტიური პოზიცია	ნეგატიური პოზიცია	სქესს მნიშვნელობა არ აქვს	პოზიცია არ ჩანს
0	24.4%	7.0%	70.7%	55.3%	28.9%
1	25.3%	26.8%	18.5%	28.2%	39.5%
2	24.4%	30.4%	8.7%	11.8%	26.3%
3 და მეტი	25.8%	35.8%	2.1%	4.7%	5.3%

როგორც აღმოჩნდა, დადებითი არგუმენტების გამოყენების სიხშირე კავშირშია რეგიონთან, პოზიციასა და ტესტის ვარიანტთან.

დადებითი არგუმენტები დასახელებულია 1 289 ნაშრომში. თითო ნაშრომში, შესაძლოა, ყოფილიყო ერთზე მეტი არგუმენტი. ყველაზე ხშირად აბიტურიენტები იყენებენ გენდერული თანასწორობის კონცეფციას (559 ნაშრომი, ნაშრომების 17.1%). ხშირია ადამიანის უფლებების კონცეფციის გამოყენებაც (411 ნაშრომი, ესეების 12.6%). 386 ნაშრომში არგუმენტად გამოყენებულია ქალის უნარები და მახასიათებლები (მაგ. ქალი ძლიერია და სწორედ ამიტომ მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი პოლიტიკაში) (ნაშრომების 11.8%). 279 აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ ქალების გააქტიურება მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის, განვითარებისთვის, პროგრასისთვის და ა.შ. (8.5%). სწორედ ჩამოთვლილ არგუმენტებს იყენებენ ყველაზე ხშირად აბიტურიენტები.

126 აბიტურიენტი ამბობს, რომ ქალები პოლიტიკაში ახალ, ალტერნატიულ

იდევს შემოიტანენ. 114 აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ ქართული მენტალიტეტი ან ტრადიციები ხშირად ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ქალისთვის. მხოლოდ 68 ნაშრომში არის გაკეთებული აქცენტიგადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობის შესახებ. აბიტურიენტების აზრობენ ქალების არსებობაზე პოლიტიკაში, დიპლომატიის სფეროში, თუმცა იშვიათად გამოყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მონაწილეობას. 69 ნაშრომში გვხვდება რელიგიური არგუმენტი, მაგ. სადაც აბიტურიენტები ამბობენ, რომ ქალი და კაცი თანასწორად უფალმა შექმნა. მხოლოდ 36 აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ ქალების რაოდენობის გაზრდა პოლიტიკაში ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. მხოლოდ 13 აბიტურიენტი აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ქალის შესაძლებლობების რეალიზაცია, რაც დღეს არ ხდება (იხ. ცხრილი N4.5). ზოგადად, აბიტურიენტები ნაკლებ აქცენტს აკეთებენ თავად იმაზე, თუ რა შედეგების მომტანი იქნება ქალების გააქტიურება პოლიტიკაში ან მათი ჩართვა ნებისმიერ პროფესიაში თავად ქალებისთვის.

### ცხრილი N4.5<sup>3</sup>

პოზიტიური დამოკიდებულების ჩარჩო (არგუმენტები)	N	%
გენდერული თანასწორობის კონცეფცია	559	17.1%
ადამიანის უფლებების კონცეფცია	411	12.6%
ქალის უნარები და მახასიათებლები	386	11.8%
ქვეყნის დემოკრატიზაცია, განვითარება	279	8.5%
ქალისთვის ყველა ტიპის საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა	161	4.9%
ქალების და კაცების შეთანხმებული მუშაობა	157	4.8%
ქალების დამოუკიდებლობა	145	4.4%
ახალი/ალტერნატიული იდეები და ღირებულებები	126	3.9%
მენტალიტეტი/ტრადიციები, როგორც ხელშემშლელი ფაქტორი	114	3.5%
ქალების გააქტიურება ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში	103	3.2%
პოლიტიკურ სივრცეში/ველში დამაბულობის განეიტრალება, მისი გაჯანსაღება	73	2.2%
რელიგიური არგუმენტები	69	2.1%
ქალების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში	68	2.1%
მიუღებელია ქალების დისკრიმინაცია/ჩაგვრა	49	1.5%
ქალების ინტერესების წარმოჩენა	42	1.3%
ეკონომიკის განვითარება	36	1.1%
სამართლიანობის კონცეფცია	33	1.0%
კორუფციას, კანონდარღვევების ან სხვა პრობლემების აღმოფხვრა	15	0.5%
ქალთა შესაძლებლობების რეალიზაცია	13	0.4%
სხვა ქალების წახალისება	8	0.2%
ჩამოთვლილთაგან არცერთი	417	12.8%

არგუმენტებს შესაძლებელია სხვადასხვა დემოგრაფიული მონაცემი განასხვავებდეს. რეგიონების მიხედვით განსხვავება იხ. ცხრილში N4.6. გენდერული თანასწორობის კონცეფცია შედარებით ხშირადაა გამოყენებული თბილისსა (23.4%) და იმერეთში (18.8%), ხოლო შედარებით იშვიათად - სამეგრელო-ზემო სვანეთში (12.6%), რაც ნიშნავს, რომ თბილისსა და იმერეთში უფრო პოპულარულია კონცეფცია, რომ ქალი და კაცი თანასწორია. ადამიანის უფლებების კონცეფციას კი შედარებით ხშირად იყენებენ

<sup>3</sup>=100%

სამეგრელო-ზემო სვანეთში (17.5%), თბილისში (15%), აჭარასა (15%) და გურიაში (15%), ხოლო ყველაზე იშვიათად - მცხეთა-მთიანეთსა (9.8%) და ქვემო ქართლში (8%). პოზიციის გასამტკიცებლად არგუმენტად შედარებით ხშირად მოჰყავთ ქალის თვისებები და მახასიათებლები მცხეთა-მთიანეთში (14.6%) და გურიაში (14.3%), ხოლო შედარებით იშვიათად - თბილისში (5.9%). ქვეყნის დემოკრატიზაციაზე, განვითარებასა და პროგრესზე შედარებით ხშირად საუბრობენ ქვემო ქართლში (11.9%), ხოლო ყველაზე იშვიათად - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (4.8%). თითოეული რეგიონის მიხედვით მონაცემები ასეთია:

- ✓ თბილისში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების 10.3%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:
  - გენდერული თანასწორობის კონცეფცია (23.4%);
  - ადამიანის უფლებების კონცეფცია (15%);
  - ქვეყნის დემოკრატიზაცია, განვითარება (10.3%).
- ✓ აჭარაში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების 14%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:
  - გენდერული თანასწორობის კონცეფცია (17.5%);
  - ადამიანის უფლებების კონცეფცია (15%);
  - ქალის უნარები და მახასიათებლები (10.5%).
- ✓ იმერეთში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების 11.5%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:
  - გენდერული თანასწორობის კონცეფცია (18.8%);
  - ქალის უნარები და მახასიათებლები (13.1%);
  - ქვეყნის დემოკრატიზაცია/განვითარება (11.2%);
  - ადამიანის უფლებების კონცეფცია (10.5%).
- ✓ სამეგრელო-ზემო სვანეთში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების 14.4%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:
  - ადამიანის უფლებების კონცეფცია (17.5%);
  - გენდერული თანასწორობის კონცეფცია (12.6%);
  - ქალის უნარები და მახასიათებლები (12.6%).
- ✓ მცხეთა-მთიანეთში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების 15.9%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:
  - გენდერული თანასწორობის კონცეფცია (15.0%);
  - ქალის უნარები და მახასიათებლები (14.6%).
- ✓ სამცხე-ჯავახეთში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების 16.7%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:
  - გენდერული თანასწორობის კონცეფცია (16.3%);
  - ადამიანის უფლებების კონცეფცია (12.1%);
  - ქალის უნარები და მახასიათებლები (11.4%).
- ✓ შიდა ქართლში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების 12.9%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:
  - გენდერული თანასწორობის კონცეფცია (17.6%);
  - ქალის უნარები და მახასიათებლები (13.5%);
  - ადამიანის უფლებების კონცეფცია (11.6%).
- ✓ კახეთში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების 12.6%-

ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:

- გენდერული თანასწორობის კონცეფცია (16.1%);
- ქალის უნარები და მახასიათებლები (12.3%);
- ადამიანის უფლებების კონცეფცია (10.7%);
- ქვეყნის დემოკრატიზაცია/განვითარება (10.1%).

✓ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დადებითი არგუმენტები არ სახელდება ნაშრომების 17.8%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:

- გენდერული თანასწორობის კონცეფცია (16.5%);
- ადამიანის უფლებების კონცეფცია (14.3%);
- ქალის უნარები და მახასიათებლები (10.9%).

✓ გურიაში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების 17.8%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:

- გენდერული თანასწორობის კონცეფცია (17.3%);
- ადამიანის უფლებების კონცეფცია (15.0%);
- ქალის უნარები და მახასიათებლები (14.3%).

✓ ქვემო ქართლში დადებითი არგუმენტები საერთოდ არ სახელდება ნაშრომების მხოლოდ 6.6%-ში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები:

- გენდერული თანასწორობის კონცეფცია (16.0%);
- ქვეყნის დემოკრატიზაცია, განვითარება (11.8%);
- ქალის უნარები და მახასიათებლები (11.6%).

პოზიტიური დამოკიდებულებების არგუმენტები ნაკლებად განსხვავდება სქესისა და ქულის მიხედვით (იხ. ცხრილი N4.7). ქულის მიხედვით განსხვავება არგუმენტებს შორის ძალიან მცირეა. რაც შეეხება სქესს, ქალები უფრო ხშირად იყენებენ ქალის უნარებს და მახასიათებლებს საკუთარი პოზიტიური დამოკიდებულების განსამტკიცებლად, ვიდრე მამაკაცები.

რაც შეეხება ვარიანტებს, ვარიანტების მიხედვით განსხვავება მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ პირველი ვარიანტის მქონე აბიტურიენტთა მხოლოდ 8.4% არ იყენებს არგუმენტებს მაშინ, როდესაც მეორე ვარიანტის შემთხვევაში ასეთი აბიტურიენტების რიცხვი თითქმის მეხუთედს შეადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ პირველ დებულებასთან დაკავშირებით გაცილებით მეტი არგუმენტის მოყვანა შეიძლებოდა, ვიდრე მეორე ვარიანტთან, ამიტომ ეს შედეგი ლოგიკურია.

პირველი ვარიანტის ნაწერებში ყველაზე ხშირად გამოიყენება არგუმენტები ქალის უნარებისა და მახასიათებლების შესახებ (18.2%). მრავალჯერგვხვდება გენდერული თანასწორობის კონცეფცია (15.2%) და ქვეყნის დემოკრატიზაცია, განვითარება (12.8%), ასევე არგუმენტები ქალებისა და კაცების შეთანხმებულ მუშაობასთან (7.3%), ადამიანის უფლებების კონცეფციასა (6.8%) და ახალ/ალტერნატიულ იდეებთან დაკავშირებით. (6.6%).

მეორე ვარიანტის ნაშრომებში ხშირადაა გამოყენებული არგუმენტები ადამიანის უფლებების კონცეფციის (19.9%), გენდერული თანასწორობის (19.6%) და

ქალისთვის ყველა საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის (10.6%), ქალების დამოუკიდებლობის (8.6%) შესახებ და 5.4% ამბობს, რომ მენტალიტეტი ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ქალებისთვის.

მეორე ვარიანტთან შედარებით, პირველი ვარიანტის ნაშრომებში იშვიათად გამოიყენება არგუმენტები გენდერული თანასწორობის, ადამიანის უფლებების, ქალების დამოუკიდებლობის და ქალებისთვის ყველა საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, ხოლო შედარებით ხშირად - ქალის უნარები და მახასიათებლები, ქალების და კაცების შეთანხმებული მუშაობა, ქვეყნის დემოკრატიზაცია და განვითარება და ახალი/ალტერნატიული იდეები.

ეს განსხვავებები ლოგიკურია, რადგან პირველი ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებით, გაცილებით უფრო ადეკვატურია არგუმენტების მოყვანა ქალის უნარების და მახასიათებლების (მაგ. ქალი ძლიერია და ამიტომ, ის პოლიტიკაში უნდა იყოს ჩართული), ქალების და კაცების შეთანხმებული მუშაობის (მაგ. პოლიტიკაში ქალი და კაცი თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი, რადგან ისინი უფრო კარგად მართავენ ერთად), ქვეყნის დემოკრატიზაციისა და განვითარების (მაგ. ქალების ჩართულობა პოლიტიკაში ხელს შეუწყობს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს) და ახალი/ალტერნატიული იდეების (მაგ. ქალები პოლიტიკაში შემოიტანენ ალტერნატიულ ხედვას) შესახებ. ეს არგუმენტები შინაარსობრივად უკეთ შეესაბამება პირველი ვარიანტის დებულებას.

შესაბამისად, მეორე ვარიანტის დებულებასთან აზრობრივ თანხვედრაშია არგუმენტები ადამიანის უფლებების (მაგ. ქალის უფლებაა დაეუფლოს იმ პროფესიას, რომელიც მისთვის შესაფერისად მიაჩნია), ქალების დამოუკიდებლობის (მაგ. ქალი დამოუკიდებელია და მის გადაწყვეტილებაში არავინ უნდა ჩაერიოს) და ქალებისთვის ყველა საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის (მაგ. ქალს შეუძლია ნებისმიერ საქმეს მოკიდოს ხელი) შესახებ. ეს არგუმენტები შინაარსობრივად უკეთ შეესაბამება მეორე ვარიანტის დებულებას.

რასაკვირველია, გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურად განწყობილი აბიტურიენტები უფრო ხშირად იყენებენ დადებით არგუმენტებს (იხ. ცხრილი N4.8), რომლებიც ასეთი ნაშრომების მხოლოდ 3.2%-ში არ გვხვდება. ნეგატიური დამოკიდებულების მქონეთა 59.1% არ იყენებს დადებით არგუმენტებს. ეს ნიშნავს, რომ 59.1% ვერაფერს პოზიტიურს ხედავს ქალების გააქტიურებაში. ნეგატიური დამოკიდებულების აბიტურიენტები ყველაზე ხშირად იყენებენ გენდერული თანასწორობის კონცეფციას (12.8%) და ადამიანის უფლებების კონცეფციას (8.6%). ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად ნეგატიური დამოკიდებულებისა და ასეთივე პოზიციისა, აბიტურიენტების 21.4% პატივს სცემს გენდერულ ბალანსს და ადამიანს უფლებებს. რაც შეეხება დადებითად განწყობილ აბიტურიენტებს, ისინი ყველაზე ხშირად იყენებენ გენდერული თანასწორობის კონცეფციას (18.0%), ქალის უნარებსა და მახასიათებლებს (13.7%), ადამიანის უფლებების კონცეფციას (13.4%), ქვეყნის დემოკრატიზაციასა და განვითარებას (10.1%), ქალისთვის ყველა ტიპის საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას (5.6%) და ქალების და კაცების შეთანხმებულ მუშაობას (5.1%).

**ცხრილი N4.6<sup>4</sup>**

პოზიტიური დამოკიდებულების ჩარჩო (არგუმენტები)	მსკ	ოქრატობა	დაჯი	ოქრატობა	დაჯი	ოქრატობა	დაჯი	ოქრატობა	დაჯი	ოქრატობა	დაჯი	ოქრატობა	დაჯი	ოქრატობა	დაჯი	ოქრატობა	დაჯი	ოქრატობა	დაჯი	ოქრატობა	დაჯი
გენდერული თანასწორობის კონცეფცია	17.1%	23.4%	17.5%	18.8%	12.6%	15.0%	16.3%	16.3%	17.6%	16.1%	16.5%	17.3%	16.0%								
ადამიანის უფლებების კონცეფცია	12.6%	15.0%	10.5%	10.5%	17.5%	9.8%	12.1%	11.6%	11.6%	10.7%	14.3%	15.0%	8.0%								
ქალის უნარები და მახასიათებლები	11.8%	5.9%	10.5%	13.1%	12.6%	14.6%	11.4%	13.5%	12.3%	10.9%	10.9%	14.3%	11.6%								
ქვეყნის დემოკრატიზაცია, განვითარება	8.5%	10.3%	8.3%	11.2%	6.0%	6.5%	6.8%	7.9%	10.1%	4.8%	4.8%	7.8%	11.9%								
ქალისთვის ყველა ტიპის სქემის განხორციელების შესაძლებლობა	4.9%	4.4%	2.2%	3.8%	2.1%	4.5%	8.3%	4.4%	4.1%	7.4%	7.4%	6.8%	6.9%								
ქალის დაკავების შეთანხმებული მუშაობა	4.8%	3.1%	4.5%	4.8%	4.9%	7.7%	3.4%	3.8%	6.0%	4.8%	4.8%	3.7%	6.4%								
ქალის სიხარული და სიამოვნება	4.4%	5.9%	4.8%	3.5%	8.1%	2.8%	3.4%	1.6%	8.2%	4.3%	4.3%	3.4%	2.8%								
ახალი ალტერნატიული დევიდოები და ირებულები	3.9%	5.0%	5.7%	4.2%	1.8%	4.1%	3.4%	4.7%	1.6%	3.9%	3.9%	1.7%	5.8%								
მენტალიტეტი/ტრადიციები, როგორც ელემენტები	3.5%	4.4%	1.9%	3.2%	4.9%	2.4%	1.9%	3.8%	2.2%	3.5%	3.5%	5.4%	4.4%								
ქალის სიგაქტიურობა, ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ პარტიკიპაციაში	3.2%	1.6%	4.1%	3.2%	1.8%	2.8%	1.9%	5.7%	5.0%	3.0%	3.0%	1.7%	3.3%								
პოლიტიკურ სივრცეში დამატებულობის განხორციელება, პოლიტიკური კვლევის განხორციელება	2.2%	1.9%	1.6%	2.6%	1.8%	2.4%	3.8%	3.1%	1.6%	1.7%	1.7%	2.4%	1.9%								
ქალის სიხარული და სიამოვნება და წევრების მიღების პროცესში	2.1%	0.9%	1.6%	1.3%	1.8%	1.6%	3.8%	2.2%	2.2%	2.2%	2.2%	2.0%	3.3%								
რელიგიური არგუმენტები	2.1%	1.6%	2.9%	2.2%	5.6%	1.2%	1.5%	1.9%	1.6%	1.6%	-	2.0%	2.2%								
მიუღებელი აქტების დისკრიმინაცია/ჩაგვრა	1.5%	2.2%	1.0%	1.6%	0.7%	1.6%	0.8%	1.6%	1.9%	1.3%	1.3%	1.4%	2.2%								
ქალის სინტერესების წარმოჩენა	1.3%	1.2%	1.0%	1.6%	0.4%	1.6%	0.8%	0.3%	1.3%	1.7%	1.7%	0.3%	3.6%								
ეკონომიკის განვითარება	1.1%	0.6%	1.6%	1.3%	0.4%	3.3%	1.1%	1.3%	0.3%	0.4%	0.4%	1.0%	1.1%								
სამართლიანობის კონცეფცია	1.0%	1.6%	0.6%	0.6%	1.8%	-	0.8%	0.9%	1.9%	0.9%	0.9%	1.0%	0.8%								
სხვა	1.1%	0.9%	1.3%	1.0%	1.1%	2.0%	1.9%	1.3%	0.3%	0.4%	0.4%	1.0%	1.1%								
ჩამოთვლილი თანაგანაცხედი	12.8%	10.3%	14.0%	11.5%	14.4%	15.9%	16.7%	12.9%	12.6%	17.8%	17.8%	11.6%	6.6%								

<sup>4</sup>=100%

**ცხრილი N4.7<sup>5</sup>**

პოზიტიური დამოკიდებულების ფრეიმი (არგუმენტები)	სულ	სქესი		ვარიანტი		ქულა	
		მდედრობითი	მამრობითი	I	II	საშუალო	მაღალი
გენდერული თანასწორობის კონცეფცია	17.1%	16.5%	17.8%	15.2%	19.6%	16.8%	17.4%
ადამიანის უფლებების კონცეფცია	12.6%	12.7%	12.5%	6.8%	19.9%	12.9%	12.3%
ქალის უნარები და მამაკაცისათვის უფლებები	11.8%	13.6%	9.9%	18.2%	3.7%	12.7%	10.9%
ქვეყნის დემოკრატიზაცია, განვითარება	8.5%	7.5%	9.7%	12.8%	3.1%	7.9%	9.2%
ქალისთვის ყველა საკმარისი განხორციელების შესაძლებლობა	4.9%	5.1%	4.7%	0.5%	10.6%	4.8%	5.0%
ქალის და მამაკაცების შუამდგომლობა	4.8%	5.4%	4.2%	7.3%	1.6%	5.7%	3.9%
ქალის და მამაკაცების უფლებების დაცვა	4.4%	4.8%	4.1%	1.1%	8.6%	3.8%	5.1%
ახალი/ალტერნატიული იდეები და ირებულებები	3.9%	3.7%	4.0%	6.6%	0.3%	4.3%	3.5%
მენტალიტეტი/ტრადიციები, როგორც ხელმძღვანელი ფაქტორი	3.5%	4.2%	2.7%	2.0%	5.4%	2.5%	4.4%
ქალის გეგმითი უფლებების დაცვა/პოლიტიკურ პროცესებში	3.2%	3.2%	3.1%	4.8%	1.1%	2.9%	3.4%
პოლიტიკურ სფეროში დამატებითი ინფორმაცია, პოლიტიკური ველების გაანალიზება	2.2%	1.9%	2.6%	3.8%	0.3%	2.5%	1.9%
ქალის ჩართულობა და წევრების მიღების პროცესში	2.1%	2.1%	2.1%	1.6%	2.7%	1.9%	2.4%
რეგიონალური არგუმენტები	2.1%	2.3%	1.9%	3.4%	0.4%	1.4%	2.7%
მიუღებელი ქალების დისკრიმინაცია/ჩაგვრა	1.5%	1.4%	1.6%	1.8%	1.2%	1.0%	2.0%
ქალის ინტერესების წარმოჩენა	1.3%	1.5%	1.0%	2.1%	0.2%	1.2%	1.4%
ეკონომიკური განვითარება	1.1%	0.8%	1.5%	1.1%	1.0%	1.1%	1.2%
სამართლიანობის კონცეფცია	1.0%	1.4%	0.6%	0.7%	1.4%	0.6%	1.4%
სხვა	1.1%	1.1%	1.1%	1.7%	0.3%	1.3%	0.9%
ჩამოთვლილთა განსაზღვრითი	12.8%	10.8%	14.9%	8.4%	18.4%	14.7%	10.9%

<sup>5</sup>=100%

**ცხრილი N4.8<sup>6</sup>**

პოზიტიური დამოკიდებულების ჩარჩო (არგუმენტები)	სულ	პოზიტიურობა		
		პოზიტიური	ნეგატიური	არ ჩანს
გენდერული თანასწორობის კონცეფცია	17.1%	18.0%	12.8%	15.1%
ადამიანის უფლებების კონცეფცია	12.6%	13.4%	8.6%	11.3%
ქალს უნარებზე და მამასათრებლებზე	11.8%	13.7%	2.9%	7.5%
ქვეყნის დემოკრატიზაცია, განვითარება	8.5%	10.1%	0.9%	9.4%
ქალისთვის ყველატიპის საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა	4.9%	5.6%	1.1%	9.4%
ქალის დასაქმების შემთხვევაში უფრო მაღალი ხელშეწყობა	4.8%	5.1%	2.9%	7.5%
ქალების დამოუკიდებლობა	4.4%	4.7%	3.1%	5.7%
ახალი/ალტერნატიული იდეები და იდეოლოგიები	3.9%	4.5%	0.7%	1.9%
მენტალიტეტი/ტრადიციები, როგორც ელემენტარული ფაქტორი	3.5%	3.8%	1.7%	5.7%
ქალების გააქტიურება ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში	3.2%	3.5%	1.5%	1.9%
პოლიტიკურ სივრცეში დამატებითი სივრცის გახსნა, პოლიტიკური ექსპანსია	2.2%	2.5%	1.3%	-
ქალების ჩართულობა და წევრების მიღების პროცესში	2.1%	2.4%	0.7%	1.9%
რელიგიური არგუმენტები	2.1%	2.4%	0.4%	-
მიუღებელი აქტების დისკრიმინაცია/ჩაგვრა	1.5%	1.7%	0.7%	1.9%
ქალების ინტერესების წარმოჩენა	1.3%	1.5%	0.4%	-
ეკონომიკის განვითარება	1.1%	1.2%	0.6%	-
სამართლიანობის კონცეფცია	1.0%	1.2%	-	-
სხვა	1.1%	1.2%	0.6%	-
ჩამოთვლილთა განსაზღვრული	12.8%	3.2%	59.1%	20.8%

<sup>6</sup> = 100%



## 4.2. უარყოფითი არგუმენტები

როგორც უკვე აღინიშნა, აბიტურიენტები, შესაძლოა, იყენებდნენ უარყოფით არგუმენტებსაც. ასეთი არგუმენტები არ არის დაფიქსირებული 1 095 ნაშრომში, შესაბამისად, გვხვდება 611 არგუმენტირებულ ესეში.

უარყოფითი ნიშნავს ისეთ არგუმენტებს, რომლებიც გენდერული თანასწორობის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავს. თუ, მაგალითად, აბიტურიენტები ამბობდნენ, რომ ქალის ძირითადი საქმიანობა ოჯახის მოვლაა, ეს ნიშნავს, რომ გენდერული თანასწორობის კონცეფციას უგულვებელყოფენ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნეგატიური პოზიციის გამოხატველ ნაშრომში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასე უარყოფითი არგუმენტები. მაგალითად, შესაძლებელია, აბიტურიენტი იყენებდეს გენდერული თანასწორობის კონცეფციას და, ამავდროულად, მიიჩნევდეს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახში საქმიანობაა. შესაძლებელი იყო ნაშრომში გამოეყენებინათ ერთზე მეტი არგუმენტი.

ნაშრომების უმრავლესობაში (64.2%, 1 095 ნაშრომი) არცერთი არგუმენტი იყო გამოყენებული, 12.1%-ში მხოლოდ ერთი არგუმენტი (207 ნაშრომი), 8.6%-ში - ორი (146 ნაშრომი), 15.1%-ში - 3 და მეტი (258 ნაშრომი). სულ - 611 ნაშრომში გვხვდება უარყოფითი არგუმენტი (იხ. ცხრილი N4.9).

### ცხრილი N4.9

უარყოფითი არგუმენტების რაოდენობა	N	%
0	1,095	64.2
1	207	12.1
2	146	8.6
3 და მეტი	258	15.1

არგუმენტების გამოყენების სიხშირე განსხვავდება რეგიონების მიხედვითაც (იხ. ცხრილი N4.10):

- ✓ უარყოფითი არგუმენტები ყველაზე იშვიათად გვხვდება ქვემო ქართლში (ნაშრომების 75.6%-ში არ გვხვდება), აჭარაში (ნაშრომების 71.7%-ში არ გვხვდება), იმერეთში (ნაშრომების 68.1%-ში არ გვხვდება) და სამცხე-ჯავახეთში (ნაშრომების 66.9%-ში არ გვხვდება);
- ✓ ყველაზე ხშირად უარყოფითი არგუმენტები თბილისსა (ნაშრომების 56.3%-ში არ გვხვდება) და მცხეთა-მთიანეთში (ნაშრომების 57.9%-ში არ გვხვდება) გამოიყენება;
- ✓ ნაშრომში ერთი უარყოფითი არგუმენტი ყველაზე ხშირია თბილისში (15.6%);

- ✓ ნაშრომში ორი უარყოფითი არგუმენტი ყველაზე ხშირია კახეთსა (11.9%) და რაჭა-ლეჩხუმში (11.9%), ხოლო ყველაზე იშვიათი - აჭარასა (5.7%) და სამცხე-ჯავახეთში (6.3%);
- ✓ 3 და მეტი არგუმენტი ყველაზე ხშირია მცხეთა-მთიანეთში (20.7%), თბილისში (18.8%), რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთსა (18.6%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (18.1%), ხოლო ყველაზე იშვიათი - ქვემო ქართლში (9.4%), იმერეთსა (10%) და აჭარაში (11.3%).

#### ცხრილი N4.10

რეგიონი	არგუმენტების რაოდენობა			
	0	1	2	3 და მეტი
თბილისი	56.3%	15.6%	9.4%	18.8%
აჭარა	71.7%	11.3%	5.7%	11.3%
იმერეთი	68.1%	12.5%	9.4%	10.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	60.0%	13.1%	8.8%	18.1%
მცხეთა-მთიანეთი	57.9%	11.4%	10.0%	20.7%
სამცხე-ჯავახეთი	66.9%	13.1%	6.3%	13.8%
შიდა ქართლი	62.9%	12.6%	8.8%	15.7%
კახეთი	62.3%	10.7%	11.9%	15.1%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	63.6%	10.9%	7.0%	18.6%
გურია	60.0%	11.9%	11.9%	16.3%
ქვემო ქართლი	75.6%	10.0%	5.0%	9.4%
<b>სულ</b>	<b>64.2%</b>	<b>12.1%</b>	<b>8.6%</b>	<b>15.1%</b>

\*გაფურადებულია მხოლოდ ის მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც განხილულია ტექსტში.

უარყოფითი არგუმენტების რაოდენობა სხვადასხვაგვარია ქულის, სქესის და ვარიანტის მიხედვითაც (იხ. ცხრილი N4.11). მცირეა განსხვავება ქულის მიხედვით - უარყოფითი არგუმენტი შედარებით ხშირად არის გამოყენებული საშუალოქულიან ნაშრომებში, ვიდრე მაღალქულიანში. მცირე სხვაობაა სქესის მიხედვითაც - უარყოფითს არგუმენტი შედარებით ხშირად იყენებენ მამრობითი სქესის აბიტურიენტები, ვიდრე მდედრობითი.

განსხვავება ყველაზე თვალშისაცემია ვარიანტის მიხედვით - მეორე ვარიანტის ნაშრომებში გაცილებით ხშირად არის გამოყენებული უარყოფითი არგუმენტები, ვიდრე პირველი ვარიანტისაში.

#### ცხრილი N4.11

არგუმენტების რაოდენობა	სულ	ქულა		სქესი		ვარიანტი	
		საშუალო	მაღალი	მდედრობითი	მამრობითი	I	II
0	64.2%	60.4%	68.1%	67.4%	60.9%	77.0%	51.2%
1	12.1%	11.9%	12.4%	12.2%	12.1%	12.1%	12.1%
2	8.6%	10.5%	6.5%	6.5%	10.7%	4.9%	12.2%
3 და მეტი	15.1%	17.2%	13.0%	13.9%	16.4%	6.0%	24.4%

რაც შეეხება პოზიციისა და არგუმენტების რაოდენობის ურთიერთმიმართებას (იხ. ცხრილი 4.12), პოზიტიური დამოკიდებულების 84.2%-ის ნაშრომებში უარყოფითი არგუმენტები არ გვხვდება, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულების მქონეთა 4.9%-ში არ გვხვდება უარყოფითი არგუმენტები. ეს ნიშნავს, რომ დადებითი დამოკიდებულების მქონეთა 15.8% მაინც იყენებს უარყოფით არგუმენტებს. რაც შეეხება პოზიციას - „სქესს არ აქვს მნიშვნელობა“, ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ამგვარ პოზიციას მყოფთა 69.4% არ იყენებს უარყოფით არგუმენტებს, ეს ნიშნავს, რომ ეს თვალსაზრისი არ გულისხმობს და არ ემთხვევა გენდერული თანასწორობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების მქონეთა პოზიციას.

### ცხრილი N4.12

ავტორის მიერ დასახელებული არგუმენტების რაოდენობა	სულ	პოზიცია			
		პოზიტიური დამოკიდებულება	ნეგატიური დამოკიდებულება	სქესს მნიშვნელობა არ აქვს	პოზიცია არ ჩანს
0	64.2%	84.2%	4.9%	69.4%	31.6%
1	12.1%	10.1%	14.9%	18.8%	34.2%
2	8.6%	3.2%	23.7%	7.1%	26.3%
3 და მეტი	15.1%	2.6%	56.6%	4.7%	7.9%

როგორც აღმოჩნდა, უარყოფითი არგუმენტების გამოყენების სიხშირე კავშირშია რეგიონთან, პოზიციასა და ტექსტის ვარიანტთან.

ყველაზე ხშირად არგუმენტად გამოიყენება ქალის თვისებები და მახასიათებლები, ამჯერად უარყოფითი კონოტაციით (მაგ. ქალი სუსტია და ზოგიერთი საქმიანობის შესრულება არ შეუძლია) (9.8%), ხშირია თვალსაზრისი, რომ ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (9.1%) ან რთული ან შეუძლებელია (7.8%). მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითქმის არცერთ ნაშრომში დაფიქსირებულა თვალსაზრისი, რომ ზოგიერთი პროფესიის დაუფლება მამაკაცისთვის რთული ან შეუძლებელია. 4.1% მიიჩნევს, რომ არსებობს პროფესიები, რომელთა დაუფლება მამაკაცისთვის შეუფერებელია, თუმცა არც ერთხელ ყოფილა საუბარი იმაზე, რომ მამაკაცს არ შეუძლია თავი გაართვას რაიმე საქმიანობას. ეს ნიშნავს, რომ აბიტურიენტები ფიქრობენ, რომ მამაკაცს ყველა ტიპის საქმიანობის განხორციელება შეუძლია, უბრალოდ, ზოგიერთი საქმიანობა მათთვის შეუფერებელია, ხოლო ქალისთვის არსებობს როგორც შეუფერებელი, ასევე, შეუძლებელი პროფესიებიც. ამასთან, 7.2% მიიჩნევს, რომ უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/ საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული, ხოლო 7% ამბობს, რომ ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (რეალურად, თითოეულ ჩამოთვლილ არგუმენტში იგულისხმება ქალის და კაცის უთანასწორობა, თუმცა ამ დებულების იდენტიფიცირება მხოლოდ მაშინ მოხდა არგუმენტად, როდესაც პირდაპირ იყო ნაშრომში აქცენტირებული ქალისა და კაცის უთანასწორობა).

77 აბიტურიენტი ფიქრობს, რომ უმჯობესია, ქალი დაკავდეს ოჯახის საქმეებით და შვილების აღზრდით. 58 აბიტურიენტი რელიგიაზე დაფუძნებით ამბობს, რომ ქალი და კაცი თანასწორები არ არიან. 49 ნაშრომში გვხვდება თვალსაზრისი, რომ სჯობს,

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კაცმა მიიღოს. პასუხში „სხვა“ შევიდა ისეთი დებულებები, როგორებიცაა: საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ავტორი საუბრობს ქართულმენტალიტეტზე/ტრადიციებზე(23ნაშრომი); „პოლიტიკაში ქალების რაოდენობის ზრდამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კაცების რაოდენობის შემცირება“ (18 ნაშრომი); „ქალების ჩართულობა პოლიტიკაში გამოიწვევს ქაოსს“ (11 ნაშრომი) და ა.შ. (იხ. ცხრილი N4.13).

**ცხრილი N4.13<sup>7</sup>**

ნეგატიური დამოკიდებულების ჩარჩო (არგუმენტები)	N	%
ქალის უნარები და მახასიათებლები	256	9.8%
ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია	237	9.1%
ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული ან შეუძლებელია	204	7.8%
სჯობს, ქალი არ დაკავდეს ისეთი საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული	187	7.2%
ქალი და კაცი თანასწორები არ არიან	182	7.0%
ზოგიერთი პროფესია კაცისთვის შეუფერებელია	108	4.1%
უმჯობესია, ქალი დაკავებული იყოს ოჯახის საქმეებით, შვილების აღზრდით	77	2.9%
საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, ავტორი არგუმენტად იყენებს რელიგიას	58	2.2%
უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც რისკს მოითხოვს	50	1.9%
უმჯობესია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კაცმა მიიღოს	49	1.8%
ქალი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაკავდეს მამაკაცის პროფესიით, თუ მას ფინანსური პრობლემები აქვს	44	1.7%
სხვა	67	2.6%
ჩამოთვლილთაგან არცერთი	1,095	41.9%

რეგიონების მიხედვით, მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავდება. ყველაზე ხშირად უარყოფითი არგუმენტები იყო ნაშრომებში მცხეთა-მთიანეთიდან (65.2%-ში) და თბილისიდან (64.7%-ში), ხოლო ყველაზე იშვიათად - ნაშრომებში ქვემო ქართლიდან (არ იყო ნაშრომების 56.5%-ში), აჭარიდან (არ იყო ნაშრომების 53.0%-ში) და იმერეთიდან (არ იყო ნაშრომების 50.5%-ში) (იხ. ცხრილში N4.14).

✓ თბილისში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების მხოლოდ მესამედზე მეტში, კერძოდ, 35.3%-ში.

ხშირად გამოყენებული უარყოფითი არგუმენტებია:

- ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (11%);
- ქალის უნარები და მახასიათებლები (9.8%);
- ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (9.4%);
- უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (7.8%);
- ზოგიერთი პროფესია კაცისთვის შეუფერებელია (7.1%);
- ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (6.7%).

✓ აჭარაში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების ნახევარზე

<sup>7</sup>=100%

- მეტში, 53%-ში. ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი უარყოფითი არგუმენტები:
- ქალის უნარები და მახასიათებლები (11.2%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (7.4%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (6.0%).
- ✓ იმერეთში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების ნახევარში - 50.5%-ში. ყველაზე ხშირად კი შემდეგი უარყოფითი არგუმენტები გვხვდება:
- უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (8.8%);
  - ქალის უნარები და მახასიათებლები (7.9%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (7.4%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (6.0%);
  - ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (6.0%).
- ✓ სამეგრელო-ზემო სვანეთში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების 37.5%-ში. ყველაზე ხშირად კი შემდეგ უარყოფით არგუმენტებს ვხვდებით:
- ქალის უნარები და მახასიათებლები (11.7%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (9.4%);
  - ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (9.4%);
  - უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (9.0%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (8.2%).
- ✓ მცხეთა-მთიანეთში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების 34.8%-ში. ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი უარყოფითი არგუმენტები:
- ქალის უნარები და მახასიათებლები (9.9%);
  - უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (8.6%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (7.7%);
  - ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (7.3%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (6.9%);
  - სჯობს, ქალი დაკავდეს ოჯახის საქმეებით, შვილების აღზრდით (6.4%).
- ✓ სამცხე-ჯავახეთში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების 44.6%-ში. ყველაზე ხშირად კი შემდეგი უარყოფითი არგუმენტები გვხვდება:
- ქალის უნარები და მახასიათებლები (10.0%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (10.0%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთულია (8.8%);
  - ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (7.5%);
  - უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (6.3%);
  - ზოგიერთი პროფესია კაცისთვის შეუფერებელია (5.4%).
- ✓ შიდა ქართლში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების 39.5%-ში. ყველაზე ხშირად შემდეგი უარყოფითი არგუმენტები გვხვდება:

- ქალის უნარები და მახასიათებლები (10.7%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (9.1%);
  - უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (9.1%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (7.1%);
  - ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (5.5%);
  - ზოგიერთი პროფესია კაცისთვის შეუფერებელია (5.5%).
- ✓ კახეთში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების 39.4%-ში. ყველაზე ხშირად შემდეგი უარყოფითი არგუმენტები გვხვდება:
- ქალის უნარები და მახასიათებლები (12.0%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (10.0%);
  - უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (7.2%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (7.2%);
  - ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (5.6%).
- ✓ რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების 37.3%-ში. ყველაზე ხშირად შემდეგი უარყოფითი არგუმენტები გვხვდება:
- ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (12.3%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (9.1%);
  - ზოგიერთი პროფესია კაცისთვის შეუფერებელია (7.7%);
  - ქალის უნარები და მახასიათებლები (7.3%);
  - ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (6.8%);
  - უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (6.4%).
- ✓ გურიაში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების 37.1%-ში. ყველაზე ხშირად შემდეგი უარყოფითი არგუმენტები გვხვდება:
- ქალის უნარები და მახასიათებლები (10.0%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (9.7%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (9.3%);
  - ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (9.3%);
  - უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (6.2%).
- ✓ ქვემო ქართლში უარყოფითი არგუმენტები არ გამოიყენება ნაშრომების 56.5%-ში. ყველაზე ხშირად შემდეგი უარყოფითი არგუმენტები გვხვდება:
- ქალი და კაცი თანასწორები არ არიან (7.5%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია (7.0%);
  - ქალის უნარები და მახასიათებლები (6.5%);
  - უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული (6.1%);
  - ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (5.6%).

უარყოფითი არგუმენტების გამოყენება განსხვავდება სქესის და ქულის მიხედვითაც (იხ. ცხრილი N4.15). მდებრობითი სქესის 45.6% და მამრობითი სქესის აბიტურიენტების 38.4% არ იყენებს უარყოფით არგუმენტებს, ისევე, როგორც საშუალოქულიან აბიტურიენტთა 37.4% და მაღალქულიანთა 47.1%.

ყველაზე დიდი განსხვავებაა ვარიანტების მიხედვით (იხ. ცხრილი N4.15). თუ პირველი ვარიანტის 63.6% არ იყენებს უარყოფით არგუმენტებს, მეორე ვარიანტის შემთხვევაში ასეთი რიცხვი მხოლოდ 27.6%-ია. ეს ნიშნავს, რომ მეორე ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებით დაახლოებით ორჯერ უფრო ხშირად ასახელებენ უარყოფით არგუმენტებს.

ლოგიკურია, რომ გენდერული თანასწორობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების მქონე აბიტურიენტების მხოლოდ 1.7% არ ჩამოთვლის უარყოფით არგუმენტებს, ხოლო პოზიტიური დამოკიდებულების მქონე აბიტურიენტების - 76.8%. ეს ნიშნავს, რომ 287 პოზიტიური დამოკიდებულების მქონე აბიტურიენტი იყენებს უარყოფით არგუმენტებსაც (იხ. ცხრილი N4.16).

**ცხრილი N4.14<sup>8</sup>**

ნეტოტური დამოკიდებულების ფრეიმი (არგუმენტები)	წარს	იტიდატი	ადაჩ	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	ადაწაწა	
საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ავტორს არგუმენტად მოჰყავს ქალის უნარები და მახასიათებლები	9.8%	9.8%	11.2%	7.9%	11.7%	9.9%	10.0%	10.7%	12.0%	7.3%	10.0%	6.5%								
ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია	9.1%	11.0%	7.4%	7.4%	9.4%	7.7%	10.0%	9.1%	10.0%	12.3%	9.3%	5.6%								
ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული/შეუძლებელია	7.8%	9.4%	6.0%	6.0%	8.2%	6.9%	8.8%	7.1%	7.2%	9.1%	9.7%	7.0%								
უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული	7.2%	7.8%	2.8%	8.8%	9.0%	8.6%	6.3%	9.1%	7.2%	6.4%	6.2%	6.1%								
ქალი და კაცი თანასწორები არ არიან	7.0%	6.7%	4.7%	6.0%	9.4%	7.3%	7.5%	5.5%	5.6%	6.8%	9.3%	7.5%								
ზოგიერთი პროფესია კაცისთვის შეუფერებელია	4.1%	7.1%	3.3%	2.3%	1.2%	2.6%	5.4%	5.5%	4.0%	7.7%	3.5%	2.8%								
სჯობს, ქალი დაკავებული იყოს ოჯახის საქმეებით, შვილების აღზრდით	2.9%	2.4%	1.4%	4.2%	3.1%	6.4%	0.8%	4.0%	2.8%	1.4%	4.2%	1.4%								
პოზიციის გასამყარებლად ავტორს არგუმენტად მოჰყავს რელიგია	2.2%	2.7%	2.8%	1.4%	3.9%	3.9%	2.1%	1.6%	1.2%	1.4%	1.9%	1.4%								
უმჯობესია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კაცმა მიიღოს	1.9%	1.6%	1.9%	0.9%	1.2%	3.4%	2.5%	1.6%	2.8%	3.2%	1.2%	0.5%								
სჯობს, ქალი არ დაკავდეს ისეთი საქმიანობით, რომელიც რისკს მოითხოვს	1.9%	3.1%	3.3%	0.5%	2.7%	1.3%	0.8%	2.0%	1.2%	1.8%	1.9%	2.3%								
ქალი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაკავდეს მამაკაცის პროფესიით, თუ მას ფინანსური პრობლემები აქვს	1.7%	2.4%	0.5%	0.5%	0.8%	3.0%	-	2.4%	2.8%	2.3%	2.7%	0.9%								
სხვა	2.6%	0.8%	1.9%	3.7%	2.0%	4.3%	1.3%	2.4%	4.4%	3.2%	3.1%	1.4%								
ჩამოთვლილთაგან არცერთი	41.9%	35.3%	53.0%	50.5%	37.5%	34.8%	44.6%	39.5%	39.4%	37.3%	37.1%	56.5%								

<sup>8</sup>-100%



**ცხრილი N4.15<sup>9</sup>**

ნებართვითი დამოკიდებულების ფრეიმი (არგუმენტები)	სულ	სქესი		ვარიანტი		ქულა	
		მდედრობითი	მამრობითი	I	II	საშუალო	მაღალი
საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ავტორს არგუმენტად მოჰყავს ქალის უნარები და მახასიათებლები	9.8%	9.2%	10.3%	9.7%	9.8%	10.3%	9.2%
ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია	9.1%	7.9%	10.2%	1.5%	14.0%	10.6%	7.3%
ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული ან შეუძლებელია	7.8%	7.3%	8.3%	2.6%	11.2%	9.4%	5.9%
უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ მალაზია დამოკიდებული	7.2%	6.5%	7.8%	0.7%	11.4%	6.4%	8.1%
ქალი და კაცი თანასწორები არ არიან	7.0%	7.3%	6.7%	7.4%	6.7%	8.1%	5.7%
ზოგიერთი პროფესია კაცისთვის შეუფერებელია	4.1%	3.4%	4.8%	0.1%	6.8%	4.4%	3.8%
უმჯობესია, ქალი დაკავებული იყოს ოჯახის საქმეებით, შვილების აღზრდით	2.9%	2.9%	3.0%	3.1%	2.9%	2.8%	3.1%
საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ავტორი არგუმენტად იყენებს რელიგიას	2.2%	2.5%	1.9%	1.4%	2.7%	1.8%	2.7%
უმჯობესია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კაცმა მიიღოს	1.9%	1.5%	2.2%	4.3%	0.3%	2.1%	1.6%
სჯობს, ქალი არ დაკავდეს ისეთი საქმიანობით, რომელიც რისკს მოითხოვს	1.9%	2.0%	1.8%	1.3%	2.3%	2.1%	1.7%
ქალი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაკავდეს მამაკაცის პროფესიით, თუ მას ფინანსური პრობლემები აქვს	1.7%	2.2%	1.2%	0.1%	2.7%	1.9%	1.4%
სხვა	2.6%	1.8%	3.3%	4.2%	1.5%	2.6%	2.5%
ჩამოთვლილთაგან არცერთი	41.9%	45.6%	38.4%	63.6%	27.6%	37.4%	47.1%

<sup>9</sup> =100%

**ცხრილი N4.16<sup>10</sup>**

ნეგატიური დამოკიდებულების ფრეიმი (არგუმენტები)	სულ	პოზიციაცია		არ ჩანს
		პოზიტიური	ნეგატიური	
საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ავტორს არგუმენტად მოჰყავს ქალის უნარები და მახასიათებლები	<b>9.8%</b>	5.3%	14.6%	16.7%
ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია	<b>9.1%</b>	2.3%	17.6%	5.6%
ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის რთული ან შეუძლებელია	<b>7.8%</b>	2.8%	14.1%	7.4%
უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ მალაზზეა დამოკიდებული	<b>7.2%</b>	2.8%	12.1%	22.2%
ქალი და კაცი თანასწორები არ არიან	<b>7.0%</b>	2.5%	12.4%	3.7%
ზოგიერთი პროფესია კაცისთვის შეუფერებელია	<b>4.1%</b>	0.8%	8.4%	1.9%
უმჯობესია, ქალი დაკავებული იყოს ოჯახის საქმეებით, შვილების აღზრდით	<b>2.9%</b>	2.3%	4.0%	-
საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ავტორი არგუმენტად იყენებს რელიგიას	<b>2.2%</b>	1.0%	3.5%	3.7%
უმჯობესია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კაცმა მიიღოს	<b>1.9%</b>	0.6%	2.6%	3.7%
უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც რისკს მოითხოვს	<b>1.9%</b>	0.8%	3.1%	5.6%
ქალი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაკავდეს მამაკაცის პროფესიით, თუ მას ფინანსური პრობლემები აქვს	<b>1.7%</b>	1.0%	2.7%	-
სხვა	<b>2.6%</b>	1.3%	3.7%	7.4%
<b>ჩამოთვლილთაგან არცერთი</b>	<b>41.9%</b>	<b>76.8%</b>	<b>1.7%</b>	<b>22.2%</b>

<sup>10</sup>=100%

## შეჯამება

საკუთარ პოზიციას აბიტურიენტები არგუმენტებით ამყარებდნენ. არგუმენტები ერთგვარ ჩარჩოებს („ფრეიმებს“) წარმოადგენენ არგუმენტირებული ესეებისთვის. არგუმენტები, თავის მხრივ, იყოფა დადებით და უარყოფით არგუმენტად. თითო ნაშრომში, შესაძლოა, ყოფილიყო ერთზე მეტი არგუმენტი.

დადებითი არგუმენტები დასახელებულია 1 289 ნაშრომში. ყველაზე ხშირად აბიტურიენტები იყენებენ გენდერული თანასწორობის კონცეფციას (559 ნაშრომი, ნაშრომების 17.1%). ასევე ადამიანის უფლებების კონცეფციასაც (411 ნაშრომი, ესეების 12.6%). 386 ნაშრომში არგუმენტად გამოყენებულია ქალის უნარები და მახასიათებლები (მაგ. ქალი ძლიერია და სწორედ ამიტომ, უფრო მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი პოლიტიკაში) (ნაშრომების 11.8%). 279 აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ ქალების გააქტიურება მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის დემოკრატიზაციის, განვითარების, პროგრესისთვის და ა.შ. (8.5%). სწორედ ჩამოთვლილ არგუმენტებს იყენებენ ყველაზე ხშირად აბიტურიენტები. მხოლოდ 13 აბიტურიენტი უსვამს ხაზს აზრს, რომ მნიშვნელოვანია ქალის შესაძლებლობების რეალიზაცია. ზოგადად, აბიტურიენტები ნაკლებ აქცენტს აკეთებენ თავად იმ შედეგებზე, რასაც მოიტანს თავად ქალებისთვის მათ გააქტიურება პოლიტიკაში ან ჩართვა ნებისმიერ პროფესიაში.

ყველაზე ხშირად არგუმენტებს იყენებენ ქვემო ქართლში (მხოლოდ 6.6% არ იყენებს), ხოლო ყველაზე იშვიათად - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (17.8%), სამცხე-ჯავახეთსა (16.7%) და მცხეთა-მთიანეთში (15.9%). პირველი ვარიანტის მქონე აბიტურიენტთა მხოლოდ 8.4% არ იყენებს არგუმენტებს მაშინ, როდესაც მეორე ვარიანტის შემთხვევაში ასეთი აბიტურიენტების რაოდენობა თითქმისმეხუთედს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ პირველ დებულებასთან დაკავშირებით გაცილებით მეტი არგუმენტის მოყვანა შეიძლებოდა, ვიდრე მეორე ვარიანტთან დაკავშირებით, ამიტომ ეს შედეგი ლოგიკურია.

უარყოფითი არგუმენტები არ გვხვდება 1 095 ნაშრომში, შესაბამისად, გამოყენებულია 611 არგუმენტირებულ ესეში. ყველაზე ხშირ არგუმენტად გამოიყენება ქალის თვისებები და მახასიათებლები, ამჯერად უარყოფითი კონოტაციით (მაგ. ქალი სუსტია და ზოგიერთი საქმიანობის შესრულება არ შეუძლია) (9.8%), ხშირია თვალსაზრისი, რომ ზოგიერთი პროფესიის დაუფლება ქალისთვის შეუფერებელია (9.1%) ანდა რთული და შეუძლებელია (7.8%). მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითქმის არცერთ ნაშრომში არ დაფიქსირებულა თვალსაზრისი, რომ ზოგიერთი პროფესიის დაუფლება მამაკაცისთვის რთული ან შეუძლებელია.

4.1% მიიჩნევს, რომ ზოგიერთი პროფესიის დაუფლება მამაკაცისთვის შეუფერებელია, თუმცა საუბარი იმაზე, რომ მამაკაცი ვერ გაართმევს თავს რაიმე საქმიანობას, არც ერთხელ ყოფილა.

ეს ნიშნავს, რომ აბიტურიენტები ფიქრობენ, რომ მამაკაცს ყველა ტიპის საქმიანობა შეუძლია, უბრალოდ, ზოგიერთი მათთვის შეუფერებელია, ხოლო ქალისთვის არსებობს როგორც შეუფერებელი, ასევე შეუძლებელი პროფესიებიც. ამასთან, 7.2% მიიჩნევს, რომ

უმჯობესია, ქალი არ დაკავდეს ისეთი პროფესიით/საქმიანობით, რომელიც ფიზიკურ ძალაზეა დამოკიდებული, ხოლო 7% ამბობს, რომ ქალი და კაცი თანასწორები არ არიან რეგიონების მიხედვით, მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავდება. ყველაზე ხშირად უარყოფითი არგუმენტები იყო ნაშრომებში მცხეთა-მთიანეთიდან (იყო ნაშრომების 65.2%-ში) და თბილისიდან (იყო ნაშრომების 64.7%-ში), ხოლო ყველაზე იშვიათად - ქვემო ქართლიდან (არ იყო ნაშრომების 56.5%-ში), აჭარიდან (არ იყო ნაშრომების 53.0%-ში) და იმერეთიდან (არ იყო ნაშრომების 50.5%-ში).

აბიტურიენტთაგან მდებრობითი სქესის 45.6% და მამრობითი სქესის 38.4% არ იყენებს უარყოფით არგუმენტებს. ეს ნიშნავს, რომ კაცებთან უფრო ხშირად გვხვდება უარყოფითი არგუმენტები, ვიდრე ქალებთან. საშუალოქულიანთა 37.4% და მაღალქულიანთა 47.1% არ იყენებს უარყოფით არგუმენტებს. ეს ნიშნავს, რომ საშუალოქულიანები უფრო ხშირად აფიქსირებენ უარყოფით არგუმენტებს, ვიდრე მაღალქულიანი აბიტურიენტები.

ყველაზე დიდი განსხვავებაა ვარიანტების მიხედვით. თუ პირველი ვარიანტის 63.6% არ იყენებს უარყოფით არგუმენტებს, მეორე ვარიანტის შემთხვევაში ასეთი რიცხვი მხოლოდ 27.6%-ა. ეს ნიშნავს, რომ მეორე ვარიანტის დებულებასთან დაკავშირებით, დაახლოებით ორჯერ უფრო ხშირად ასახელებენ უარყოფით არგუმენტებს.

## V. მაგალითები

აბიტურიენტები საკუთარ თვალსაზრისს მაგალითებით ამყარებენ. მაგალითებიც, თავის მხრივ, დადებითი ან უარყოფითი კონტექსტის მიხედვით იყოფა. თუ აბიტურიენტის ნაშრომში გვხვდება თვალსაზრისი, რომ, მაგალითად, თამარ მეფე იყო ძლიერი მმართველი, ეს დადებითი მაგალითია, ხოლო თუ გვაქვს თვალსაზრისი, რომ თამარ მეფე იყო სუსტი მმართველი, ეს ნეგატიურ მაგალითს წარმოადგენს.

### 5.1. მაგალითები პოზიტიურ კონტექსტში

პოზიტიური მაგალითებიდან ყველაზე ხშირი იყო მაგალითები საქართველოსა და მსოფლიო ისტორიიდან და უცხო ქვეყნის პოლიტიკიდან (იხ. დიაგრამა N5.1).

კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ, როგორც აღმოჩნდა, აბიტურიენტებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ საერთაშორისო დოკუმენტების, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტების, სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ.

მაგალითების განაწილება სხვადასხვაგვარია რეგიონების მიხედვით (იხ. ცხრილი N5.1). პოზიტიური კონტექსტის მაგალითები ყველაზე იშვიათად გამოიყენება რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთსა (ნაშრომების 46.5%-ში არ გამოიყენება) და თბილისში (ნაშრომების 46.3%-ში არ გამოიყენება). ასეთი მაგალითები ყველაზე ხშირად გვხვდება ქვემო ქართლში (ნაშრომების მხოლოდ 31.9%-ში არ გამოიყენება), აჭარასა (ნაშრომების მხოლოდ 32.1%-ში არ გამოიყენება) და გურიაში (ნაშრომების მხოლოდ 33.8%-ში არ გამოიყენება).

**ცხრილი N5.1**



ყველაზე ხშირად გამოყენებული მაგალითების სიხშირე რეგიონების მიხედვით ამგვარად ვარირებს:

- ✓ საქართველოს ისტორიიდან მაგალითები ყველაზე ხშირად მოჰყავთ აბიტურიენტებს იმერეთიდან (42.8%) და აჭარიდან (42.8%), ხოლო ყველაზე იშვიათად - თბილისიდან (26.3%), სამეგრელო-ზემო სვანეთიდან (28.8%) და მცხეთა-მთიანეთიდან (29.3%);
- ✓ მსოფლიო ისტორიიდან მაგალითებს ყველაზე ხშირად იყენებენ აბიტურიენტები იმერეთიდან (27.7%) და აჭარიდან (25.8%), ხოლო ყველაზე იშვიათად - მცხეთა-მთიანეთიდან (18.6%), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთიდან (15.5%);

- ✓ უცხო ქვეყნების პოლიტიკიდან მაგალითებს ყველაზე ხშირად ვხვდებით აბიტურიენტებთან ქვემო ქართლიდან (28.1%) და თბილისიდან (24.4%), ხოლო ყველაზე იშვიათად - რაჭა-ლეჩხუმიდან და ქვემო სვანეთიდან (10.1%);
- ✓ მაგალითები ლიტერატურიდან, მხატვრული ფილმებიდან და ა.შ. ხშირად მოჰყავთ აბიტურიენტებს იმერეთიდან (13.2%) და სამეგრელო - ზემო სვანეთიდან (13.1%), ხოლო ყველაზე იშვიათად - კახეთიდან (6.9%).
- ✓ სხვა დანარჩენი მაგალითები (სხვა მაგალითების ჯამი) ყველაზე ხშირად სახელდება ნაშრომებში გურიიდან (30.6%), ქვემო ქართლიდან (28.8%) და იმერეთიდან (27.0%), ხოლო ყველაზე იშვიათად - ნაშრომებში რაჭა-ლეჩხუმიდან, ქვემო სვანეთიდან (13.2%) და სამეგრელო - ზემო სვანეთიდან (16.9%).

**ცხრილი N5.1<sup>11</sup>**

მაგალითები პოზიტიურ კონტექსტში	წლის	იტიპაიტი	ყაიყი	იტანტეტი	იტანტეტი - აანააა	იტანტეტი-იტანტეტი	იტანტეტი-იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	იტანტეტი	
																				იტანტეტი
მაგალითები საქართველოს ისტორიიდან	33.6	26.3	42.8	42.8	28.8	29.3	35.0	33.3	31.4	31.0	34.4	33.8								
მაგალითები მსოფლიო ისტორიიდან	22.5	20.6	25.8	27.7	25.0	18.6	20.0	22.0	24.5	15.5	24.4	21.3								
მაგალითები უცხო ქვეყნების პოლიტიკიდან	19.5	24.4	21.4	20.1	17.5	16.4	15.6	19.5	18.9	10.1	20.6	28.1								
მაგალითები ლიტერატურიდან, მხატვრული ფილმიდან და ა.შ.	10.6	10.0	10.7	13.2	13.1	8.6	12.5	9.4	6.9	9.3	11.9	10.6								
მაგალითები ამჟამინდელი ქართული პოლიტიკიდან	5.2	5.0	5.7	3.8	5.6	7.9	7.5	3.8	5.7	1.6	5.0	5.6								
სხვადასხვა პროფესიები	5.2	4.4	2.5	6.9	4.4	3.6	8.8	5.0	4.4	2.3	8.8	5.0								
მეცნიერული კვლევები, ექსპერიმენტები, სტატისტიკა	5.0	6.3	5.0	6.9	3.1	6.4	2.5	5.0	7.5	-	5.0	6.3								
პირადი გამოცდილება	4.9	4.4	1.3	5.7	3.1	1.4	5.0	6.3	3.8	8.5	8.1	6.3								
საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტები	1.7	3.1	2.5	2.5	-	1.4	1.3	2.5	0.6	-	1.9	2.5								
რელიგია	0.8	-	3.8	-	-	-	0.6	1.3	-	0.8	1.9	0.6								
სამეცნიერო ლიტერატურა	0.6	0.6	1.3	1.3	-	-	-	0.6	0.6	-	-	2.5								
საერთაშორისო დოკუმენტები	0.4	1.3	0.6	-	-	-	-	1.3	0.6	-	-	-								
სხვა	0.1	-	0.6	-	0.6	-	-	-	-	-	-	-								
ავტორს მაგალითები არ მოჰყავს	38.5	46.3	32.1	35.8	41.9	41.4	35.0	38.4	42.8	46.5	33.8	31.9								

<sup>11</sup>=100%

პოზიტიურ კონტექსტში მაგალითების მოყვანა კავშირშია ტესტის ვარიანტთან, ქულასა და სქესთან (იხ. ცხრილი N5.2).

სქესის მიხედვით მაგალითების განაწილებას შორის განსხვავება შედარებით მცირეა. მდებრობითი სქესის აბიტურიენტების 24.8%-ს და მამრობითი სქესის აბიტურიენტების 27.1% არ იყენებენ არგუმენტებს.

სქესის მიხედვით მაგალითების გამოყენებას შორის განსხვავება მინიმალურია. ერთადერთი შესამჩნევი განსხვავება ისაა, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად იყენებენ მაგალითებს უცხო ქვეყნის პოლიტიკიდან, ვიდრე მდებრობითი სქესის აბიტურიენტები.

ქულის მიხედვით მაგალითების განაწილებას შორის განსხვავება მნიშვნელოვანია. საშუალოქულიანი ნაშრომების 42.4%-ში საერთოდ არ არის გამოყენებული მაგალითები, მაშინ, როცა მაღალქულიანი ნაშრომების მხოლოდ 13.8%-ში არ გვხვდება ისინი. საშუალო და მაღალქულიანებს თითქმის ერთი სიხშირით მოჰყავთ მაგალითები საქართველოს ისტორიიდან. სამაგიეროდ, მსოფლიო ისტორიიდან და უცხო ქვეყნის პოლიტიკიდან მაგალითებს უფრო ხშირად მაღალქულიანები იმოწმებენ. ეს ნიშნავს, რომ:

- ✓ საშუალოქულიანებს იშვიათად მოჰყავთ მაგალითები;
- ✓ საშუალო და მაღალქულიანი აბიტურიენტები მსგავსი სიხშირით იყენებენ მაგალითებს საქართველოს ისტორიიდან, რაც ნიშნავს, რომ ამგვარი დამოწმება არ მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას;
- ✓ სამაგიეროდ, მაღალქულიან ნაშრომებში უფრო ხშირად გამოიყენება მაგალითები მსოფლიო ისტორიიდან და უცხო ქვეყნების პოლიტიკიდან. ეს ნიშნავს, რომ ქულასა და ინფორმაციულობას შორის არსებობს ურთიერთკავშირი.

ტესტის ვარიანტის მიხედვით მაგალითების განაწილებას შორის განსხვავება საკმაოდ დიდია. პირველ რიგში, პირველი ვარიანტის ტესტის ნაშრომების 17.5%-სა და მეორე ვარიანტის ტესტის 35.8%-ში საერთოდ არ გვხვდება მაგალითები. ეს ნიშნავს, რომ პირველი ვარიანტის ტესტის ნაშრომებში გაცილებით ხშირად არის გამოყენებული მაგალითები, ვიდრე მეორე ვარიანტის ტესტში. ამის გარდა, პირველი ვარიანტის ნაშრომებში გაცილებით ხშირადაა გამოყენებული მაგალითები საქართველოს ისტორიიდან, მსოფლიო ისტორიიდან, უცხო ქვეყნებისა და ამჟამინდელი ქართული პოლიტიკიდან, ვიდრე მეორე ვარიანტის ნაშრომებში. ნაწილობრივ, ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ პირველი ვარიანტის დებულება უფრო მეტად იძლეოდა როგორც არგუმენტების, ასევე მაგალითების დასახელების საშუალებას.

ცხადია, დადებით კონტექსტში მაგალითების მოყვანა კავშირშია პოზიციასთანაც. გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურად განწყობილთაგან მხოლოდ 15.2%-ს არ მოჰყავს მაგალითები დადებით კონტექსტში, ნეგატიურად განწყობილთაგან 62% არ გამოიყენებს ასეთ მაგალითებს. საქართველოს ისტორიიდან, მსოფლიო ისტორიიდან, უცხო ქვეყნების პოლიტიკიდან და ა.შ. მაგალითები პოზიტიური განწყობის მქონე აბიტურიენტებს უფრო ხშირად მოჰყავთ, ვიდრე ნეგატიური განწყობის მქონეთ. (იხ. ცხრილი N5.3).



**ცხრილი N5.2<sup>12</sup>**

მაგალითები პოზიტიურ კონტექსტში	წილი	ვარიანტი		ქულა		სქესი	
		I	II	ნაწინააღმდეგე	იანაწინააღმდეგე	ოიანაწინააღმდეგე	ოიანაწინააღმდეგე
მაგალითები საქართველოს ისტორიიდან	22.6%	28.7%	15.4%	20.4%	24.2%	23.4%	21.8%
მაგალითები მსოფლიო ისტორიიდან	15.1%	18.4%	11.2%	7.4%	20.8%	15.1%	15.1%
მაგალითები უცხო ქვეყნების პოლიტიკიდან	13.1%	16.9%	8.7%	9.6%	15.7%	10.3%	16.1%
მაგალითები ლიტერატურიდან, მხატვრული ფილმებიდან და ა.შ.	7.1%	5.8%	8.7%	5.1%	8.6%	8.6%	5.6%
მაგალითები ამჟამინდელი ქართული პოლიტიკიდან	3.5%	5.1%	1.6%	4.1%	3.1%	3.1%	3.9%
სხვადასხვა პროფესიები	3.5%	0.8%	6.6%	2.3%	4.3%	3.9%	3.0%
მეცნიერული კვლევები, ექსპერიმენტები, სტატისტიკა	3.4%	3.5%	3.2%	2.4%	4.0%	3.7%	3.0%
პირადი გამოცდილება	3.3%	1.2%	5.7%	4.5%	2.4%	3.8%	2.7%
საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტები	1.1%	0.7%	1.6%	1.0%	1.2%	1.4%	0.9%
რელოგია	0.6%	0.6%	0.5%	0.3%	0.8%	0.8%	0.3%
სამეცნიერო ლიტერატურა	0.4%	0.4%	0.4%	0.2%	0.6%	0.5%	0.3%
საერთაშორისო დოკუმენტები	0.2%	0.1%	0.3%	-	0.4%	0.3%	0.2%
სხვა	0.1%	0.1%	-	0.2%	-	0.2%	-
ავტორს მაგალითები არ მოჰყავს	25.9%	17.5%	35.8%	42.4%	13.8%	24.8%	27.1%

<sup>12</sup>=100%

ცხრილი N5.3<sup>13</sup>


მაგალითები (პოზიტიურ კონტექსტში)	სულ	პოზიტივა		არ ჩანს
		პოზიტიური	ნეგატიური	
მაგალითები საქართველოს ისტორიიდან	22.6%	25.2%	13.9%	16.3%
მაგალითები მსოფლიო ისტორიიდან	15.1%	17.2%	8.4%	7.0%
მაგალითები უცხო ქვეყნების პოლიტიკიდან	13.1%	15.3%	6.0%	7.0%
მაგალითები ლიტერატურიდან, მხატვრული ფილმებიდან და ა.შ.	7.1%	8.2%	3.3%	7.0%
მაგალითები ამჟამინდელი ქართული პოლიტიკიდან	3.5%	3.9%	2.2%	4.7%
სხვადასხვა პროფესიები	3.5%	4.1%	1.6%	-
მეცნიერული კვლევები, ექსპერიმენტები, სტატისტიკა	3.4%	4.0%	1.3%	-
პირადი გამოცდილება	3.3%	3.9%	0.9%	4.7%
საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტები	1.1%	1.4%	0.2%	2.3%
რელიგია	0.6%	0.7%	-	-
სამეცნიერო ლიტერატურა	0.4%	0.5%	0.2%	-
საერთაშორისო დოკუმენტები	0.2%	0.3%	-	-
სხვა	0.1%	0.1%	-	-
ავტორს მაგალითები არ მოჰყავს	25.9%	15.2%	62.0%	51.2%

<sup>13</sup>=100%

## 5.2. მაგალითები ნეგატიურ კონტექსტში

მაგალითები ნეგატიურ კონტექსტში შემთხვევათა 86.7%-ში აბიტურიენტებს არ გამოუყენებიათ. დანარჩენ შემთხვევებში, შედარებით უფრო ხშირად, საკუთარ თვალსაზრისს ამყარებდნენ მაგალითებით, რომლებიც კავშირში იყო სამეცნიერო კვლევებთან, ექსპერიმენტებსა და სტატისტიკასთან. მათ მიერ მოყვანილი სტატისტიკის უმრავლესობა არ ეფუძნებოდა რეალურად არსებულ კვლევებს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ნეგატიური პოზიციის მქონე აბიტურიენტებს უჭირდათ საკუთარი თვალსაზრისი განემტკიცებინათ არგუმენტებითა და მაგალითებით (იხ. დიაგრამა N5.2%).

დიაგრამა N5.2<sup>14</sup>



<sup>14</sup>=100%

იმის გამო, რომ ნეგატიურ კონტექსტში მაგალითების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი ასეთი დაბალია, უშედეგო იქნება მისი სხვადასხვა ჭრილში განხილვა (სქესის, ქულის, რეგიონის, ვარიანტის და პოზიციის მიხედვით).

რეგიონის მიხედვით იმის თქმაა შესაძლებელი, რომ უარყოფითი კონტექსტის მაგალითებს ყველაზე იშვიათად იყენებდნენ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (91.5% არ იყენებს), შიდა ქართლში (90.7% არ იყენებს) და სამეგრელო - ზემო სვანეთში (90.6% არ იყენებს), ხოლო ყველაზე ხშირად - თბილისში (76.6% არ იყენებს). მიუხედავად იმისა, რომ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ისეთი რეგიონებია, სადაც ხშირი იყო უარყოფითი არგუმენტები, როგორც ჩანს, მაგალითების დასახელება აბიტურიენტებს მაინც გაუჭირდათ (იხ. ცხრილი N5.4).

**ცხრილი N5.4<sup>15</sup>**

რეგიონი	არ იყენებს მაგალითებს ნეგატიური კონტექსტით	რეგიონი	არ იყენებს მაგალითებს ნეგატიური კონტექსტით
სამცხე-ჯავახეთი	81.1%	კახეთი	88.8%
ქვემო ქართლი	89.6%	იმერეთი	84.2%
შიდა ქართლი	90.7%	აჭარა	88.3%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	90.6%	გურია	84.9%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	91.5%	თბილისი	76.6%
მცხეთა-მთიანეთი	88.7%		
<b>სულ</b>		<b>86.7%</b>	

მცირე განსხვავება გამოვლინდა სქესთან, ქულასა და ვარიანტთან დაკავშირებით. მდედრობითი სქესის აბიტურიენტები უფრო იშვიათად გამოიყენებენ მაგალითებს ნეგატიური კონტექსტით, ვიდრე მამრობითი სქესისანი. ამასთანავე, პირველი ვარიანტის ნაშრომებში უფრო იშვიათადაა მაგალითები ნეგატიური კონტექსტით, ვიდრე მეორე ვარიანტისაში. საშუალოქულიან ნაშრომებში უფრო იშვიათადაა მაგალითები ნეგატიური კონტექსტით გამოყენებული, ვიდრე მაღალქულიან ნაშრომებში (იხ. ცხრილი N5.5).

მცირე განსხვავებაა პოზიციასთან მიმართებაშიც: ლოგიკურია, რომ პოზიტიური დამოკიდებულებების მქონე აბიტურიენტების გაცილებით დიდი რაოდენობა არ იყენებს მაგალითებს უარყოფითი კონტექსტით, ნეგატიური დამოკიდებულების მქონე აბიტურიენტებთან შედარებით (იხ. ცხრილი N5.5).

### ცხრილი N5.5<sup>16</sup>


რეგიონი		არ იყენებს მაგალითებს ნეგატიური კონტექსტით
სქესი	მდედრობითი	88.9%
	მამრობითი	84.4%
ქულა	საშუალო	90.3%
	მაღალი	83.0%
ვარიანტი	I	89.8%
	II	83.5%
პოზიცია	პოზიტიური დამოკიდებულება	93.7%
	ნეგატიური დამოკიდებულება	69.6%
	პოზიცია აქვს არ	89.7%
<b>სულ</b>		<b>86.7%</b>

### 5.3. პოზიტიურ და ნეგატიურ კონტექსტებში გამოყენებული მაგალითების შედარება

ნეგატიურ კონტექსტში მაგალითებს აბიტურიენტები საკმაოდ იშვიათად იყენებენ. პოზიტიურ კონტექსტში გამოყენებული მაგალითების რაოდენობა ბევრად აღემატება ნეგატიური მიმართებით გამოყენებულთა რიცხვს. თუ პოზიტიურ კონტექსტში ნაშრომებში შეგვხვდა მაგალითები საქართველოს ან მსოფლიო ისტორიიდან, უცხო ქვეყნების პოლიტიკიდან, ნეგატიურ კონტექსტში მაგალითების მრავალფეროვნება ნაკლებად შეიმჩნეოდა. ძირითადად, ასეთ ნაშრომებში მოყვანილი იყო სხვადასხვა ტიპის სტატისტიკა (მაგ. „მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ქალის ტვინი გაცილებით პატარაა კაცის ტვინზე, ამიტომ, კაცები უფრო მასშტაბურად აზროვნებენ“), სხვადასხვა ტიპის პროფესიები (მაგ. „ქალი ვერ იქნება მძღოლი, მას არ აქვს შესაბამისი უნარები“) და ა.შ (იხ. დიაგრამა N5.3).

<sup>15</sup>=100% <sup>16</sup>=100%

დიაგრამა N5.3<sup>17</sup>




<sup>17</sup>=100%

## 5.4. ავტორთა მიერ მაგალითად მოყვანილი ქალები (პოზიტიურ კონტექსტში)

აბიტურიენტები ხშირად ასახელებდნენ სამაგალითო ქალებს, რომელთა მიღწევებზეც საუბრობდნენ ნაშრომში. ასეთ ქალებს საერთოდ არ ახსენებდა აბიტურიენტების ნახევარი (50.4%). ყველაზე ხშირად სახელდებოდნენ ქალები საქართველოს ისტორიიდან (თამარ მეფე, მათა წყნეთელი და ა.შ), რომლებსაც აბიტურიენტების მესამედი ასახელებდა (33.2%). ამ კატეგორიის ქალებიდან ყველაზე პოპულარული თამარ მეფე იყო. ხშირად სახელდებოდნენ ქალები მსოფლიო ისტორიიდან (21.5%) და უცხოელი პოლიტიკოსი ქალები (13.6%) (იხ. დიაგრამა N5.4).

როგორც ჩანს, აბიტურიენტები არ იცნობენ ხელოვან, ფემინისტ და მეცნიერ ქალებს. ისინი მხოლოდ რამდენიმე აბიტურიენტმა დაასახელა. აღსანიშნავია ისიც, რომ აბიტურიენტები არც სხვა პროფესიებში წარმატებულ ქალებს იცნობენ . 1.3% ამ პასუხს თითქმის მხოლოდ ვალენტინა ტერეშკოვას ხარჯზე აქვს.

დიაგრამა N5.4<sup>18</sup>



<sup>18</sup>>100%



ყველაზე ხშირად სამაგალითო ქალებს ასახელებენ იმერეთსა (41.3% არ ასახელებს) და აჭარაში (42.1% არ ასახელებს), ხოლო ყველაზე იშვიათად - თბილისში (60% არ ასახელებს), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (58.1% არ ასახელებს). რაც შეეხება თავად სამაგალითო ქალებს, ისინი ასე ნაწილდებიან (იხ. ცხრილი N5.6):

- ✓ ქალები საქართველოს ისტორიიდან ყველაზე ხშირად მაგალითის ფუნქციით მოჰყავთ აჭარასა (43.4%) და იმერეთში (43.1%), ხოლო ყველაზე იშვიათად - თბილისში (24.4%);
- ✓ ქალემა მსოფლიო ისტორიიდან ყველაზე ხშირად ახსენებენ იმერეთში (26.3%), ხოლო ყველაზე იშვიათად - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (14.0%);
- ✓ უცხოელი პოლიტიკოსი ქალები ყველაზე ხშირად სახელდებიან ქვემო ქართლში (17.5%), ხოლო ყველაზე იშვიათად - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (8.5%);
- ✓ დანარჩენი პასუხები (სხვა პროფესიებში წარმატებული ქალები, პერსონაჟები ლიტერატურიდან და კინოდან და ა.შ.) ყველაზე იშვიათად სახელდება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (7%), აგრეთვე შიდა ქართლში (7.5%).

ეს ნიშნავს, რომ ისტორიულ პიროვნებებს (ქალები საქართველოს ისტორიიდან და ქალები მსოფლიო ისტორიიდან) ყველაზე ხშირად ასახელებენ იმერეთსა (ჯამში 69.4% ასახელებს) და აჭარაში (ჯამში 69.4%), ხოლო ყველაზე იშვიათად - თბილისში (ჯამში 43.8%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (ჯამში 44.2%) და მცხეთა-მთიანეთში (ჯამში 45.7%).

პოლიტიკოს ქალებს კი (უცხოელი და ქართველი პოლიტიკოსი ქალები) ყველაზე ხშირად ასახელებენ სამცხე-ჯავახეთსა (ჯამში 21.9%) და ქვემო ქართლში (ჯამში 20.6%), ხოლო ყველაზე იშვიათად - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (ჯამში 10.1%). ეს, შესაძლოა, ნიშნავდეს, რომ თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების შესახებ შედარებით ინფორმირებულები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები აბიტურიენტები არიან, ხოლო ყველაზე ნაკლებად - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

სხვა პროფესიის ქალებს (ხელოვანი ქალები, პერსონაჟები, მეცნიერი ქალები და ა.შ.) ყველაზე ხშირად ასახელებენ იმერეთსა (ჯამში 9.4%) და აჭარაში (ჯამში 9.4%), ხოლო ყველაზე იშვიათად - შიდა ქართლში (ჯამში 3.8%) (იხ. ცხრილი N5.7).



**ცხრილი N5.7<sup>20</sup>**

ავტორის მიერ მაგალითის ფუნქციით მოყვანილი ქალები	ისტორიული ფიგურები	პოლიტიკოსი ქალები	სხვა
თბილისი	43.8%	18.8%	7.5%
აჭარა	67.9%	15.7%	9.4%
იმერეთი	69.4%	18.8%	9.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	53.8%	18.1%	5.6%
მცხეთა-მთიანეთი	45.7%	17.9%	7.9%
სამცხე-ჯავახეთი	53.1%	21.9%	6.3%
შიდა ქართლი	52.2%	18.2%	3.8%
კახეთი	52.8%	17.6%	8.8%
რაკა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	44.2%	10.1%	5.4%
გურია	59.4%	18.8%	5.0%
ქვემო ქართლი	55.6%	20.6%	7.5%
<b>სულ</b>	<b>54.6%</b>	<b>18.0%</b>	<b>7.0%</b>

<sup>20</sup>>100%

წარმატებული ქალების დასახელების სიხშირე კავშირშია სქესთან, ქულასა და ვარიანტთან (იხ. ცხრილი N5.8). მამრობით და მდედრობით სქესს შორის განსხვავება მცირეა - აღსანიშნავია მხოლოდ განსხვავება უცხოელი პოლიტიკოსი ქალების დასახელების სიხშირეს შორის (მამრობითი სქესის აბიტურიენტები უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე მდედრობითი სქესის აბიტურიენტები).

ქულის მიხედვით განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია: მაღალქულიან ნაშრომებში თითქმის ორჯერ უფრო ხშირად მოჰყავთ მაგალითად ქალები, ვიდრე საშუალოქულიანში. ქალებს საქართველოს ისტორიიდან თითქმის ორჯერ უფრო ხშირად ასახელებენ მაღალქულიან ნაშრომებში, ვიდრე საშუალოქულიანში. ქალებს მსოფლიო ისტორიიდან დაახლოებით ოთხჯერ უფრო ხშირად ასახელებენ მაღალქულიან ნაშრომებში, ვიდრე საშუალოქულიანში. უცხოელ პოლიტიკოს ქალებს კი თითქმის სამჯერ უფრო ხშირად ასახელებენ მაღალქულიან ნაშრომებში, ვიდრე საშუალოქულიან ნაშრომებში. ეს ნიშნავს, რომ, ზოგადად, მაგალითების გამოყენება და მით უფრო, ქალების საქართველოს ან მსოფლიო ისტორიიდან და უცხოელი პოლიტიკოსი ქალების დასახელება პირდაპირ კავშირშია ქულასთან.

მაგალითის ფუნქციით მოყვანილი ქალების პროცენტული მაჩვენებლები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ტესტის ვარიანტის მიხედვით. ასეთი ქალების დასახელება თითქმის ორჯერ უფრო ხშირია პირველი ვარიანტის ნაშრომებში. ქალები საქართველოს ისტორიიდან პირველი ვარიანტის ტესტებში დაახლოებით ორჯერ უფრო ხშირად სახელდება, ვიდრე მეორეში. მსგავსია მსოფლიო ისტორიიდან ცნობილი ქალების პროცენტული მაჩვენებელიც. უცხოელი პოლიტიკოსი ქალები ოთხჯერ უფრო ხშირად სახელდება პირველი ვარიანტის დებულებასთან მიმართებაში, ვიდრე მეორე ვარიანტის ნაშრომებში. ზოგადად, მაგალითების გამოყენება და მით უფრო, საქართველოს ან მსოფლიო ისტორიის ცნობილი პიროვნებების და უცხოელი პოლიტიკოსი ქალების დასახელება პირდაპირ კავშირშია არგუმენტირებული ესეის ვარიანტთან.

მოსალოდნელი იყო ისიც, რომ გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურად განწყობილ აბიტურიენტები უფრო ხშირად ასახელებენ კონკრეტულ ქალებს (პოზიტიურ კონტექსტში), ვიდრე ნეგატიურად განწყობილი აბიტურიენტები (იხ. ცხრილი N5.9).

ცხრილი N5.8<sup>21</sup>

მაგალითად მოყვანილი ქალები	წლი	ვარიანტი		ქულა		სქესი	
		I	II	საანგარიშო	საანგარიშო	საანგარიშო	საანგარიშო
ქალები საქართველოს ისტორიიდან	33.2%	46.0%	20.3%	24.0%	42.6%	34.3%	32.0%
ქალები მსოფლიო ისტორიიდან	21.5%	28.6%	14.3%	8.3%	35.0%	22.0%	20.9%
უცხოელი პოლიტიკოსი ქალები	13.6%	21.8%	5.3%	7.6%	19.8%	10.7%	16.6%
ქართველი პოლიტიკოსი ქალები	4.4%	6.9%	1.9%	4.3%	4.5%	3.9%	4.9%
პერსონაჟები ლიტერატურიდან და კინოდან	3.3%	2.8%	3.9%	2.5%	4.2%	5.0%	1.7%
სხვა პროფესიებში წარმარებული ქალები	1.3%	0.2%	2.4%	0.7%	1.9%	1.2%	1.4%
ხელოვანი ქალები	0.7%	0.1%	1.3%	-	1.4%	0.8%	0.6%
ფემინისტი აქტივისტი ქალები	0.7%	0.7%	0.7%	0.2%	1.2%	0.6%	0.8%
მეცნიერი ქალები	0.5%	-	1.1%	-	1.1%	0.8%	0.2%
წმინდანები	0.4%	0.7%	0.1%	0.5%	0.4%	0.3%	0.5%
მსგავსი მაგალითები ნაშრომში არ არის	50.4%	34.4%	66.5%	65.1%	35.2%	49.7%	51.1%

<sup>21</sup> > 100%

ცხრილი N5.9<sup>22</sup>

მაგალითად მოყვანილი ქალები	სულ	პოზიციები		არ ჩანს
		პოზიტიური	ნეგატიური	
ქალები საქართველოს ისტორიიდან	33.2%	40.9%	15.0%	18.4%
ქალები მსოფლიო ისტორიიდან	21.5%	26.7%	9.3%	7.9%
უცხოელი პოლიტიკოსი ქალები	4.4%	5.4%	1.9%	2.6%
ქართველი პოლიტიკოსი ქალები	13.6%	17.1%	5.5%	5.3%
პერსონაჟები ლიტერატურიდან და კინოდან	3.3%	4.4%	0.8%	2.6%
სხვა პროფესიებში წარმატებული ქალები	0.5%	0.8%	-	-
ხელოვანი ქალები	0.7%	0.8%	0.4%	-
ფემინისტი აქტივისტი ქალები	1.3%	1.8%	0.2%	-
მეცნიერი ქალები	0.7%	0.9%	0.2%	-
წმინდანები	0.4%	0.5%	0.2%	-
მსგავსი მაგალითები ნაშრომში არ არის	50.4%	39.1%	77.0%	73.7%

<sup>22</sup>> 100%

თვისებრივი მონაცემების დათვლისას აღმოჩნდა, რომ:

- ✓ საქართველოს ისტორიიდან ყველაზე ხშირად ასახელებენ თამარ მეფეს (იხ. ცხრილი N5.9). ის ნაშრომების დაახლოებით მესამედში ფიგურირებს (552 ნაშრომი). საქართველოს ისტორიიდან ხშირად სახელდება კრავაი ჯაყელი და ხვამაქ ცოქალი (25 ნაშრომში), ასევე მაია წყნეთელი (20 ნაშრომი).
- ✓ მსოფლიო ისტორიიდან (იხ. ცხრილი N5.10) ყველაზე ხშირად სახელდება მარგარეტ ტეტჩერი (ნაშრომების დაახლოებით მეხუთედში, 313 ნაშრომი), ინდირა განდი (54 ნაშრომი), ჟანა დ'არკი (54 ნაშრომი) და კლეოპატრა (28 ნაშრომი).
- ✓ ქართველი პოლიტიკოსი ქალებიდან (იხ. ცხრილი N5.11) ყველაზე ხშირად სახელდება თეა წულუკიანი (27 ნაშრომი) და ნინო ბურჯანაძე (22 ნაშრომი).
- ✓ უცხოელი პოლიტიკოსი ქალებიდან (იხ. ცხრილი N5.12) ყველაზე ხშირად სახელდება ანგელა მერკელი (185 ნაშრომი), ელისაბედ II (59 ნაშრომი), კონდოლიზა რაისი (34 ნაშრომი) და ჰილარი კლინტონი (29 ნაშრომი).
- ✓ პერსონაჟი ქალებიდან კი (იხ. ცხრილი N5.13) ყველაზე ხშირად სახელდება ოთარაანთ ქვრივი (25 ნაშრომი) და ლელა და/ან სანათა (პოემა „ბახტრიონი“) (22 ნაშრომი).

**ცხრილი N5.9**

ქალები საქართველოს ისტორიიდან	N
თამარ მეფე	552
კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი	25
მაია წყნეთელი	20
ქეთევან წამებული	14
რუსუდანი	10
სხვა	7

**ცხრილი N5.10**

ქალები მსოფლიო ისტორიიდან	N
მარგარეტ ტეტჩერი	313
ინდირა განდი	54
ჟანა დ'არკი	54
კლეოპატრა	28
ეკატერინე II	16
სხვა	26

**ცხრილი N5.11**

ქართველი პოლიტიკოსი ქალები	N
თეა წულუკიანი	27
ნინო ბურჯანაძე	22
ეკა ბესელია	17
მაია ფანჯიკიძე	12
თინა ხიდაშელი	10
სხვა	19

**ცხრილი N5.12**

უცხოელი პოლიტიკოსები	N
ანგელა მერკელი	185
ელისაბედ II	59
კონდოლიზა რაისი	34
ჰილარი კლინტონი	29
სხვა	12

**ცხრილი N5.13**

პერსონაჟი ქალები	N
ოთარაანთ ქვრივი	25
ლელა/სანათა („ბახტრიონი“)	22
შუმანიკი	11
თინათინი („ვეფხისტყაოსანი“)	12
სხვა	5

**ცხრილი N5.14**

სხვა	N
სხვა პროფესიები	22
ხელოვანი ქალები	12
ფემინისტი ქალები	12
მეცნიერი ქალები	9
წმინდანები	7

სულ ყველაზე ხშირად დასახელებული ქალები არიან: თამარ მეფე (552 ნაშრომი), მარგარეტ ტეტჩერი (313 ნაშრომი), ანგელა მერკელი (185 ნაშრომი), ელისაბედ მეორე (59 ნაშრომი), ინდირა განდი (54 ნაშრომი) და ჟანა დ'არკი (54 ნაშრომი) (იხ. ცხრილი N5.15).

**ცხრილი N5.15**

სულ	N
თამარ მეფე	552
მარგარეტ ტეტჩერი	313
ანგელა მერკელი	185
ელისაბედ II	59
ინდირა განდი	54
ჟანა დ'არკი	54



## შეჯამება

აბიტურიენტები საკუთარ თვალსაზრისს მაგალითებით ამყარებენ. მაგალითებიც, თავის მხრივ, იყოფა დადებითი ან უარყოფითი კონტექსტის მქონედ. პოზიტიურიდან ყველაზე ხშირი იყო საქართველოსა და მსოფლიო ისტორიიდან და უცხო ქვეყნის პოლიტიკიდან მოყვანილი მაგალითები. კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ, როგორც აღმოჩნდა, აბიტურიენტებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ საერთაშორისო დოკუმენტების, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტების, სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ.

პირველი ვარიანტის ტესტის ნაშრომების 17.5%-სა და მეორე ვარიანტის ტესტის 35.8%-ში საერთოდ არ გვხვდება მაგალითები. ეს ნიშნავს, რომ პირველი ვარიანტის ტესტის ნაშრომებში გაცილებით ხშირად არის გამოყენებული მაგალითები, ვიდრე მეორეში. ამის გარდა, პირველი ვარიანტის ტესტის ნაშრომებში გაცილებით ხშირადაა გამოყენებული მაგალითები საქართველოსა და მსოფლიო ისტორიიდან, უცხო ქვეყნების და ამჟამინდელი ქართული პოლიტიკიდან, ვიდრე მეორე ვარიანტის ნაშრომებში. ნაწილობრივ, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ პირველი ვარიანტის დებულება უფრო მეტად იძლეოდა როგორც არგუმენტების, ასევე მაგალითების დასახელების საშუალებას.

მაგალითები ნეგატიურ კონტექსტში შემთხვევათა 86.7%-ში აბიტურიენტებს არ გამოუყენებიათ. დანარჩენ შემთხვევებში, შედარებით უფრო ხშირად საკუთარ თვალსაზრისს ამყარებდნენ მაგალითებით, რომლებიც კავშირში იყო სამეცნიერო კვლევებთან, ექსპერიმენტებთან და სტატისტიკასთან. მათ მიერ მოყვანილი სტატისტიკის უმრავლესობა არ ეფუძნებოდა რეალურად არსებულ კვლევებს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ნეგატიური პოზიციის მქონე აბიტურიენტებს უჭირდათ საკუთარი თვალსაზრისი განემტკიცებინათ არგუმენტებითა და მაგალითებით.

აბიტურიენტები ხშირად ასახელებდნენ სამაგალითო ქალებს, რომელთა მიღწევებზეც საუბრობდნენ ნაშრომში. ასეთ ქალებს საერთოდ არ ახსენებდა აბიტურიენტების ნახევარი (50.4%). ყველაზე ხშირად, აბიტურიენტთა მესამედის (33.2%) მიერ სახელდებოდნენ ქალები საქართველოს ისტორიიდან (თამარ მეფე, მაია წყნეთელი და ა.შ.), ყველაზე პოპულარული იყო თამარ მეფე. ხშირად სახელდებოდნენ ასევე ქალები მსოფლიო ისტორიიდან (21.5%) და უცხოელი პოლიტიკოსი ქალები (13.6%). როგორც ჩანს, აბიტურიენტები არ იცნობენ ხელოვან, ფემინისტ და მეცნიერ ქალებს. ასეთი ქალები მხოლოდ რამდენიმე აბიტურიენტმა დაასახელა.

ქულის მიხედვით განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია: მაღალქულიან ნაშრომებში თითქმის ორჯერ უფრო ხშირად მოჰყავთ მაგალითად ქალები, ვიდრე საშუალოქულიან ნაშრომებში.

მაგალითად დასახელებული ქალების პროცენტული მაჩვენებლები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ტესტის ვარიანტის მიხედვით - თითქმის ორჯერ უფრო ხშირია პირველი ვარიანტის ნაშრომებში. ზოგადად, მაგალითების გამოყენება

პირდაპირ კავშირშია არგუმენტირებული ესეის ვარიანტთან.

ყველაზე ხშირად დასახელებული სამაგალითო ქალები არიან თამარ მეფე (552 ნაშრომი), მარგარეტ ტეტჩერი (313 ნაშრომი), ანგელა მერკელი (185 ნაშრომი), ელისაბედ მეორე (59 ნაშრომი), ინდირა განდი (54 ნაშრომი) და ჟანა დ'არკი (54 ნაშრომი).

## VI. გენდერი და პროფესიები

აბიტურიენტები ზოგიერთ ნაშრომში ამბობენ, რომ ქალი არ უნდა დაეუფლოს ზოგიერთ პროფესიას. მათ რიგში ყველაზე ხშირია მუშის, ხელოსნის, მექანიკოსის პროფესია (166 ნაშრომშია ნახსენები). ასევე ჯარისკაცის, მეხანძრის და მძღოლის პროფესიებიც (იხ. ცხრილი N 6.1).

### ცხრილი N6.1

რომელი პროფესიის არ შეიძლება იყოს ქალი?	N
მუშა, ხელოსანი, მექანიკოსი, სამშენებლო სამუშაოები	166
ჯარისკაცი	63
მეხანძრე	48
ტაქსის, ავტობუსის ან სხვა სატრანსპორტო საშუალებების მძღოლი	40
მეზღვაური, კაპიტანი	22
სპორტსმენი (ძალისმიერი სპორტი)	19
პოლიციელი/გამომძიებელი	17
პოლიტიკოსი	15
ინჟინერი	11
სპორტსმენი (არაძალისმიერი სპორტი)	11
დურგალი/მეტალურგი/მჭედელი	9
სასულიერო პირი	8
იურისტი (პროკურორი, ადვოკატი)	7
არქიტექტორი	5
ბიზნესმენი	3
ფინანსისტი, ეკონომისტი	2
მეცნიერი	2
პრეზიდენტი	2
სხვა პროფესიები	13
ასეთი მონაცემი ნაშრომში არ არის	1,402

აბიტურიენტები ასევე აღნიშნავენ, რომ კაცი არ უნდა დაეუფლოს ისეთ პროფესიებს, როგორცაა ძიძა, სტილისტი, დიზაინერი, დამლაგებელი/მრეცხავი და არ უნდა დაკავდეს საოჯახო საქმეებით, შვილების მოვლით. მნიშვნელოვანია ის, რომ შედარებით ხშირად პროფესიაზე „მეზღუდვებს“ აბიტურიენტები ქალებს უწესებენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აბიტურიენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ კაცისთვის ზოგიერთი პროფესია შეუფერებელია, ხოლო ქალებთან დაკავშირებით იმასაც ამბობენ, რომ ზოგიერთ პროფესიას ქალი ვერ დაეუფლება გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობების გამო. მამაკაცის შსახებ ასეთი თვალსაზრისი არცერთ ნაშრომში არ დაფიქსირებულა - აბიტურიენტები, უბრალოდ, იმაზე საუბრობენ, რომ მამაკაცისთვის ზოგიერთი პროფესია შეუფერებელია (იხ. ცხრილი N6.2).

## ცხრილი N6.2

რომელი პროფესიის არ შეიძლება იყოს კაცი?	N
ძიძა	52
სტილისტი	25
დიზაინერი	19
დამლაგებელი/მრეცხავი	19
არ უნდა იყოს დაკავებული საოჯახო საქმეებით, შვილების მოვლით	15
მასწავლებელი/ბაღის აღმზრდელი	15
მოდელი	11
მზარეული/მცხობელი	11
ფარმაცევტი/ექთანი/მედდა/ექთნის თანამშემწე	9
მკერავი	8
სხვა	19
ასეთი მონაცემი ნაშრომში არ არის	1,560

## შეჯამება

აბიტურიენტები ამბობენ, რომ ქალები არ უნდა დაეუფლონ ისეთ პროფესიებს, როგორებიცაა ძიძა, ხელოსანი, მექანიკოსი (166 ნაშრომშია ნახსენები), ჯარისკაცი, მეხანძრე, მძღოლი და ა.შ. ხოლო კაცი არ უნდა დაეუფლოს ისეთ პროფესიებს, როგორიცაა ძიძა, სტილისტი, დიზაინერი, დამლაგებელი/მრეცხავი და არ უნდა დაკავდეს საოჯახო საქმეებით, შვილების მოვლით.


აბიტურიენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ კაცისთვის ზოგიერთი პროფესია შეუფერებელია, ხოლო ქალებთან დაკავშირებით იმასაც ამბობენ, რომ ზოგიერთ პროფესიას ქალი ვერ დაეუფლება გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობების გამო. მამაკაცის შესახებ ასეთი თვალსაზრისი არცერთ ნაშრომში არ დაფიქსირებულა.

პროფესიებთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემია ის, რომ ქალებისთვის „აკრძალულია“ მასკულინური, ხოლო კაცებისთვის - ფემინური პროფესიები. საინტერესოა ისიც, რომ მასკულინურ პროფესიებად მიიჩნევა ფიზიკურ ძალასთან, დისციპლინასთან, რისკთან, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებასთან დაკავშირებული პროფესიები. სწორედ მათი დაუფლებაა ქალებისთვის შეუფერებელი. ფემინურ პროფესიებად კი მიიჩნევა ბავშვებსა და სილამაზის ინდუსტრიასთან, წესრიგთან დაკავშირებული პროფესიები, რომელთა დაუფლებაც „კაცისთვის შეუფერებელია“.

## VII. ქალის მახასიათებლები და სტერეოტიპები

ნაშრომების 18.3%-ში ქალს მოიხსენიებენ, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელს, 8.9%-ში როგორც მანდილოსანს, 6%-ში როგორც ქალბატონს (იხ. დიაგრამა N7.1).

დიაგრამა N7.1



აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინების ხმარება (მანდილოსანი, სუსტი სქესის წარმომადგენელი, ქალბატონი) არ არის დამოკიდებული ტესტის ვარიანტზე და სქესზე (იხ. ცხრილი N7.1). სამაგიეროდ, დამოკიდებულია ქულაზე - ქალი მოხსენიებულია, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელი მაღალქულიანი ნაშრომების 22.6% და საშუალოქულიანი ნაშრომების 14%-ში.

**ცხრილი N7.1**

ნაშრომში ქალი იწოდება, როგორც:	სულ	ტესტის ვარიანტი		ქულა		სქესი	
		I	II	საშუალო	მაღალი	მდედრობითი	მამრობითი
დედაკაცი	0.6%	0.3%	0.8%	0.4%	0.7%	0.4%	0.7%
ქალბატონი	6.0%	5.1%	7.0%	5.0%	7.0%	5.9%	6.1%
მანდილოსანი	8.9%	9.2%	8.7%	7.3%	10.6%	8.2%	9.7%
სუსტი სქესის წარმომადგენელი	18.3%	19.3%	17.2%	14.0%	22.6%	19.2%	17.3%
ჩამოთვლილთაგან არცერთი	66.2%	66.0%	66.4%	73.2%	59.1%	66.2%	66.2%


**ცხრილი N7.2**

ნაშრომში ქალი იწოდება, როგორც:	სულ	პოზიტიური დამოკიდებულება	ნეგატიური დამოკიდებულება	სქესს არ აქვს მნიშვნელობა (I ვარიანტი)	პოზიცია არ ჩანს
ქალბატონი	6.0%	6.3%	6.7%	-	2.6%
მანდილოსანი	8.9%	8.3%	10.9%	7.1%	12.8%
სუსტი სქესის წარმომადგენელი	18.3%	18.0%	20.5%	15.3%	10.3%
ჩამოთვლილთაგან არცერთი	66.2%	66.8%	61.5%	76.5%	74.4%

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ტერმინს „სუსტი სქესის წარმომადგენელი“ დაახლოებით მსგავსი სიხშირით გამოიყენებენ გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურად და ნეგატიურად განწყობილი აბიტურიენტები. მსგავსი სიტუაციაა „მანდილოსანთან“ და „ქალბატონთან“ დაკავშირებითაც. ეს ნიშნავს, რომ ამ ტერმინების გამოყენება არ არის კორელაციაში პოზიციასთან (იხ. ცხრილი N7.2).

ქალს აბიტურიენტები, ძირითადად, ახასიათებენ, როგორც სუსტს (170 ნაშრომი), ნაზს, ფაქიზს ან სათუთს (104 ნაშრომი), დიპლომატიურს (86 ნაშრომი), ძლიერს (57 ნაშრომი), მშვიდს, წყნარს ან დინჯს (54 ნაშრომი). ანალიტიკურად გაერთიანდა ქალის დადებითი მახასიათებლები (მაგ. დიპლომატიური, ძლიერი, მშვიდი და ა.შ) და უარყოფითი მახასიათებლები (სუსტი, ფაქიზი, ზედმეტად ემოციური და ა.შ). მიუხედავად იმის, რომ ქალს ყველაზე ხშირად ახასიათებენ სიტყვით „სუსტი“, აღმოჩნდა, რომ დაჯგუფებისას დადებითი მახასიათებლების ხვედრითი წილი არის 68.8%, ხოლო უარყოფითი მახასიათებლების - 31.2%. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მესამე აბიტურიენტი ქალს უარყოფითად ახასიათებს. არც უარყოფითი და არც დადებითი მახასიათებელი არ არის გამოყენებული 956 ნაშრომში (იხ. დიაგრამა N7.2).

დიაგრამა N7.2



უარყოფითი მახასიათებლებიდან, როგორც უკვე აღინიშნა, ყველაზე ხშირია სუსტი, ფაქიზი, არ არის გამძლე, არ არის მოაზროვნე, არ აქვს გამჭრიახი გონება, ზედმეტად ემოციურია, ვერ იღებს გადაწყვეტილებებს და ვერ აკონტროლებს ემოციებს/ იმპულსურია. დადებითი მახასიათებლებიდან ყველაზე ხშირია დიპლომატიური, ძლიერი, მშვიდი, გაწონასწორებული, მოაზროვნე, მიზანდასახული და ა.შ.

ბევრ ნაშრომში გამოყენებული იყო სტერეოტიპები. ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებული სტერეოტიპი იყო ის, რომ ქალის მთავარი მოვალეობა შვილის აღზრდა ან ოჯახში საქმიანობაა. 63 აბიტურიენტი ფიქრობს, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა უკვე მიღწეულია (იხ. ცხრილი N7.3).

## შეჯამება

ნაშრომების 18.3%-ში ქალს მოიხსენიებენ, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელს, 8.9%-ში როგორც მანდილოსანს, 6%-ში როგორც ქალბატონს. ეს მონაცემები, როგორც აღმოჩნდა, დამოკიდებულია ქულაზე - ქალი მოხსენიებულია, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელი მაღალქულიანი ნაშრომების 22.6% და საშუალოქულიანი ნაშრომების 14%-ში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ტერმინს „სუსტი სქესის წარმომადგენელი“ დაახლოებით მსგავსი სიხშირით გამოიყენებენ გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურად და ნეგატიურად განწყობილი აბიტურიენტები. ქალს აბიტურიენტები, ძირითადად, ახასიათებენ, როგორც სუსტს (170 ნაშრომი), ნაზს, ფაქიზს ან სათუთს (104 ნაშრომი), დიპლომატიურს (86 ნაშრომი), ძლიერს (57 ნაშრომი), მშვიდს, წყნარს ან დინჯს (54 ნაშრომი).

ბევრ ნაშრომში გამოყენებული იყო სტერეოტიპები. ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებული სტერეოტიპი იყო ის, რომ ქალის მთავარი მოვალეობა შვილის აღზრდა ან ოჯახში საქმიანობაა. ეს ნიშნავს, რომ პერსპექტივის შეცვლის მიუხედავად, ქალი მაინც რჩება ოჯახთან მიბმული და თუ მისთვის ზოგიერთი საქმიანობით დაკავება „მიღებულია“, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პარალელურად „ოჯახს მოუვლის“.



**ცხრილი N7.3**


**ყველაზე ხშირად გამოყენებული სტერეოტიპები**

	N	იხილეთ დასაწყისად	იხილეთ დასასრულად	იხილეთ დასაწყისად
ქალის მთავარი მოვალეობა შვილის აღზრდა და/ან ოჯახში ყოფნაა	78	35	43	-
საქართველოში გენდერული თანასწორობა უკვე მიღწეულია	63	48	13	2
საზოგადოებასთან ურთიერთობა ქალებს უკეთ გამოსდით	57	51	5	1
მამაკაცები უკეთ აზროვნებენ, ვიდრე ქალები	46	16	30	-
საუკეთესო მზარეულები კაცები არიან	41	34	7	-
ქალები უკეთ მართავენ სახელმწიფოს, ვიდრე მამაკაცები	32	28	3	1
შესაძლოა, კაცმა მოიფიქროს ის, რასაც ქალი ვერ მოიფიქრებს	24	10	14	-
ქალის როლი მეორეხარისხოვანი უნდა იყოს/ქალი უნდა აკეთოს წვრილმანი საქმეები	16	2	14	-
კაცის მოვალეობა ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა/კაცი ოჯახის თავია	11	3	8	-
მარტო ქალი ვერაფერს გახდება, თუ მას დამხმარე და თანამოაზრე კაცი არ ჰყავს გვერდით	10	1	8	1
ქალები ცუდი მძღოლები არიან	8	3	5	-
ქალის მოვალეობა მამაკაცის გვერდით ყოფნაა	7	3	4	-
ერთი სქესის ადამიანებს უკეთ ესმით ერთმანეთის	6	4	2	-

## VIII. ინფორმირებულობა გენდერული საკითხების შესახებ

რაც შეეხება ინფორმირებულობას გენდერული საკითხების მიმართ, ის ძალიან დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ აბიტურიენტების უმრავლესობას სწორი დამოკიდებულება აქვს ზოგიერთი თემის მიმართ, მათ არ აქვთ ინფორმაცია და შესაბამისად, უჭირთ სხვადასხვა საკითხზე ადეკვატურად მსჯელობა. მაგალითად, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ტერმინებიდან, ნაშრომების 32.7%-ში გამოყენებულია ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ ან „გენდერული ბალანსი“. ნაშრომების მხოლოდ 2.2%-შია გამოყენებული „ფემინიზმი“ ან „ფემინისტი“ (იხ. დიაგრამა N8.1).

### დიაგრამა N8.1



გენდერის თეორიების ან კვლევების შესახებ ინფორმირებულობა მხოლოდ 38 ნაშრომში ჩანს, ხოლო გენდერული დისკურსის ისტორიული საფუძვლების შესახებ - 135 ნაშრომში (იხ. ცხრილი N8.1).

## ცხრილი N8.1

აბიტურიენტის ინფორმირებულობა გენდერის საკითხების შესახებ	N
გენდერის თეორიები, კვლევები	38
გენდერული დისკურსის ისტორიული საფუძვლები	135

## შეჯამება

გენდერული საკითხების შესახებ ინფორმირებულობა ძალიან დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ აბიტურიენტების უმრავლესობას სწორი დამოკიდებულება აქვს ზოგიერთი თემის მიმართ, მათ არ აქვთ ინფორმაცია და შესაბამისად, უჭირთ სხვადასხვა საკითხზე ადეკვატურად მსჯელობა. მაგალითად, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ტერმინებიდან, ნაშრომების 32.7%-ში გამოყენებულია ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ ან „გენდერული ბალანსი“. ნაშრომების მხოლოდ 2.2%-შია გამოყენებული „ფემინიზმი“ ან „ფემინისტი“. დანარჩენი ტერმინები კი მხოლოდ რამდენიმე ნაშრომში გამოიყენება. აბიტურიენტები იშვიათად ახსენებენ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა სექსიზმი, გენდერული პოლიტიკა, მასკულიზმი/ფემინური, გენდერული როლები და ა.შ. გენდერის თეორიების ან კვლევების შესახებ ინფორმირებულობა მხოლოდ 38 ნაშრომში ჩანს, ხოლო გენდერული დისკურსის ისტორიული საფუძვლების შესახებ - 135 ნაშრომში. ეს ადასტურებს, რომ სწორი პოზიციის მიუხედავად, აბიტურიენტებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა, რაც, ხშირ შემთხვევაში, იწვევს არაკონსტრუქციულ მსჯელობას ან ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს ერთსა და იმავე ნაშრომში.

პროექტი „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ხორციელდება ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს – USAID-ის მხარდაჭერით, ფონდ „ტასოსთან“, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტსა და გალის რაიონში მოქმედ ორგანიზაციასთან პარტნიორობით. პროექტის მიზანია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამშვიდობო და კონფლიქტის პრევენციის პროცესებში ქალთა სრული მონაწილეობის მხარდაჭერა, სამიზნე რეგიონებში ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა, სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება თემის მობილიზების გზით და ადგილობრივი საჭიროების კვლევის საფუძველზე.

USAID საქართველოში: ბოლო 20 წლის განმავლობაში, ამერიკელმა ხალხმა, USAID-ის მეშვეობით, 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ის პროექტები მიზნად ისახავს დახმარების გაწევას საქართველოსათვის თავისუფალი და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში და მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესებაზე. USAID უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://georgia.usaid.gov>





# Research of Youth Views on Gender Equality



Institute of Social Studies and Analysis

## General Results

### Research Methodology

- ✓ The purpose of the project was to find out the views of the youth regarding gender equality issues. To this end the research studied the answers to the essay questions regarding gender equality included in the Georgian Language and Literature test versions I and II during the 2013 national exams by the means of combined content analysis (both quantitative and qualitative).
- ✓ Special coding sheets were developed for content analysis. The purpose behind it was to track down the type of variables in the papers by the university applicants, which could then be analyzed quantitatively or qualitatively. Statistical analysis of the measurable data demonstrates that it is representative of the 2013 applicant flow.
